

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



11-12
2010

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

თეა მამარდაშვილი, გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

საკონტაქტო ტელეფონები:

99-00-35, 99-94-46, 93-43-10

877-52-31-31, 877-50-29-84

ISBN 1987-7749

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

1. ვულოცავთ -----	4
2. საქართველოს საერთაშორისო კავშირ „საზოგადოება ცოდნაში“ -----	5
3. მეცნიერების სფეროში	
ქართული მუმიოს ქიმიური შემადგენლობის შესწავლა. (ავტორთა ჯგუფი)-----	10
4. ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო საშუალებები საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე (ავტორთა ჯგუფი) -----	15
5. ჰომეოპათიის განვითარების მოკლე ისტორიული ცნობები (ავტორთა ჯგუფი)-----	21
6. პროსტაგლანდინები – ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ჯგუფი (ავტორთა ჯგუფი) -----	28
7. ალერგიული დერმატოზების სამკურნალო ახალი პრეპარატის „დუალერ-G“-ის კლინიკური ეფექტურობა. თამაზ ჭუმბურიძე -----	35
8. სამკურნალო მცენარე – წარსული და აწმყო. მანანა მაისაშვილი ----	41
9. სტრესის ზემოქმედებით ნერწყვში ალფა-ამილაზას ცვლილებები. ც.სოხაძე, ლ.მოღებაძე -----	44
10. ფარმაცია მხოლოდ ბიზნესის საგანი არ არის, იგი რეგულირე- ბადი პროფესიაა. ბიძინა ჭუმბურიძე -----	46
11. წიგნი ქართული ფარმაციის ისტორიის შესახებ -----	49
წიგნი ფარმაცევტთა უახლეს ისტორიაზე. ნესტან ნიკურაძე -----	50
12. ქართული ეროვნული ფარმაციის ამაგდარი. ალექსი ჭეღია -----	52
13. თბილისური სურათები	
მამადავითობა და თელეთობა, ძველი თბილისის ეზო და უბანი. თეიმურაზ ბერიძე -----	57
14. მარადიული ხსოვნა – გურამ რჩეულიშვილის დალუპვიდან 50 წელი გავიდა. ლეგენდარული გურამ რჩეულიშვილი, დიდი სიცოცხლის ბოლო დღეები. ნუგზარ წერეთელი -----	65
15. პროზა	
16. 25 წლის წინანდელი მოთხრობა, „გურამი“. ირმა ბეგლარიშვილი --	75
17. პოეზია	
18. თამაზ აფციაური – ლექსები -----	88
19. მოგონება	
პაპაჩემის გაკვეთილები. ნოდარ ზედელაშვილი -----	97
20. თარგმანები	
21. „ნიკორწმინდა“, „მერანი“ (რუსულად თარგმნა - ელდარ როინიშვილი -----	102
22. ვიტალი კოროტკევიჩი. (თარგმნა - ნუგზარ წერეთელი) -----	107
23. პოეზია – ორსტროფიანი ლექსების გამა	
ნუგზარ წერეთელი -----	112
24. გოგლაობის დღესასწაული. ნოდარ ცხვირაგაშვილი -----	128

ვულოცავთ

მიმდინარე წლის 7 მაისს გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნუგზარ წერეთელს გადაეცა საპატიო სიგელი და მედალი „ქართული კულტურის ამავდარი“. ეს ჯილდო ბატონ ნუგზარს მიენიჭა იმ დღაწლისათვის, რაც მან შეიტანა ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებაში თავისი მუხლჩაუხრელი და დაუცხრომელი საქმიანობით.

ჩვენც, საზოგადოება „ცოდნის“ თანამშრომლები, ლექტორთა საზოგადოებრიობა, ჟურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ვულოცავთ ამ ჯილდოს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღევრძელობას და ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



საქმიანობა ახალი ამოცანების ბათვალისწინებით

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო – კულტურულ – საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, რომელსაც წლების წინ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური დადგენილება - განკარგულებით კავშირი ეწოდა, თავისი არსებობის მეშვიდე ათეულში მოღვაწეობს.

დღეს იდეოლოგიაზე და იდეოლოგიურ საქმიანობაზე ლაპარაკი შეწყდა. ჩვენი იდეოლოგია და საქმიანობის პროგრამა განლავთ საქართველოს კონსტიტუცია, ქვეყნის ხელმძღვანელობის დადგენილებები, მოხსენებები, ჩვენი საკუთარი წესდება, და რაც მთავარია წესიერი მუშაობის სურვილი, სიმშვიდე, პატიოსნება და სიანლისაკენ სწრაფვა.

დრო იყო „საზოგადოება ცოდნაში“ უამრავი ხალხი საქმიანობდა, ათასობით ლექტორი კითხულობდა ლექციებს. ძველ, სასაცილოდ გაბერილ მოხსენებებსა და ანგარიშებში ეწერა, რომ ლექციების რაოდენობა წელიწადში ორასიათასს აღწევდა, ლექტორების რიცხვიც ათასობითა და ათიათასობით განისაზღვრებოდა. ეს რაოდენობაც გარემოებათა მიხედვით იცვლებოდა, ხან ოცდახუთი ათასს, ხან ოცდაათს, ხანაც ორმოცს აღწევდა. ეს თითქმის სრული ფიქცია იყო, მაშინდელი ყველას ხელმძღვანელი და „სწორი“ გზის მაჩვენებელი რუსეთი თავად უშვებდა წამატებებს, ითხოვდა რაც შეიძლება მეტს და დარღვევებიც უხვად იყო დანერგილი. მაგალითად, მიდიოდა რაიონში ლექტორი და დღე-

ში ორ-სამ-ოთხ, ხან მეტ ლექციას კითხულობდა, ალბათ, მეტი ფული რომ გამოემუშავებინა. ეს დრო დაუბრუნებლად გაქრა. „საზოგადოება ცოდნის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მთელი კოლექტივი თავიდანვე ორიენტირებული იყო სულიერ ფასეულობებზე, უპირველესი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული ქართულ ენასა და ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, იურისპუდენციას, საერთაშორისო საკითხებს, ეკონომიკას, ეკოლოგიას და ა.შ. ცნობილ სოციალისტურ-კომუნისტურ საგნებსა და დისციპლინებს თითქმის საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. ჩვენ ხალხს, მით უმეტეს ახალგაზრდობას ვერავინ გააგონებდა ისტმატს, დიამატს, პარტიისტორიას, სოციალისტურ ფილოსოფიას, მაგნე, უინტერესო და გაუგებარ საგნებს.

როცა დრო კარდინალურად, ძირფესვიანად, ეპოქალურად შეიცვალა, „საზოგადოება ცოდნას“ უმთავრესად სწორედ იმან შეუწყო ხელი ყველა ფორმაციაში გაეგრძელებინა საქმიანობა, რომ სულიერი ფასეულობები ისევ დარჩა და ყველა დროის წარმომადგენლებისთვის მართლაც საინტერესო იყო, ეროვნული სულიერების პროპაგანდის პროცესი ბუნებრივად გრძელდებოდა. ისიც შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის წარმართვაში ქვეყნის ხელმძღვანელობა ხშირად გვიჭერდა მხარს, რასაც მოწმობს უამრავი დოკუმენტი, უმაღლესი ხელმძღვანელობის წერილები „საზოგადოება ცოდნის“ შესახებ, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელობისადმი მითითებები

„ცოდნის“ აუცილებელი დახმარებისა და საქმიანობაში ქმედითი ხელშეწყობის შესახებ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ასეთი მიმართულების დახმარება ძალიან შესუსტდა, თუმცა ჩვენ მოგვეცა თავისუფლება და ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ ვიფიქროთ, ვეძებოთ, მეტი ვიშრომოთ და ისე ვაკეთოთ ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო, სასარგებლო საქმე, თანაც საკუთარი საქმე ვაკეთოთ უანგაროდ და რაც შეიძლება მაღალ დონეზე, პრობლემებს ახლებურად, გაანგარიშებულად, შემოქმედებითად მივუდგეთ.

ბოლო პერიოდში ლექციური საქმიანობა უამრავი ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო მეტისმეტად შესუსტდა. უამრავი პარტიის ასე თუ ისე განსხვავებულმა, საკმაოდ მავნე იდეოლოგიამ ხელი შეუწყო საზოგადოების დაქსაქსვას, გაუცხოებას, გათითოკაცებას, ხალხში არეულობის შეტანას. სწორედ ასეთი ვითარების გამო ადგილი ჰქონდა ფაქტებს, როცა ჩვენი ლექტორები დუშეთის, ქარელის თუ ახალქალაქის რაიონებში იძულებული გახადეს ლექციები ჩაეშალათ და უშედეგოდ დაბრუნებულიყვნენ. ამასთან ერთად არავის არ უნდა კარგ საჯარო ლექციაში თუნდ 40-50 ლარი მაინც გადაიხადოს, ყველა მიზეზებს ეძებს, საბაზრო ეკონომიკასა და ფინანსურ კრიზისს იშველიებს, როცა რესტორან-სასადილოებსა თუ ღამის კლუბებს მუშტარი არ დალევია, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი გონების გზას კუჭის გზას ამჯობინებს. საერთოდ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ჭამა-სმას თავი რომ დავანებოთ, ხალხს ლექციების მოსმე-

ნას მიტინგებსა და აქციებში მონაწილეობა ურჩევნია. ჩვენი ლექტორები ძირითადად დაკავდნენ 250 თუ 300 აკრედიტებულ და არაკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, ახლა უკვე ქვეყნის ქალაქებსა, რაიონებსა თუ სოფლებში მივლინებით წასვლას და ხალხის გათვითცნობიერებაში მონაწილეობას ყოფილი პატრიოტები აღარც კადრულობენ. „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობაც თუნდ ფისკალური თვალსაზრისით ძალიან მძიმე დღეშია. ერთი ან ორი ლექტორის გაგზავნას რაიონში (თანაც მარტო წასვლა არავის არ უნდა) საგრძნობი თანხა სჭირდება, ბუნებრივია, გაიზარდა მგზავრობის, სასტუმროს, კვების ანუ ე.წ. დღიური ხარჯები, ადრე დანგრეულ-დამლილ საბჭოთა კავშირში არსებულ დღიურ ორ მანეთსა და 60 კაპიკს, დღევანდელ ჩვენს ფულზე რომ ვთქვათ, ორ ლარსა და 60 თეთრს არავინ არ დასჯერდება, ვერც დასჯერდება, რადგან ფასები ყველაფერზე მაღლა და მაღლა მიცოცავს. „ცოდნის“ გამგეობას კი ამდენი თანხები არც გააჩნდა და მით უმეტეს არც დღეს გააჩნია. ამიტომ ჩაიფუშა კავშირები ოლქებთან, ქალაქებთან, სოფლებთან, რაც სამწუხაროდ მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. დაიკარგა აგრეირად საჭირო სისტემატურობის ფაქტორი. თუ ადრინდელი წლების პრაქტიკის თანახმად დახმარება არ იქნება მთავრობისაგან ანუ ზემდგომი ინსტანციებისაგან „საზოგადოება ცოდნა“ მთელი ქვეყნის მასშტაბით მსგავს სიმძიმეს საკუთარი ძალებით ვერაფრით ვერ ასწევს, უბრალოდ ვერანაირად ვეღარ შეძლებს.

მიუხედავად სიძნელებისა, დღეს მაინც ტარდება ლექციები თბილისში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში და სხვაგან, რაც ბუნებრივია, სრულიადაც არ არის საკმარისი და ერთი დიდი მიზნისაკენ სწრაფვას ვერ ემსახურება, თანაც ეს ჩატარებული ლექციები ძირითადად არის უფასო, საქველმოქმედო ანუ ძველი კატეგორიებით რომ ვთქვათ, საორგანიზაციო ლექციები, იშვიათად თუ გამოერევა ფასიანი, რამაც „საზოგადოება ცოდნა“ ამ მიმართულებით უწინდესურ სვლას დიდად ჩამოარჩინა. მიუხედავად ასეთი ცხოვრებისეული სირთულეებისა, „საზოგადოება ცოდნა“ მაინც ამუშავებს და ამზადებს ახალ, თანამედროვე სალექციო თემატიკას, ახდენს ლექტორებთან მოლაპარაკებებსა და ლექტორთა სიების შედგენას, აგრეთვე სიების შედგენას იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებისა, სადაც ჯერ კიდევ არსებობს მოთხოვნილება, სურვილი მაღალი დონის ლექციებით ამაღლონ თვითგანვითარების დონე და ხელი შეუწყონ მოზრდილთა უწყვეტი განათლების პროცესს, რაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში დღემდის წარმატებით მიმდინარეობს. „საზოგადოება ცოდნის“ ძველი კადრები, ვინც ობიექტურ-სუბიექტური მიზეზებით ვერაფერს ან არაფერს აკეთებდნენ, დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან. ახლა მიდის მუშაობა იმ მიმართულებით, რომ შეიქმნას, ჩამოყალიბდეს ერთი მობილური ჯგუფი თუნდაც ოთხი-ხუთი ან მეტი თანამშრომლისაგან შემდგარი, ვინც მიხედავს ამ პრობლემას, შეთანხმებამოლაპარაკების მიზნით ქალაქებსა და რაიონებშიც ჩავა, ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც შეხვდება, მონდომე-

ბით შეეცდება ეს საჭირო, სასარგებლო ცხოვრებით აპრობირებული საქმე კვლავაც წინ წამოსწიოს, რადგან ლექტორის, ცნობილი ადამიანის ცოცხალ, უშუალო სიტყვას ხალხისათვის კონკურენტი არ გააჩნია, ხალხში ინტერესი არ დაკარგულა და არც დაიკარგება.

როგორც ცნობილია, ლექციურ-საინფორმაციო საქმიანობასთან ერთად „საზოგადოება ცოდნის“ ძირითადი სამოქმედო სფეროები საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობაა. შეიძლება ითქვას, რომ ამ უბნებზე უფრო მეტ, თვალსაჩინო წარმატებებს მივალწიეთ. თავის დროზე ყველა ქალაქსა და რაიონში ფუნქციონირებდა მოზარდთა უწყვეტი განათლების კერებად აღიარებული სახალხო უნივერსიტეტები. მათ შორის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის ბაზაზე მოქმედებდა სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. აქ სწავლება ორწლიანი იყო და ზემდგომი ორგანოების მითითებით მსმენელებს დიპლომიც ეძლეოდათ. 40 წლის ისტორიის მქონე სახალხო უნივერსიტეტი დროის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ ფასიან სამედიცინო კოლეჯად გარდაიქმნა, რომელმაც 18-20 წელი იარსება. ამ ბაზაზე, მართლაც დიდი, დაუღალავი და თავდადებული შრომის შემდეგ ჩვენ მივიღეთ ძალიან ძნელად მოსაპოვებელი სახელმწიფო აკრედიტაცია საქართველოს განათლების სამინისტროსაგან და სამი წლის წინ ასე დაარსდა „საზოგადოება ცოდნის“ ჰუმანიტარულ-ფარმაცევტული ინსტიტუტი, შემდგომ კი სასწავლო უნივერ-

სიტეტი. „ცოდნის“ კუთვნილი შენობის გამოუყენებელი და უვარგისი ნაწილების გასხვისების საშუალებით მიღებული თანხებით მთლიანად გავარემონტეთ კუთვნილი სართული და სალექციო დარბაზი, შევიძინეთ ოთხი ლაბორატორიისათვის საკმარისი მოწყობილობა, ასობით წიგნი და ჟურნალი ბიბლიოთეკისათვის, საჭირო ინვენტარი, კარადები, მაგიდები, სკამები, შევქმენით კომპიუტერული ცენტრი და ჩამოვყალიბეთ ფარმაცევტული ფაკულტეტი, სადაც ასწავლიან მაღალი დონის, მთელი ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები. ისიც უნდა ითქვას, რომ განვლილი ორი-სამი წლის მანძილზე უნივერსიტეტი თავისი ინფრასტრუქტურითა და სწავლა-განათლების ხარისხით ერთერთი საუკეთესოა ასევე მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. ძირითადად ფარმაციის სპეციალობის არჩევა განაპირობა იმან, რომ საქართველოს პრეზიდენტი თავის გამოსვლაში ხშირად უსვამდა ხაზს საქართველოში კვალიფიციური კადრების – მშენებლების, ფარმაცევტების და სხვა დარგების წარმომადგენლების ჯერ კიდევ დიდ სიმცირეს. ჩვენც შევეცადეთ გარკვეულწილად ხელი შეგვეწყო ამ ცხოვრებისეული პრობლემისათვის და ძალიან რთული მუშაობის შედეგად მოგვემზადებინა ახალგაზრდა ქართველი ფარმაცევტების მაღალკვალიფიციური კადრები, რაც დარწმუნებული ვართ, უკვე შევძელით და მომავალში კიდევ უფრო მეტ თვალსაჩინო წარმატებებსაც მივაღწევთ.

„საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტულ

ფაკულტეტზე სტუდენტებს ასწავლიან ისეთი ცნობილი, აღიარებული პროფესორები, როგორებიც არიან დღევანდელი ქართული ფარმაციის პატრიარქად წოდებული აკადემიკოსი ბიძინა ჭუმბურიძე, ფარმაცევტული და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები, სრული პროფესორები ნაილი შენგელიძე, თამაზ ჭუმბურიძე, ლალი სურმავა, ელდარ როინიშვილი, მადონა ჯორჯიკია, თამაზ მურთაზიშვილი, ჰილდა იორამაშვილი, სესილია სოსხაძე, მათა ქურციკიძე, ნელი ფხალაძე და სხვები, რომლებიც ახალგაზრდებს ყოველდღიურად გადასცემენ, უნერგავენ სწავლისა და შრომის საუკეთესო თანამედროვე მიღწევებს.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტის მეორე ფართო პროფილის ფაკულტეტი ანუ განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ ფილიალად აღიარებული უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს ახალქალაქში. ძირითადად სომხურენოვან რეგიონში წარმატებით მოქმედებს ფილოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სადაც ქართველი ახალგაზრდები სწავლობენ და პროფესორ როინ ყავრელიშვილის კოლეჯის ქართველ სტუდენტებთან ერთად ქართულ სიტყვას ახმიანებენ მაღალმთიან ახალქალაქში. ძალიან მკაცრი ზამთრისა და სიშორის მიუხედავად, ქართველი ახალგაზრდები მაინც მიდიან ამ რთულ რეგიონში და ცდილობენ დაეუფლონ მეცნიერების საფუძვლებს. მართალია, შემდეგ ბევრი უკან ბრუნდება, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადადიან, მაგრამ ის

ერთ და ორწლიანი ციკლები მაინც აკეთებს საკუთარ საქმეს, ქართულ სიტყვას ამკვიდრებს სომხურ – ენოვან მაღალმთიან რეგიონში, რაც მაღალკვალიფიციური კადრების მუშაობის პირობებში კარგ და სასურველ პერსპექტივებს სახავს.

წარმატებით მოქმედებს „საზოგადოება ცოდნის“ მესამე ორგანული მიმართულებაც, როგორცაა საგამომცემლო საქმიანობა. დრო იყო „საზოგადოება ცოდნაში“ მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ ტექნიკის სფეროდან 100-ზე მეტი დასახელების ბროშურა გამოდიოდა, რაც ხელმოწერის საშუალებით ურიგდებოდათ ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და რაიონების მცხოვრებლებს. „ცოდნის“ ხანით გამოდიოდა წიგნებიც, ჟურნალებიც, ბიულეტენებიც: „მეცნიერება და ტექნიკა“, „გულახდილი დიალოგი“, „კითხვა, პასუხი, პრობლემა“. ეს გამოცემებიც ფართო მკითხველი საზოგადოების საკმაოდ ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ. განვლილი 5-6 ურთულესი წლის მანძილზე ასევე გასხვისების გზით მიღებული თანხებიდან შევიძინეთ აუცილებელი მანქანა-დანადგარები, კომპიუტერები და ჩამოვყალიბეთ საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ გამომცემლობა, სტამბა.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო

კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ეგიდით უკვე ჩვენი ლექტორების, პროფესორ-მასწავლებლების, სპეციალისტებისა თუ თანამშრომლების მრავალი საუკეთესო წიგნი გამოდის. ამასთან ერთად აღვადგინეთ ან უფრო ზუსტად არ დაკარგეთ ჩვენი ტრადიცია და 2006 წლიდან გამოსვლა დაიწყო „საზოგადოება ცოდნის“ ორგანომ სქელტანიანმა სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალმა „სიტყვამ“, რომლის მოცულობა 150-200 გვერდით არის განსაზღვრული და აქვეყნებს მეცნიერების, მწერლების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების საყურადღებო ნაშრომებს, სამეცნიერო გამოკვლევებსა და სტატია-წერილებს. უკვე გამოვიდა ჟურნალის 10 ნომერი, მზადდება მეთერთმეტე-მეთორმეტე ნომერი და ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სოლიდური, თანამედროვე, გაწონასწორებული გამოცემა უკვე სარგებლობს მკითხველების ყურადღებითა და მოწონებით.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი, თანამედროვე გამოწვევების, რთული ამოცანების წინაშე და მთელი მონდომებით ცდილობს გულმოდგინე საქმიანობით მაღალ დონეზე წარმართოს საკუთარი საქმიანობა.

**საქართველოს საერთაშორისო
„საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა**

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნას“ სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის წარდგინებით ვაქვეყნებთ პირველი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების საჟურნალო ვარიანტებს, რაც გარკვეულ სტიმულს მისცემს სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის სამეცნიერო ჩვეულებათა დანერგვასა და გაშლა-განმტკიცებას.

სარედაქციო კოლეგია

ქართული მუმიოს ქიმიური შემადგენლობის შესწავლა

ბ. ჭუმბურიძე, მ. ჯორჯიკია, პ. იორამაშვილი, თ. ჩიკვილაძე, თ. ოთარაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი

აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხურ მედიცინაში (ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, ირანი, არაბეთი და სხვები) უძველესი დროიდან ფართოდ გამოიყენებოდა მუმიო, როგორც სამკურნალო საუშუალება.

სახელწოდება „მუმიო“ ბერძნული წარმოშობისაა, იგი ქართულად გულისხმობს „სხეულის შემნარჩუნებელს“. ამავე სახელწოდებით მოიხსენიება ირანში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში.

ქართულ სამედიცინო კარაბადინებში: ქანანელის – „უსწორო კარაბადინი“, დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“, ზაზა ფანასკერტელის – „სამკურნალო წიგნი“ და სხვა. ხაზგასმითაა მითითებული მუმიოს ეფექტურობაზე ძვლების მოტეხილობის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სიმ-სივნეების, ჩირქოვანი იარების და სისხ-

ლძარღვთა დაავადების სამკურნალოდ აღნიშნულ წყაროებში მუმიოს სახელწოდების სინონიმად მითითებულია „მთის ფისი“ და „მინერალური შავი ფისი“.

არისტოტელე, ავიცენა, ბერინი, მუჰამედ ტაბიბი და ბევრი სხვა ძველი მედიკოს ფილოსოფოსები აღწერენ მუმიოს ჯადოსნურ მოქმედებას.

XX საუკუნის გამოჩენილი კლინიცისტები: ტ. აბღურაზიმოვი მუმიოთი წარმატებით მკურნალობდა ქვედა კიდურების ვენების ტრომბოფლებიტს, ა. ვიშინსკი კავკასიურ მუმიოს წარმატებით იყენებდა წყლულოვანი კოლიტების სამკურნალოდ, ვ. კაზლოვსკია და ა. მამდალიევი აღნიშნავენ მუმიოს დადებით ეფექტს პერიფერიული ნერვული აპარატის ტრამული დაზიანების დროს.

მრავალი კლინიკური გამოკვლევები მიეძღვნა მუმიოს ეფექტურობის შესწავლას ქირურგიულ და დამწვრობის მკურნალობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია მუმიოს რეგენერაციული მოქმედება.

მუმიოს წარმოშობის შესახებ სხვადასხვაგვარი აზრი არსებობს. ეს მოსაზრებანი შეიძლება დავყოთ 3 ჯგუფად: მინერალურ, მცენარეულ და ცხოველურად. უნდა ვივარაუდოთ, რომ მუმიოს წარმოქმნის განსხვავებული პირობები და წყაროები არსებობს, მათ შორის კომპლექსური.

ერთ-ერთი წყაროა ველური ფუტკრის პროდუქტების, მათ შორის ფუტკრების ანაერობული გარდაქმნის და მინერალურ ნაერთებთან ურთიერთ-მოქმედების პროდუქტები მაღალმთიან სპეციფიკურ პირობებში. ამ შეხედულების დამადასტურებელია მუმიოს ქიმიური შემადგენლობა ძირითადად ორგანული და აგრეთვე არაორგანული.

საყურადღებოა აგრეთვე მცენარეული, ცხოველური და მინერალური წყაროების ერთობლიობა. მუმიოს წარმოქმნის პროცესი აქაც სპეციფიკური იქნება.

ნატურალური მუმიოს წარმოქმნა ცხოველთა ნაშთებიდან ძნელად წარმოსადგენია, რადგან ჩვეულებრივ მუმიო მოიპოვება მაღალ მთებში, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუმიოს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი სილიციუმის ორჟანგია. აზრის მაღალმთიან რაიონებში მუმიოს

უწოდებენ „მთის სისხლს“, „კლეთა ცრემლებს“, „მთის ცვილს“ და სხვა.

რაც შეეხება ცხოველური ნედლეულიდან მიღებულ ხელოვნურ „მუმიოს“, იგი არ შეიძლება ჩავთვალოთ ნატურალურ მუმიოს სახეობად. ტიან-შანის და ალტაის მთების (ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, ყირგიზეთი, ნეპალი) არაბეთის, მცირე აზიის მუმიოს ნიმუშების ქიმიური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევების შესახებ ლიტერატურაში საკმაო მონაცემები მოიპოვება. ამ მონაცემებით ჩანს, რომ სხვადასხვა რეგიონის მუმიოს ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ურთიერთისაგან.

ყირგიზეთის (ტიან-შანი) მუმიოს ნიმუშების ფიზიკური თვისებებით და ქიმიური შემადგენლობის კვლევის მონაცემებით იგი შავი ფერის მასაა, წყალში და სპირტში იხსნება, ლღვება 196-200⁰, აქვს სპეციფიკური სუნი და მწარე გემო წყალხსნარის $\rho = 6,5-7,0$, დაწვის შემდეგ დარჩენილი ნაცარი 25%, ნახშირბადი 45-46%, წყალბადი 5,1%, აზოტი 5,0-5,5%, ფენოლური ნაერთები 2-3%, ბენზოეს მჟავას 5,0-5,3%, ჰიპურის მჟავა 3-4%.

უნდა აღინიშნოს, რომ მუმიოს დასტანდარტება გაძნელებულია იმიტომ, რომ სხვადასხვა რეგიონიდან აღებული ნიმუშების შემადგენლობა ურთიერთისაგან მნიშვნელოვნად არის განსხვავებული.

საჭიროა ქართული მუმიოს ქიმიური გამოკვლევა და მასზე ტექნი-

კური პირობების შექმნა, რათა დავადგინოთ ჩვენი ნედლეულის მედიცინაში გამოყენების შესაძლებლობა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს გეოლოგიური ძიებით მთათუშეთის მთებში მოპოვებული მუმიოს ნიმუშები.

ანალიზის ჩასატარებლად გამოვიყენეთ ფარმაკოპეული მეთოდები: ფიზიკური, ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური, მათ შორის ქრომატოგრაფიული და ელექტრომეტრული.

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული მუმიო მუქი ყავისფერი, ფისისმაგვარი, ბზინავი მასაა, რომელიც წყალში იხსნება. ხსნადობა ცხელ წყალში იზრდება. წყალხსნარს აქვს თავისებური სუნი. წყლიანი ხსნარი შენჯღრევისას ქმნის მდგრად ქაფს.

0,2გ მუმიოს 20% 10 მლ. გოგირდმჟავაში გახსნისას შეიგრძნობა ხილის ესენციის სუნი.

1% მუმიოს წყლიანი ხსნარის pH 6,5-8,5-მდეა.

მუმიოში ნალვლის პიგმენტების განსაზღვრისათვის 0,1გ. მუმიოს ვხსნიდით 5% სულემის ხსნარში და ვტოვებდით ერთი დღე-ღამის განმავლობაში. მკვრივი ნაწილაკები ილექებოდა, ხოლო სითხე იფერებოდა ვარდისფრად, რაც სტერკობილინის – ნალვლის პიგმენტების არსებობაზე მიუთითებს.

მუმიოში ორგანული მჟავების განსაზღვრა მოვანდინეთ თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდით სილუფოლის ფირფიტაზე, გამხსნელ-

თა სისტემაში ბეთანოლი-ძმარმჟავა-წყალი (8 : 2 : 2). ფირფიტას ვამჟღავნებდით 0,04% ბრომფენოლ-ლურჯას სპირტიანი ხსნარით. დავადგინეთ, რომ მუმიო შეიცავს მჟაუნმჟავას და ბენზოეს მჟავას.

საკვლევ ობიექტში ჩვენს მიერ სტანდინკოვის მეთოდით განსაზღვრულ იქნა გუმინ მჟავას რაოდენობა, რომელიც 11,2-15%-მდეა. ასევე კიელდალის მეთოდით განსაზღვრულ იქნა აზოტის რაოდენობა, რომელიც 0,33-0,37%-მდეა, წონაში დანაკარგი 4,9-5,6%, ხოლო სულფატური ნაცარი 25,0-30,0%-მდეა.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ტექნიკური პირობების პროექტი. ქართული მუმიოს ტექნიკური პირობები შეიძლება გამოყენებული იქნას შემდგომი გამოკვლევებისათვის და ჩვენი რეგიონის მუმიოს სტანდარტიზაციისათვის.

ლიტერატურა:

1. ბ. ჭუმბურიძე, ქ. ბარამიძე, ბროშურა ფუტკრის პროდუქტები და მუმიო ხალხურ მედიცინაში. თბილისი, 1992წ.
2. სახელმწიფო ფარმაკოპეა, ტ. I, თბილისი, 1998 წ.
3. . . . , . . .
– . . .
, 1980 .
4. . . . -
, 1960 .
5. . . . -
,
1974 .

რეზიუმე

ქართული მუმიოს ქიმიური შემადგენლობის შესწავლა

ბ. ჭუმბურიძე, მ. ჯორჯიკია, ჰ. იორამაშვილი, თ. ჩიკვილაძე, თ. ოთარაშვილი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და
ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი

მუმიო უხსოვარი დროიდან გამოიყენება აღმოსავლური ქვეყნების ხალხურ მედიცინაში ძვლების მოტეხილობის, კუჭ-ნაჭლავის, სიმსივნეების და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ.

XX საუკუნეში მუმიოს ექსპერიმენტულ და კლინიკურ გამოკვლევას მრავალი შრომა მიეძღვნა. ჩვენში ჯერჯერობით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არ არის ნებადართული სამკურნალო მიზნით მუმიოს გამოყენება, რადგან მუმიოზე სათანადო სტანდარტი არ არსებობს.

შრომის მიზანს წარმოადგენდა მუმიოს სტანდარტის შემუშავების მცდელობა. გამოკვლევულ იქნა მთათუშეთში შეგროვილი მუმიოს ნიმუშები და შედგენილ იქნა ტექნიკური პირობები ქართულ მუმიოზე.

ტექნიკური პირობების პროექტი შეიძლება საფუძვლად დაედოს ქართული მუმიოს სტანდარტს.

Summary

Chemical compounds of the Georgian Mumio

Department of Pharmaceutical and toxicological chemistry of the Tbilisi State
Medical University

B.Chumburidze, M.Jorjikia, H.Ioramashvili, T.Chikviladze, T. Otarashvili

Since olden times MUMIO has been applied in medicine of east countries for treatment of bone fracture, gastroenteric, cardiovascular and cancer diseases.

In 20-th century many works have been devoted to experimental and clinical research of Mumio. Application of Mumio for medical purposes in Georgia is not yet authorized by Ministry of Health, because there is no appropriate standard for Mumio.

The purpose of the work is an attempt of development of the standard for Mumio. Samples of Mumio collected in Mtatusheti have been investigated and specifications for Mumio have been made.

Specifications can lay down in a basis to the standard of Georgian Mumio.

**ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო საშუალებები
საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე (მიმოხილვა)**

ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტი

ნ. გორგასლიძე, ნ. შენგელიძე, ნ. სურმავა, ნ. ნიჟარაძე

საქართველოში რეგისტრირებული მრავალრიცხოვანი სამკურნალო საშუალებებიდან დიდ ინტერესს იწვევს მოსახლეობის ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხი. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შევეცადეთ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვებული ანალგეზიური საშუალებების ასორტიმენტის ანალიზი გაგვეკეთებინა ფარმაკოლოგიური და ფარმაცევტული ფაქტორების გათვალისწინებით.


საკითხი შევისწავლეთ "მომხმარებელზე ორიენტაციის" გამომხატველი ფაქტორების გათვალისწინებით ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე, რისთვისაც ვისარგებლეთ საქართველოს ფარმაცევტული პროდუქტების უწყებრივი რეესტრით.

დღეისათვის საქართველოს სამკურნალო საშუალებების უწყებრივი რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებულია სხვადასხვა სავაჭრო სახელწოდების, წამლის ფორმისა და დოზირების ტკივილგამაყუჩებელი 196 პრეპარატი. აქედან 59 კომბინირებულია.

კვლევის პირველ ეტაპზე შევისწავლეთ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვებული სასიცოცხლოდ აუცილებელი (**ესენციური**) ანალგეზიური, სიცხის დამწვევი, ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული მედიკამენტების, პოდაგრის და რევმატული დაავადებების სამკურნალო პრეპარატების სპექტრი. შედეგი ასეთია:

1. არანარკოტიკული ანალგეტიკი - 5 დასახელება წამლის 4 ფორმით (ტაბლეტი, კაფსულა; სიროფი, სანთელი). ესენია **"ჭაცეტილსალიცილის მჟავა"** რეგისტრირებულია 6 ქვეყნის 7 მწარმოებლის (მათ შორის 2 სამამულო წარმოების) ტაბლეტირებული წამლის ფორმა. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის რეგისტრირებული ამ გენერიული სუბსტანციის შემცველი ისეთი წამლის ფორმები, როგორცაა კაფსულები, სიროფი და სუპოზიტორიები; **"პარაცეტამოლი"**- ბაზარზე დაშვებულია 9 ქვეყნის 17 მწარმოებლის წამლის 3 ფორმა, (ტაბლეტები, სუპენზია და სუპოზიტორია); ასევე დაშვებულია **"ალოპურიინოლი"** ერთი მწარმოებლის ტაბლეტირებული ფორ-


მა, ორი ქვეყნის ორი მწარმოებლის **იბუპროფენი** – (ტაბლეტის და სიროფის ფორმით) და ერთი მწარმოებლის **ინდომეტაცინი** (მალამოს ფორმით). შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე.




2. რევმატიული დაავადების სამკურნალო - 2 საშუალება ტაბლეტირებული და 1 საინექციო ფორმის სახით; ისინი 3 ქვეყნის 3 სხვადასხვა მწარმოებლის პრეპარატებია.

საქართველოში რეგისტრირებულია 2 ქვეყნის 2 მწარმოებლის საინექციო ამპულირებული და ტაბლეტის ფორმის პრეპარატი. **ნარკოტიკული** (ოპოიდური) ანალგეზიური 1 საშუალება საინექციო ხსნარის ფორმით -

ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ფარმაცოლოგიური ჯგუფის სამკურნალო საშუალებების საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვებული მწარმოებლებიდან ლიდერობს გერმანიის 5 მწარმოებელი; საქართველოს



-4; საფრანგეთი, ბულგარეთი და უკრაინა წარმოდგენილია ორ-ორი მწარმოებლით, ხოლო აშშ, ავსტრია, ბელორუსია, სლოვენია, ეგვიპტე, თურქეთი, და კანადა - თითო-თითო მწარმოებლით. შედეგები ასევე წარმოდგენილია ქვემოთმოყვანილ დიაგრამაზე.




სულ ამ ფარმაცოლოგიური ჯგუფიდან საქართველოს ფარმაცევტულ ბა-

ზარზე წარმოდგენილია 12 ქვეყნის 22 მწარმოებლის 32 ესენციალური სამკურნალო საშუალება.


კვლევის შემდგომ ეტაპზე შევისწავლეთ ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების (ესენციალურის ჩათვლით) საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვების საერთო სურათი მწარმოებელი ქვეყნებისა და მწარმოებელი კომპანიების მიხედვით. **საქართველოში დღეისათვის რეგისტრირებულია 34 ქვეყნის 87 მწარმოებლის ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო საშუალებები.** დარეგისტრირებულ უცხოელ მწარმოებლებს შორის ლიდერობს ინდოეთის და გერმანიის კომპანიები საანალიზო სემენტიის 8 სამკურნალო საშუალება (სხვადასხვა წამლის ფორმით) სასიცოცხლოდ აუცილებელ ჩამონათვალს მიეკუთვნება – რომლებიც აცეტილსალიცილის მჟავას ნაწარმებია.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოდგენილია: ინდოეთის 17 (19,5%); ფარმაცევტული კომპანია; უკრაინის 8 (9,2%); გერმანიის 11 (12,64%); საქართველოს 9 (10,3%); რუსეთის 5 (5,7%); ეგვიპტის 3 (3,44%); თურქეთის 3 (3,44%); პოლონეთის 3 (3,44%); საფრანგეთის 3 (3,44%); ბულგარეთის 2 (2,29) და სხვა დანარჩენი ქვეყნების თითო მწარმოებელი.

დარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების მწარმოებლებისა და ქვეყნების შესახებ სტატისტიკური მონაცემები დიაგრამის სახით ასეთია:



ანალიზის დროს გამოიკვეთა, რომ ევროპის ქვეყნებიდან საქართველოს ბაზარზე შემოსულია 25 (73,5%), ამერიკის კონტინენტის 3 (8,82%); ავსტრალია – 1; აფრიკის -1; აზიის – 4 (11,76%);



პრეპარტების შემადგენლობიდან გამომდინარე ფარმაკოლოგიური მოქმედების სურათი ასეთია: გამოიკვეთა შემდეგი ფარმაკოლოგიური ჯგუფები: 1. ანალგეზიური, ანტიპირეტული, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, 2. ანთების საწინააღმდეგო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება **ქსოვილის რეგენერაციის მასტიმულირებელი მოქმედებით**, 3. ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო **არასტეროიდული** საშუალება, 4. ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, **სადეზინფექციო** და შემომგარსველი **ლარინგოლოგიური საშუალება**, 5. ანალგეზიური, ანტიპირეტული, **ანტიჰისტამინური** საშუალება, 6. ანალგეზიური, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, **მიორელაქსანტი**, 7. ანალგეზიური, **სპაზმოლიზური**, სიცხის დამწვევი საშუალება, 8. ანალგეზიური და **სპაზმოლიზური** საშუალება, 9. **ანტისეპტიკური**, ანალგეზიური საშუალება, 10. **კომბინირებული** სიცხის დამწვევი და ანალგეზიური საშუალება, 11. **არასტეროიდული** ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, 12. ანალგეზიური **ნარკოტიკული და მათ შორის ოპიოიდური** საშუალება, 13. ანალგეზიური, სიცხის დამწვევი **არანარკოტიკული** საშუალება, 14. **ადგილობრივი** გამოყენების ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, 15. ანალგეზიური, ანტიპირეტული **პარასამკურნალო** საშუალება, 16. **ანტირევმატული**, ანთების საწინააღმდეგო, 17. ტკივილგამაყუჩებელი, **თერ-**


მული დამწვრობის სამკურნალო პარასამკურნალო საშუალება, 18. **საანესთეზიო** და ანალგეზიური საშუალება, 19. ანალგეზიური, **საანესთეზიო ადგილობრივი** გამოყენების საშუალება, 20. ანთების საწინააღმდეგო, ანალგეზიური **პარასამკურნალო** საშუალება, 21. ადგილობრივი მოქმედების ანალგეზიური საშუალება **გარეგანი** გამოყენებისთვის, 22. ანთების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი **პარასამკურნალო** საშუალება, 23. სედატიური, სპაზმოლიზური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება, 24. **დერმატოლოგიური** პრეპარატი ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი და **შემახორცებელი (რეგენერაციული)** მოქმედებით და სხვა.

ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ფარმაკოლოგიური მოქმედება განპირობებულია სამკურნალო საშუალებების შემადგენლობაში ერთი ან რამდენიმე მთავარმოქმედი ინგრედიენტის არსებობით. ასე მაგ. დიკლოფენაკის შემცველი 13 საშუალებიდან ერთკომპონენტიანია 8 პრეპარატი, კომბინირებული – 5; ანალგინის შემცველი 23 პრეპარატიდან 12-ში მთავარმოქმედი მხოლოდ მეტამიზოლი, ხოლო 11 – კომბინირებულია.


სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული 16 დასახელების პრეპარატიდან 7 მორფინის შემცველია, მორფინისა და კოდინის შემცველი – 1 (ომნოპონი), 5 – მეტადონის, პრომედოლის – 1, ტრამადოლის – 1, 1 კი კომბინირებული სამკურნალო სა-

შუალეხაა დარეგისტრირებული. აღნიშნულ ჯგუფში ლიდერობს ინდოეთის მწარმოებლები (7), შემდეგ აშშ (5), თითო თითო კი ირლანდიის და ბულგარეთის მწარმოებლებია.

საინტერესო სურათი გამოიკვეთა, ასევე, რეგისტრირებული წამლის ფორმების ანალიზით, კერძოდ: 102 მყარი წამლის ფორმებიდან ტაბლეტირებული სახითაა 92, აქედან ჩვეულებრივი ტაბლეტი – 75; სუბლინგვალური – 1; საწუწნი – 1; შუშხუნა ტაბლეტი – 8; გახანგრძლივებული მოქმედების ტაბლეტი – 6; ნაწლავებში ხსნადი ტაბლეტები -1; კაფსულები – 6, მათ შორის გახანგრძლივებული მოქმედების -1; ფხვნილი-2.



რბილი წამლის ფორმებიდან აღსანიშნავია გელი – 2, კრემი – 2, ლინიმენტი – 1, მალამო - 8) და ვაგინალური სუპოზიტორია – 1, რექტალური სუპოზიტორია – 14.




სითხოვანი წამლის ფორმის 41 – პრეპარატიდან საინექციოა –26; გარეგანი გამოყენების –4; ორალური – 11 (კონცენტრატის-1, სუსპენზიის-2, სიროფის-6, ნაყენის-1 და წვეთების-1 სახით).

საანალიზო ჯგუფის აეროზოლებიდან ბაზარზე დაშვებულია – 4.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვაჩვენა, რომ დარეგისტრირებული 196 ერთეული გენერიული პრეპარატია. მიგვაჩნია, რომ ეს ეფაქტი დადებითად აისახება საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაბალი ფასებისა და მოქმედების ფართო სპექტრის გამო, თუმცა პაციენტების ინტერესებიდან გამომდინარე დღის წესრიგში უნდა იდგეს ყოველთვის ინოვაციის დანერგვა.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბაზარზე ისეთი წამლის ფორმების არსებობის აუცილებლობაც, როგორცაა პლასტირები, ერთჯერადი მოქმედების აპლიკატორები, დრაჟეები, გრანულე-

ბი, ემულსიები და სხვა. საჭიროა გამ-
ახვილებულ იქნას ასევე ყურადღება
თვალის, ცხვირის, ყურის, სტომატო-
ლოგიაში გამოსაყენებელი, ურე-
თრალური რბილი წამლის ფორმები-
თან დაკავშირებით, ხოლო საინექციო
წამლის ფორმებიდან ზურგის ტვინის
არხში, პლევრაში შესაყვანი საშუალე-
ბებით ფარმაცევტული ბაზრის უზრუნ-
ველყოფაზე.



ჰომეოპათიის ბანკითარების მოკლე ისტორიული ცნობები

ნინო ცაგარეიშვილი, ნინო ქურდიანი, ლალი მიქაია

ჰომეოპათიის ისტორია მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და მას საფუძველი გერმანელმა მეცნიერმა საშუელ ჰანემანმა ჩაუყარა. საქართველოში მედიცინის ეს დარგი სიანლელ ითვლება, თუმცა იგი ოფიციალურად ლეგალიზებულია და ჰომეოპათიური საშუალებების რეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონით წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ, მუხლი 11.

რას წარმოადგენს ჰომეოპათია და როგორია მისი ადგილი თანამედროვე მედიცინაში?

ჰომეოპათია ეს არის ბიომარეგულირებელი თერაპია, რომელიც მართავს და აწესრიგებს ორგანიზმის ადაპტაციურ მექანიზმებს და ხელს უწყობს განკურნებას ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებები, ალოპათიურისგან განსხვავებით გამოიყენება მცირე დოზებით, მომზადებულია განსაკუთრებული ტექნოლოგიებით, რომელიც მოწოდებულ იქნა ს. ჰანემანის მიერ.

ფრანგი ექიმი – ჰომეოპათი დ. გრანჟორჟი თავის ერთ – ერთ ნაშრომში (1999წ) წერდა, რომ ჰომეოპათია წარმოადგენს გამოჯანმრთელებ-

ის ხელოვნებას, იგი შესანიშნავად ავსებს ალოპათიას. გვერდითი ეფექტების არარსებობის გამო ჰომეოპათია პასუხობს ექიმის მოღვაწეობის მთავარ პრინციპს – *Primum non nocere* (პირველ რიგში არ ავნო).

ჰომეოპათია არის ალტერნატიული მკურნალობის მეთოდი, რომელიც ემყარება სამ ძირითად პრინციპს: მსგავსის მსგავსით მკურნალობა, მცირე დოზებით მკურნალობა და პოტენცირება, ანუ ღინამიზაცია.

"მსგავსის მსგავსით" მკურნალობა პირველად გააჟღერა კლინიკური მედიცინის ფუძემდებელმა – ჰიპოკრატემ (460-375წ. ჩვ.წ. აღრ-იცხ.) მას შემდგომში მხარი დაუჭირეს სხვა მეცნიერებმა და ექიმებმაც (პარაცელსი, სტალი და სხ.).

მე-16 საუკუნეში ჰომეოპათიით დაინტერესდა, ნატურალისტი და ალქიმიის მაგისტრი შვეიცარიელი ექიმი პარაცელსიც, რომელმაც გააცოცხლა იდეა "მსგავსის მსგავსით" მკურნალობის შესახებ. იგი ამბობდა: "არასოდეს ცხელი ავადმყოფობა არ იკურნება რაიმე ცივით, ცივი – რაიმე ცხელით, მაგრამ ხდება ისე, რომ მსგავსი მსგავსს ჰკურნავს." პარაცელსმა გამოიყენა რამდენიმე მეთოდებისა და სამკურნალო ბალახების თვისებების ცოდნა (ეს

ცოდნა მან ბუნების უსაზღვრო სიყვარულის შედეგად შეიძინა), რადიკალურად შეცვალა თავისი დროის მედიცინა და ფილოსოფიური აზროვნება.

მსგავსების პრინციპი ექსპერიმენტულად შეისწავლა და განავითარა კლასიკური ჰომეოპათიის ფუძემდებელმა, გერმანელმა მეცნიერმა ფრიდრიხ ქრისტიან სამუელ ჰანემანმა (1755-1843წ) და შექმნა მედიკამენტოზური თერაპიის ექსტრარდინალური ფორმა – ჰომეოპათია.

ჰომეოპათია და ჰანემანი პოპულარული გახდა მთელს ევროპაში 1812 წლიდან, როცა ევროპაში იფეთქა ტიფის ეპიდემიამ. ჰანემანმა ჰომეოპათური საშუალებებით განკურნა 180 ავადმყოფი (დაღუპა მხოლოდ ერთი ადამიანი).

ჰანემანის უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაშრომია – "ქრონიკული დაავადებანი, მათი ბუნება და ჰომეოპათიური მკურნალობა." პირველად ეს ნაშრომი ხუთ ტომად გამოქვეყნდა დრეზდენში 1828 წელს.

ჰანემანი გარდაიცვალა 1843 წლის 2 ივნისს. მისი ნეშტი 1898 წელს, პარიზის მთავრობის ხელშეწყობით, მონმარტრიდან გადასვენეს პერლაშენის სასაფლაოზე. ჰანემანის ძეგლზე არის მის მიერ შერჩეული ლათინური ლექსი: "Non inutilis vixi" – მე ფუჭად არ მიცხოვრია. ლონდონში არსებულ ჰომეოპათიური ფონდის მუზეუმში ინახება ჰანემანისეული რელიქვიები:

პატარა ჩემოდანი წამლებით, შლაპა, სამუშაო მაგიდა და სავარძელი.

ჰანემანი იყო არა მხოლოდ ექიმი, არამედ ქიმიკოსიც, მათემატიკოსიც, ფილოსოფოსიც და ლინგვისტიც. იცოდა რა რვა ენა, მათ შორის კარგად ფლობდა ბერძნულს. სწორედ ბერძნულის ცოდნა დაეხმარა მას ჰიპოკრატეს ნაშრომების შესწავლაში.

მის მიერ შემოთავაზებული პრეპარატების ფარმაკოლოგიური შეფასება დღესაც წარმატებით გამოიყენება.

ჰანემანის დამსახურებაა ჰომეოპათიის ძირითადი დებულებების ჩამოაყალიბება, რომლებიც თავის აქტუალობას დღესაც ინარჩუნებს:

– მსგავსის მსგავსით მკურნალობა როგორც ერთიანი კანონი, რომელიც ჰომეოპათიაში წამლების შესარჩევად გამოიყენება;

– მკურნალობა სამკურნალო ნივთიერებების მცირე დოზებით.

– წამლის მომზადების თავისებური ტექნოლოგიები, თანმიმდევრული განზავებების გამოყენებით.

ჰანემანის მიერ შემოთავაზებული თერაპიის ახალი მიმართულება – ჰომეოპათია, ააქტიურებს ორგანიზმის შინაგან თვითგანკურნებად ძალებს.

ჰანემანის სიკვდილის შემდეგ, მის საქმეს ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდა. ერთ-ერთი მათგანი იყო

კონსტანტინე ჰერინგი (1800–1881წ). იგი ლეიპციგში სწავლობდა და ეუფლებოდა მედიცინას. ჰერინგი სკეპტიკურად იყო განწყობილი ჰომეოპათიის მიმართ. მას შესთავაზეს დაეწერა კრიტიკული სტატია ჰანემანის შრომებთან დაკავშირებით, რაზეც სიხარულით დათანხმდა, თუმცა რაც უფრო მეტად ეცნობოდა ჰანემანის შრომებს, მით უფრო ინტერესდებოდა ჰომეოპათიით. ჰერინგს უკავშირდება შემდეგი ისტორია – მას ძლიერი ანთება განუვითარდა კიდურზე, ალოპათიური მედიცინა უძლური გამოდგა და შეიქმნა ხელის ამპუტაციის საშიშროება.

მას შემდეგ, რაც მან მიმართა ჰომეოპათიურ საშუალებებს იგი განიკურნა. ყოველივე ამან რადიკალურად შეცვალა ჰერინგის წარმოდგენა ჰომეოპათიის მიმართ და ძირეულად შეუდგა მის შესწავლას.

1833 წელს ჰერინგი საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა და ჰომეოპათიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი გახდა. მან 1835 წელს, რამდენიმე სხვა ექიმთან ერთად, შექმნა მსოფლიოში პირველი სამედიცინო სკოლა, სადაც ასწავლიდნენ ჰომეოპათიას.

1844 წელს ჰერინგმა ნიუორკელ და ბოსტონელ ექიმთა ჯგუფთან ერთად დაარსა ამერიკული ჰომეოპათიური ინსტიტუტი. ოთხი წლის შემდეგ იგი ვილიამსონთან (Williamson) და ჯენესთან (Jeanes) ერთად პენსილ-

ვანიაში აარსებს სამედიცინო ჰომეოპათიურ კოლეჯს, რომელიც შემდგომში ჰანემანის სახელობის სამედიცინო კოლეჯი გახდა.

ჰერინგმა თავის ნაშრომში – "ჰერინგის საექიმო კანონები", აღწერა გამოჯანმრთელების ბუნებრივი პროცესი. მასში დეკლარირებულია:

1. გამოჯანმრთელება იწყება შიგნიდან, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ორგანოებიდან, შემდეგ ვრცელდება სხეულის ზედაპირზე (შინაგანიდან გარეგანი სკენ). მაგ.: კუჭის პრობლემები უფრო სწრაფად მოგვარდება, ვიდრე კანის.

2. გამოჯანმრთელება მიმდინარეობს ზევიდან ქვევით, ანუ მდგომარეობის გაუმჯობესება იწყება თავიდან ან სხეულის ზედა ნაწილებიდან. მაგ.: თავის ტვინის დაავადების სიმპტომები უფრო სწრაფად ქრება, ვიდრე მუხლის, გულის დაავადების სიმპტომები უფრო სწრაფად ქრება, ვიდრე კუჭის.

3. სიმპტომები ხელახლა გამოვლინდება იმ თანმიმდევრობით, როგორც თანმიმდევრობითაც ისინი ალაგდენ (ძველი ახლისკენ) – ჰომეოპათიური მკურნალობის დროს ძველი სიმპტომები შეიძლება დაბრუნდეს, როდესაც ორგანიზმის გამოჯანმრთელება დაიწყება, რაც ავადმყოფმა, თუ იგი წინასწარ ინფორმირებული არ არის რეციდივად ჩათვალოს.

შეერთებულ შტატებში ჰომეოპათიას საფუძველი 1825 წლიდან ჩაე-

ყარა, ექიმ ჰანს გრემის მიერ. იგი დაიბადა ბოსტონში, ჰომეოპათიური განათლება მიიღო კოპენჰაგენში ექიმ ლანდთან, რომელიც ჰანემანის მოწაფე იყო. გრემმა რამდენიმე პრაქტიკოს ექიმს შეასწავლა ჰომეოპათია, მათ შორის იყო სწორედ ვანდერბურგი, რომელმაც ხელი შეუწყო ჰომეოპათიის გარცელებას მთელს კონტინენტზე.

1880 წლისთვის ამერიკაში არსებობდა უკვე ოცზე მეტი სამედიცინო ჰომეოპათიური კოლეჯი, თითოეულ შტატში ფუნქციონირებდა სამედიცინო ჰომეოპათიური საზოგადოება, მაგრამ საუკუნის ბოლოსთვის ჰომეოპათიურ სკოლებში სწავლება შორდა და ჰანემანის მიერ მოწოდებულ პრინციპებს.

ამ პერიოდში სენტ ლუისში ჰომეოპათიის შესწავლა დაიწყო ჯეიმს ტაილერ კენტმა (1849–1916წ.) იგი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო ჰომეოპათ-პრაქტიკოსი და პედაგოგი. კენტმა დიდი როლი ითამაშა ამერიკაში ჰომეოპათიის განვითარებაში, თუმცა მისი თანამედროვენი ეჭვის თვალით უყურებდნენ, რადგან მან გარკვეულწილად შეცვალა ჰანემანისეული პრინციპი – უსაზღვროდ დაბალი დოზების შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფარმაცევტული ჰომეოპათიური მრეწველობა ვითარდება 1840-1910 წლებში შექმნილი პატარ-პატარა კომპანიების ხარჯზე. ამჟამად მოქმედი კომპანიებიდან მხოლოდ Standart

Homeopathic (1903წ) და Luyties Parmacal (1853წ) წარმოადგენს ამერიკის კუთვნილებას, დანარჩენები კი წარმოადგენენ ევროპის ინტერესებს – "Boericke და Tafel"-ჰოლანდია, "Bornemann"-საფრანგეთი.

ფრედერიკ ხერვი ფოსტერ ქვინი (1799–1879წ) ითვლება პირველ ბრიტანელ ჰომეოპათად, იგი დაიბადა ქ. ლონდონში, 1817 წელს ჩაირიცხა ედინბურგის უნივერსიტეტში. დამთავრების შემდეგ, მიიღო მედიცინის დოქტორის წოდება. ლონდონში დაბრუნების შემდეგ ის დაინიშნა ნაპოლეონ I-ის პირად ექიმად.

1826 წელს ქ. ნეპალში მან გაიცნო ჰანემანის მოსწავლე ექიმი ნეკერი და გადაწყვიტა წასულიყო ლაიფციგში, რათა მეტი ინფორმაცია მოეპოვებინა მედიცინის ახალი მიმართულების შესახებ. ინგლისში დაბრუნებისთანავე, თავისი კოლეგების წინააღმდეგობის მიუხედავად შეუდგა ჰომეოპათიის აქტიურ შესწავლას. მან საფრანგეთში მოინახულა ჰანემანი, რომელთანაც დაჰყო რამდენიმე თვე ჰომეოპათიის შესასწავლად. ქვინმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ჰომეოპათიის ძალა, როდესაც ჰანემანმა ის განკურნა ქოლერისაგან ჰომეოპათიური საშუალებებით.

ქვინმა 1850წ ლონდონში დაარსა პირველი ჰომეოპათიური ჰოსპიტალი, რომელმაც შემდგომში სამეფო

ჰომეოპათიური ჰოსპიტლის სახელწოდება მიიღო.

1853 წელს დიდ ბრიტანეთში იფეთქა ქოლერის ეპიდემიამ, რომლის დროსაც დაიღუპა დაახლოებით 54 000 ადამიანი. სტატისტიკური მონაცემებით დადგინდა, იმ პაციენტებიდან, რომლებიც მკურნალობდა ჰომეოპათიური საშუალებებით დაიღუპა მხოლოდ 16,4%, მაშინ როცა ალოპათიური საშუალებებით მკურნალობისას დაიღუპულთა რაოდენობამ შეადგინა 59,2%.

გარდა ქვინისა, ბრიტანელი ჰომეოპათების სიაში არიან ცნობილი ექიმები: დრისდეილი, ჰაგისი, რასელი, დაუდგეონი. ეს უკანასკნელი მუშაობდა ლივერპულში და დიდი ღვაწლი შეიტანა ჰომეოპათიური ლიტერატურის გამოცემასა და განვითარებაში.

XX ს-ში დიდ ბრიტანეთში ჰომეოპათიური პრაქტიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გლაზგოელმა ექიმმა ჯონ ვეირმა. იგი განხლდათ ჰომეოპათიაში ექიმთა გადამზადების კურსების ინიციატორი. უსაზღვროა მისი ღვაწლი ამ დარგის განვითარებაში.

1971 წელს ჯონ ვეირი გარდაიცვალა, მისი საქმე გააგრძელა ფაკულტეტის დეკანმა მარჯერი ბლეიქმა როგორც ჯონ ვეირი, ასევე მარჯერი ბლეიქი, დანიშნული იყო სამეფო ექიმად. ქალბატონი ბლეიქი იყო პირველი ქალი, რომელსაც სამეფო ექიმის წოდება მიენიჭა.

შოტლანდია ყოველთვის იყო ჰომეოპათიის ტრადიციების დამცველი და გამგრძელებელი. 1970 წლიდან ამ ქვეყანაში შეინიშნება ჰომეოპათიური კვლევების რაოდენობისა და ხარისხის მკვეთრი ზრდა, რომელსაც ახორციელებდნენ როგორც ექიმები, ასევე ფარმაცევტები.

ასევე უნდა აღინიშნოს ლონდონის სამეფო ჰომეოპათიური ჰოსპიტალის უფროსი კონსულტანტის, პიტერ ფიშერის უდიდესი ღვაწლი, რომელმაც დაარსა "ბრიტანული ჰომეოპათიური ჟურნალი".

გლაზგოს ჰომეოპათიური ჰოსპიტალის უფროსი კონსულტანტის დევიდ რეილის სახელს უკავშირდება დიდ ბრიტანეთში ჰომეოპათიური განათლების ინფრასტრუქტურის შექმნა.

ბრიტანელი ჰომეოპათიური ფარმაციის სპეციალისტებს შორის გამოირჩევა ჯონ ენსვორდი, რომელიც ფარმაცევტთა სამეფო საზოგადოების წევრი იყო. თავისი მოღვაწეობის 40 წელი მან შეაღია ჰომეოპათიური ფარმაციის განვითარების დონის ამაღლებას და ევროპელ კოლეგებთან კავშირების დამყარებას.

1840 წელს ექიმი, სამხედრო ქირურგი ალბერტ შოლზი სილეზიიდან საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ ავსტრალიაში და დაიწყო ჰომეოპათიური მოღვაწეობა. წამლების დაკვეთას იგი გერმანიიდან აკეთებდა. 1850 წლისთვის სიდნეისა და მელბურნში ჰომეოპათიური

მეოპათიურ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწევა რამდენიმე ბრიტანელი ექიმი - ჰომეოპათი. ამ პერიოდში ჰომეოპათიის და ფიტოთერაპიის აღიარების პიკი იყო, თუმცა სახელმწიფოში არ არსებობდა კანონი, რომელიც მათ ოფიციალურ მედიცინად აღიარებდა. მოგვიანებით გამოვიდა მითითება, რომლის თანახმადაც საექიმო პრაქტიკის წარმოების უფლება ექნებოდათ მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის საბუთის მქონე პირებს. ამგვარი კვალიფიკაციის სიაში ჰომეოპათიის ადგილი არ მოიძებნა, შედეგად, 1920 წელს ექიმებმა თავისი რიგებიდან გარიცხეს ის პრაქტიკოსი ექიმები, რომლებიც ჰომეოპათიური მკურნალობის მეთოდს აღიარებდნენ. ამჟამად ავსტრალიაში სიტუაცია რადიკალურადაა შეცვლილი და არატრადიციული მედიცინის ეს დარგი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

1849 წელს ახალი ზელანდიის სამხრეთ კუნძულის პორტ - ჩალმერსში გლაზგოდან ჩამოვიდა გლაზგოს ჰომეოპათიური სკოლის წარმომადგენელი ექიმი - ვილიამ პურდიე და ჰომეოპათიის პრაქტიკული გამოყენება დაიწყო. 1857 წელს ჩამოყალიბდა ჰომეოპათიური ასოციაცია, აუსკლენდში ერთი წლის შემდეგ კი გაიხსნა ჰოსპიტალი და ამბულატორია.

1880 წელს ახალ ზელანდიაში ჰომეოპათია აღიარებული იქნა, როგორც მედიცინის ნაწილი და ამჟამად ფარმაცევტული ბაზარის სამკურნალო პრეპარატების საქონელბრუნვის 60%-

ს ჰომეოპათიური საშუალებები წარმოადგენს.

ჰომეოპათიური მკურნალობის მეთოდი ინდოეთში დასაბამს იღებს 1810 წლიდან, რასაც საფუძველი ევროპიდან ჩასულმა მოგზაურებმა ჩაუყარეს, მათ საქველმოქმედო მიზნით ჩაქონდათ ჰომეოპათიური საშუალებები ავადმყოფი, ღარიბი მოსახლეობისათვის. ინდოეთის ჰომეოპათიაში ერთ-ერთ ცნობილ ფიგურას ჟულიენ მარტინ ჰონენგსბერგერი წარმოადგენს. მან ჰომეოპათია თვით ჰანემანთან შეისწავლა. ჰონენგსბერგერი 35 წელის განმავლობაში მოგზაურობდა აღმოსავლეთში. 1839 წელს იგი ინდოეთში დაავადდა ქოლერით და 6 საათში თვითონვე განიკურნა თავი ჰომეოპათიური მკურნალობით.

ინდოეთში ჰომეოპათიის ცენტრად კალკუტა იქცა. რადგან ქვეყანაში მრავალმილიონიანი მოსახლეობა იყო და ჭირდა პროფესიონალი ექიმები, ჰომეოპათიური პრაქტიკით დაკავდნენ ის პირებიც, რომელთაც სამედიცინო განათლება არ ჰქონდათ. 1867 წლიდან, ინდოელმა ექიმმა - მაჰედრა ლალ სირკარმა ჰომეოპათიის პოპულარიზაცია დაიწყო და ინდოეთში დასაბამი მისცა მის აყვავებას.

ინდოეთის მთავრობის მიერ ჰომეოპათია ოფიციალურად არის აღიარებული და საკმაო მხარდაჭერითაც სარგებლობს: ფინანსდება ჰომეოპათიური კლინიკები, ამბულატორიები, ჰოსპიტლები, იბეჭდება დიდი რაოდენო-

ბით ჟურნალები, პუბლიკაციები და წიგნები კლასიკურ ჰომეოპათიაზე.

რუსეთში პირველად მე - 19 საუკუნის 20-იან წლებში სანკტ-პეტერბურ-გელმა ექიმებმა, რომლებმაც განათლება გერმანიაში მიიღეს, პირველად გამოიყენეს ჰომეოპათიური მკურნალობის მეთოდი. დაარსდა ლენინგრადის ექიმ-ჰომეოპათთა საზოგადოება. ამ საზოგადოების მიზანი იყო კვალიფიციური ექიმ-ჰომეოპათების და ფარმაცევტების მომზადება.

1933 წელს ექიმ-ჰომეოპათების საზოგადოების მიერ ლენინგრადის ერთ-ერთ საავადმყოფოში ჩატარდა პირველი ოფიციალური კურსები ჰომეოპათიის პრაქტიკის თეორიაზე ექიმებისა და ფარმაცევტებისათვის.

სხვა ქვეყნებიდან რომლებიც მე-19 საუკუნეში ჰომეოპათიურ მედიცინას ეზიარნენ აღსანიშნავია: ბელგია (1829წ), ჰოლანდია (1827წ), პოლონეთი (1820წ), პორტუგალია (1838წ), ესპანეთი (1833წ), სამხრეთ აფრიკა (1890), შვეიცარია (1832წ).

ჰომეოპათია დღესაც ვითარდება და იქმნება თანამედროვე ჰომეოპათიური პრეპარატები. მედიცინის ეს შედარებით ახალი დარგი მომავალშიც ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება.

ჰომეოპათია დღესაც ვითარდება და იქმნება თანამედროვე ჰომეოპათიური პრეპარატები. მედიცინის ეს შედარებით ახალი დარგი მომავალშიც ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება.

პროსტატაგლანდინები – ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ჯგუფი

ნ. სურმავა, ნ. შენგელიძე, ე. როინიშვილი, ნვორგასლიძე
(მიმოხილვა)



პროსტატაგლანდინები (პგ) ბიოგენური ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთებია, რომელთაც შეიცავს ორგანიზმის ყველა ქსოვილი და უჯრედი, გარდა ერთოროციტებისა. ისინი წარმოადგენენ თავისებურ უჯრედშიდა ("ადგილობრივ") ჰორმონებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ორგანიზმის მრავალ ფუნქციაზე. ვარაუდობენ, რომ პგ არეგულირებენ უჯრედში მეტაბოლიზმის პროცესებს, ამიტომ მათ მხატვრულად "უჯრედის დირიჟორებს" უწოდებენ. ერთი ტიპის უჯრედში სინთეზირდება მხოლოდ ერთი ტიპის პგ. დღესდღეობით ცნობილია 30 ბუნებრივი პგ და სინთეზირებულია 500-მდე მათი ანალოგი.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში იყო ცნობილი, რომ ვეზ-

იკულარული (სასქესო) ჯირკვლებიდან მიღებულ სპირტიან და წყლიან ექსტრაქტებს ახასიათებდათ წნევის დამწვევი ეფექტი ძაღლებსა და კურდღლებში. 30-იან წლებამდე აღნიშნული ექსტრაქტის მოქმედი საწყისი იყო უცნობი შემადგენლობის, სანამ შეეღმა ფიზიოლოგმა Von Euler-მა (შვეცია) ამ სითხიდან არ გამოჰყო ლიპიდური ბუნების ნაერთი და რადგან იგი სინთეზირდებოდა პროსტატაში (Glandula prostata), მას "პროსტატაგლანდინი" უწოდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ პგ მოიპოვებიან ცხოველთა თითქმის ყველა ორგანოში, მაგრამ მათი სახელწოდება დარჩა უცვლელი.

50-იან წლებში Bergstrom-ის, Samuelson-ის და Von drop-ის ლაბორატორიებში გამოყვეს და გაასუფთავეს



პირველი პე. ამავე წლებში გაშიფრულ იქნა მათი ქიმიური სტრუქტურა (ისინი აღმოჩნდა პე E_1 და პე E_1). 1964 წელს ამერიკელმა, შვედმა და ჰოლანდიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს პირველადი პე სინთეზი, ხოლო აშშ-ში განახორციელეს მათი სრული სინთეზი. ყოფილ სსრკ-ში პე გამოკვლევაზე მუშაობდნენ ა.ი. ტენცოვა, ან. კუდრინი, რ.პ. ევსტიგნევა და სხვები.

მოგვიანებით ჩატარებული კვლევებით დადასტურდა, რომ პე ძირითადი სამიზნე ორგანოები და სისტემებია: კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, საშვილოსნო, ბრონქები, სისხლძარღვები, სისხლის წნევა, გულის შეკუმშვათა სიხშირე, კორონარული დინება, დიურეზი, კუჭის სეკრეცია, ლიპოლიზი, ანთება, ცენტრალური ნერვული სისტემა. გამომდინარე აქედან, ისინი წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებულ ბრონქიალური ასთმის, ჰიპერტონული დაავადების, წყლულების და სხვ. დაავადებების დროს.

ბუნებრივი პე წარმოადგენენ ნივთიერებებს, რომლებიც აღნაგობით ახლოს დგანან ლიპიდებთან. მათ საფუძველს წარმოადგენს პროსტანის მჟავა (7-(ოქტილციკლოჰეპტილ)-პენტანის მჟავა), რომლის სტრუქტურაც გაშიფრულ იქნა 1963 წელს. პე თავის შემადგენლობაში არ შეიცავენ აზოტს, რაც იშვიათია მაღალი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ნაერთებისათვის. ამ თვალსაზრისით ისინი ემსგავსებიან სტეროიდულ ჰორმონებს.

აღნაგობით პე ციკლური უჯერი ცხიმოვანი მჟავებია, რომლებიც შედგე-

ბიან ნახშირბადის 20 ატომისაგან, რომელთა ნაწილი ჩართულია ციკლოჰეპტანის ბირთვში. მისთვის დამახასიათებელია მოლეკულაში ხუთწევრიანი ციკლის, ტრანს-ორმაგი ბმის ($C_{13} - C_{14}$) და ალფა-ჰიდროქსილის ჯგუფის (C_{15}) არსებობა. მე-7-8 ნახშირბადებთან არსებული გვერდითი ჯაჭვი იმყოფება ბირთვის სიბრტყის ქვემოთ (- პოზიცია), ხოლო $C_{12} - C_{13}$ არსებული გვერდითი რადიკალი ბირთვის სიბრტყის ზემოთაა (-პოზიცია). ყველა ბუნებრივ პე აქვს -კონფიგურაცია.

პე კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი. ვიტამინების მსგავსად მათ ქიმიური სტრუქტურის მიხედვით ყოფენ მსგავს ჯგუფებად. პე თითოეული ჯგუფი აღინიშნება ლათინური ალფავიტით A, B, C, D, E, F, G, J (პეA, პეB, პეC, პეD და ა.შ). ინდივიდუალური პე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რადიკალების (ჰიდროქსილის და კარბოქსილის ჯგუფები) რაოდენობითა და მათი სივრცითი განლაგებით, ასევე ორმაგი ბმების რიცხვით მოლეკულაში. პე ორი ორმაგი ბმით უფრო აქტიურია, ვიდრე ერთი ორმაგი ბმით. მათ ასევე ყოფენ ქვეჯგუფებად და აღნიშნავენ სიმბოლოებით $E_1, E_2; F_1, F_2$ და ა.შ. ციფრი მიუთითებს ორმაგი ბმების რიცხვზე გვერდით ჯაჭვში. ქვეჯგუფში ბერძნული ასოებით (და) აღნიშნავენ მდებარეობას, ციკლოპენტანის ბირთვში მე-9 ნახშირბადთან მიერთებული ჰიდროქსილის ჯგუფის მდებარეობას (E_1 ან F_1).

A ტიპის პე წარმოიქმნება პე E დეჰიდრატაციით, ხოლო პე B და პე C კი პე A ციკლში ორმაგი ბმის იზომერიზაციის შედეგად. პე D, პე E და პე F უწოდებენ პირველად პროსტაგლანდინებს, ხოლო პე A, პე B და პე C - მეორადს.

პე სინთეზის საწყისი სუბსტრატი არის ისეთი ცხიმოვანი პოლიენური მჟავები, როგორცაა ეიკოზა-8,11,14-ტრიენი (ჰომო-ლინოლი), ეიკოზა-5,8,11,14-ტეტრაენი (არაქიდონი) და ეიკოზა-5,8,11,14,17-პენტაენი. მათი წარმოქმნა ორგანიზმში ხდება ლინოლის მჟავასაგან, რომელიც არ სინთეზირდება ცოცხალ ორგანიზმში და მიიღება საკვებთან ერთად. ორგანიზმში ლინოლის მჟავა გარდაიქმნება არაქიდონის მჟავად, რომელსაც არ შეუძლია თავისუფალი სახით არსებობა და სწრაფად ერთვება პრაქტიკულად ყველა ქსოვილის ფოსფოგლიცერიდების შემადგენლობაში.

პე-ის სინთეზი არაქიდონის მჟავიდან მიმდინარეობს მიკროსომალური ფერმენტების მონაწილეობით. ამ მულტიფერმენტულ სისტემაში ცენტრალური ადგილი უკავია პროსტაგლანდინსინთეზას. მასტიმულირებული ზემოქმედების გავლენით ხდება ფოსფოლიპაზა A-ს მკვეთრი გააქტივება, რის შედეგადაც ლინოლის მჟავა გამოთავისუფლდება და გარდაიქმნება პე-ის პირდაპირ წინამორბედად - არაქიდონის მჟავად, რომელიც მიემართება მემბრანიდან უჯრედის შიგნით. შემდეგ ეტაზე პროსტაგლანდინსინთეზას სისტემის ზემოქმედების

შედეგად წარმოიქმნება პე G₂ და პე H₂ (ენდოპეროქსიდები), რომელთაც ახასიათებთ მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. ბიოსინთეზში მონაწილეობას ლებულობენ დიოქსიგენაზა, იზომერაზა, ოქსირედუქტაზა და სხვ. ფერმენტები. ბიოსინთეზისათვის საჭიროა ასევე მოლეკულური ჟანგბადი და სხვა კოფაქტორები. ბიოსინთეზის შემდეგ სტადიაზე ხდება ენდოპეროქსიდებიდან პე E და პე F წარმოქმნა, რომელთა მთავარი შემადგენელია პე E₂ და პე F₂. ეს პროცესი მიმდინარეობს ენდოპლაზმურ რეტიკულუმში და ხორციელდება იზომერაზას და რედუქტაზას მონაწილეობით.

არაქიდონის მჟავას ბიოტრანსფორმაციის პროცესში ორგანიზმში წარმოიქმნებიან არა მარტო პროსტაგლანდინები, არამედ სხვა ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებიც (ტრომბოქსანები, პროსტაგლინები, ლეიკოტრიენები). ძირითადი ორგანოები, რომლებშიც ხდება პე სინთეზი არის ფილტვები, ღვიძლი და თირკმლები.

პროსტაგლანდინების მიღების მეთოდები შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

1. ცხოველური წყაროებიდან (სათესლე სითხე, ცხოველური ქსოვილები და სხვ.) ექსტრაქცია. მეთოდი ხასიათდება მაღალი ღირებულებით, სირთულით და ხანგრძლივობით.

2. სინთეზი უჯერი ცხიმოვანი მჟავებიდან შესაბამისი ფერმენტების მონაწილეობით.

პრაქტიკულად ბიოსინთეზი ხორციელდება უჯერი ცხიმოვანი მჟავების ინკუბირებით მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ქსოვილების ჰომოგენატთან (სათესლე ჯირკვლები). სინთეზის პრინციპი არ განსხვავდება ორგანიზმში მიმდინარე ბიოსინთეზის სქემისაგან. პეგამოსავალი დამოკიდებულია pH-ზე, შერევის სიჩქარეზე, აერაციაზე, გასაკუთრებით კი გლუთათიონზე, ეპინეფრინზე, ჰიდროქინონზე და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ "ელექტრონების გადატანებს". ვარაუდობენ, რომ გლუთათიონის საშუალებით ხდება უჯრედის დაცვა უცხო ნივთიერებებისაგან და ასევე მეტაბოლური ფუნქციების წარმართვა.

3. სამრეწველო წარმოება. ეს გზა არის პეგ მილების ყველაზე პერსპექტიული გზა, თუმცა მილების მეთოდი რთულია და მოიცავს 29 სტადიას. განსაკუთრებით ძნელია ბიოლოგიურად აქტიური იზომერების გამოყოფა.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა პროსტაციკლინს (პე X, პე G₂), რომელიც სინთეზირდება სისხლძარღვების ენდოთელიუმში. იგი არის თრომბოციტების აგრეგაციის ძლიერი ინჰიბიტორი. პროსტაციკლინი აძლიერებს ჰეპარინის ანტიკოაგულანტურ მოქმედებას. ახასიათებს მაღალი ჰიპოთენზური და სისხლძარღვების გამაფართოებელი მოქმედება. ასევე მნიშვნელოვანია თრომბოქსანი, რომელიც ხასიათდება პროსტაციკლინის საპირისპირო მოქმედებით. სწორედ ამ ორ ნაერთს შორის ბალანსის შენარჩუნება ასრულებს მნიშვნელოვან როლს

ორგანიზმის ჰემოსტატიკური წონასწორობის შენარჩუნებაში.

პეგ სხვადასხვა სტრუქტურული აგებულება განაპირობებს მათ სხვადასხვა მოქმედებას და აქტივობას.

ფიზიკური თვისებების მიხედვით პროსტაგლანდინები წარმოადგენენ თეთრი ფერის კრისტალურ ნივთიერებებს, რომლებიც კარგად იხსნებიან ორგანულ გამხსნელებში.

არსებობს პეგ უჯრედზე მოქმედების მრავალი ჰიპოთეზა, თუმცა ამ პროცესის მოლეკულური მექანიზმები საბოლოოდ არ არის დადგენილი, რადგან ეს ნივთიერებები ორგანიზმში სწრაფად სინთეზირდებიან და სწრაფადვე მეტაბოლიზირდებიან. ზოგიერთ უჯრედებს გააჩნიათ მემბრანული რეცეპტორები პროსტაგლანდინებისათვის. რამდენიმე წლის წინ ვარაუდობდნენ, რომ პეგ მოქმედებენ ბიოგენური ამინების რეცეპტორების საშუალებით. შემდგომ დადგენილ იქნა, რომ ისინი არ ამჟღავნებენ სპეციფიურ მოქმედებას ქოლინო, ადრენო, სეროტონინო და ჰისტამინო რეცეპტორებზე, რომლებიც ლოკალიზებულია მიომეტრიუმში. პეგ ყველაზე ნატიფი (ინტიმური) მოქმედების მექანიზმი იმყოფება უჯრედული რეცეპტორების დონეზე, თუმცა აღნიშნული დღემდე ითვლება დისკუსიის საგნად, რადგან არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი ხედვა, რომელიც ახსნიდა სხვადასხვა ტიპის პროსტაგლანდინების მოქმედების მრავლობით ეფექტებს ფიზიოლოგიურ და პათოლოგიურ პროცესებში. ცვლილებები, რომლებიც წარ-

მოიშვება პე შეყვანისას, არის პირდაპირ კავშირში Ca^{2+} იონების გადატანის რეგულაციასთან. პე ახდენს ზეგავლენას ქელატური ნაერთების წარმოქმნის გზით ამ უკანასკნელის გადატანით უჯრედული მემბრანიდან უჯრედში. უჯრედული მემბრანიდან პე ათავისუფლებს Ca^{2+} იონს ლიპიდური ფრაქციიდან და მათი მიგრაცია დაკავშირებულია პე ეფექტზე კუნთის ბოჭკოებზე მისი ზემოქმედებისას (მიოკარდი, კუჭის გლუვი მუსკულატურა).

პროსტაგლანდინები ხასიათდებიან ბიოლოგიური მოქმედების საოცრად ფართო სპექტრით და მაღალი აქტივობით. ისინი ცვლიან ფერმენტების აქტივობას, ზეგავლენას ახდენენ ჰორმონების სინთეზზე და კორექციას უკეთებენ მათ მოქმედებას ორგანოებსა და ქსოვილებზე; პე ასტიმულირებენ კუნთების კუმშვადობას, ამიტომ გამოიყენება მშობიარობის დასაჩქარებლად, ორსულობის შესაწყვეტად, ასთმის სამკურნალოდ, ახასიათებთ ასევე ვაზოდეპრესორული, ჰიპოთენზური და ტრანკვილიზატორული თვისებები, ასრულებენ სისხლის შედედების ინჰიბიტორულ ფუნქციას, ანტისეკრეტორულ მოქმედებას კუჭის ლორწოვანი გარსების ჯირკვლებზე. პე ხასიათდებიან ინჰიბიბიტორული მოქმედებით კატექოლამინებზე, გამააქტიურებელი ან მაინჰიბირებელი მოქმედებით ადრენილაციკლაზებზე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას, რადგან მათი მარეგულირებელი მოქმედება შეიძლება გამოყენებული იქნას ცილის სინთეზისათვის, რადგან

ციკლური ადენინმონოფოსფატი (ამფ) და გუანიდინმონოფოსფატი (გმფ) ახდენენ რნმ-ს და შეიძლება დნმ-ს მოდიფიცირებასაც.

პე სიჭარბე ან დეფიციტი შეიძლება გახდეს პათოლოგიური პროცესების მიზეზი, ნაწილობრივ ისეთის, როგორცაა ანთება, თრომბოზები, კუჭის წყლული და სხვა.

პე ცვლა, სინთეზი და დაშლა მიმდინარეობს დიდი სიჩქარით. ძირითადი ორგანოები, რომლებშიც ხდება პე მეტაბოლიზმი არის ფილტვები, ღვიძლი და თირკმლები. ფილტვებში ინაქტივირდება პეE და პეF (90%), ღვიძლში პეA და პეE₂ ვარაუდობენ, რომ პე მეტაბოლიზმი მთავრდება ღვიძლში და ხორციელდება ციტოქრომ P-450 საშუალებით. პე ინაქტივაციის საბოლოო პროდუქტებს არ ახასიათებთ ბიოლოგიური აქტივობა და სწრაფად გამოიყოფიან ორგანიზმიდან თირკმლების მეშვეობით. ინაქტივაციისას წარმოიქმნება სხვადასხვა ნაერთები, რომლებიც აქტივობით ჩამორჩებიან თავიანთ წინამორბედებს; თუმცა აღმოჩენილია, მეტაბოლიტები, რომლებიც ეფექტურობით აღემატებიან პე. მაგალითად, 15-კეტო-პეF₂ იწვევს ბრონქების გლუვი კუნთების უფრო ძლიერ შეკუმშვას, ვიდრე პეF₂ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ F სერიის პე შეუძლია ითამაშოს ეტიოლოგიური ფაქტორის როლი ბრონქიალური ასთმის განვითარებაში. სავარაუდოა, რომ ის უძლიერესი ბრონქოკონსტრიქტორია, რომელიც პასუხს აგებს ამ დაავადებაზე. მეტაბ-

ოლიტი 15-კეტოდიჰიდრო- F_2 იწვევს საშვილოსნოს გლუვი კუნთის უფრო ძლიერ შეკუმშვას, ვიდრე პე F_2 , თუმცა მისი მოქმედება ხანმოკლეა. აქედან გამომდინარე, პე ბიოლოგიური აქტივობა განპირობებულია მათი ბიოსინთეზის ადგილზე, ჯგუფის სიგრძეზე, ჯერადი ბმების რაოდენობაზე და ნახშირბადოვანი ჯგუფის სტერეოქიმიაზე.

პროსტაგლანდინებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი პრეპარატები: დინოპროსტი, დინოპროსტონი, პროსტენონი, აპროსტადილი, მიზოპროსტოლი, ართროტეკი, ლათანოპროსტი.

აპროსტადილი (მიეკუთვნება პე E_1 ჯგუფს). გამოშვებულია ამპულების სახით, რომელშიც მოთავსებულია 0,02 მგ სამკურნალო საშუალება, ასევე 0,1 მგ კონცენტრატი ინფუზიისათვის. გამოიყენება ქვედა კიდურების ობლიტირებული ათეროსკლეროზისას, რადგან აძლიერებს სისხლის მიწოდებას პერიფერიულ სისხლძარღვებში და აუმჯობესებს მიკროცირკულაციას.

დინოპროსტი და დინოპროსტონი (პე F_2 და პე E_2 ჯგუფი) ფართოდ გამოიყენება საშვილოსნოს კუმშვადობის გასაძლიერებლად ინტრავენალური, ექსტრა და ინტრამინალური სახით. დინოპროსტონი შეჰყავთ ვენაში.

მიზოპროსტოლი პე E_1 სინთეზური ანალოგია. შედგება 2 დიასტერეოიზომერისაგან შეფარდებით 1:1. ახასიათებს ანტისეკრეტორული მოქმედება. გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებთან ერთად.

გამოშვებულია 0,2 მგ ტაბლეტების სახით.

პროსტენონი მოწოდებულია არა მარტო როგორც საშვილოსნოზე მოქმედი, აგრეთვე როგორც ანტიჰიპერტენზული საშუალება.

ართროტეკი კომბინირებული პრეპარატია ორშრიანი გარსით, რომლებშიც მოთავსებულია მიზოპროსტოლი და დიკლოფენაკ ნატრიუმი.

ლათანოპროსტი (პე F_2) ანტიგლაუკომატოზური მოქმედებისაა. გამოდის 0,005 % ხსნარის სახით 2,5 მლ ფლაკონ-საწვეთურში.

1969 წელს პირველად მოძიებულ იქნა პროსტაგლანდინების სინთეზური ნაწარმები, რომელთაც ახასიათებდათ ბუნებრივი პროსტაგლანდინების მიმართ ანტაგონისტური მოქმედება. ეს ნაერთები შეიძლება დაჯგუფებულ იქნას 3 ჯგუფად:

1. **პე ანალოგების ანტაგონისტები** – მოქმედებენ მემბრანულ რეცეპტორებზე ან უშუალოდ ფერმენტებზე.

ადენილაციკლაზაზე მოქმედებენ პე E_1 და პე E_2 . პე ოქსაანალოგებს ახასიათებთ კონკურენტული მექანიზმი. კერძოდ, ისინი ახდენენ ჰორმონების (ანტიდიურეზული, თირეოიდული, ლუთეინიზაციის და სხვ.) ინჰიბირებას ციკლური ამფ წარმოქმნის ხარჯზე. ჰისტამინის ინჰიბიტორებს წარმოადგენენ 7-ოქსა-პე F_1 , 3-ოქსა-, 5-ოქსა-, 7-თია-პე. ანალოგიური მოქმედება ახასიათებთ პროსტაგლანდინური რიგის ნაერთებს ინდომეტაცინს და პოლიფლორეტინფოსფატს.

2. პროსტაგლანდინსინთეზაზას მაინჰიბირებელი.

მათ მიეკუთვნება პე წინამორბედების სტერეოიზომერები და ჰომოლოგები, ცხიმოვანი მჟავების იზომერები, ასევე ასპირინის მსგავსი და ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული სამკურნალო საშუალებები, რომლებიც მცირე კონცენტრაციებში თრგუნავენ ციკლოოქსიგენაზას და აქვთ ხელსაყრელი ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოდინამიკური მახასიათებლები. ასევე მოძიებულია ზოგიერთი ქიმიური ნივთიერება, რომლებიც ახდენენ ერთდროულად რამდენიმე პე სინთეზს. მაგალითად, ინჰიბიტორი SC-19 220 (დიბენზოქსაზეპინი) აფერხებს პე₂ და პე₁ სინთეზს, ხოლო ფენილბუთაზონი კი პე_E და პე_F სინთეზს. ინჰიბიტორულ მოქმედებას ავლენენ ასევე მეტალთა იონები (Cu²⁺) და ზოგიერთი ანტიოქსიდანტი (ტოკოფეროლი).

3. პროსტაგლანდინების ფერმენტ-ინაქტივატორების ინჰიბიტორები. მათ მიეკუთვნებათ B ჯგუფის პე ან სხვა ჯგუფის სტერეოიზომერები, ასევე პე ოქსა და თიანაწარმები. ფერმენტ-ინაქტივატორების ინჰიბიტორები შეიძლება ერთდროულად მოქმედებდნენ როგორც პროსტაგლანდინსინთეზაზაზე, ასევე პროსტაგლანდინჰიდროგენაზაზე. მაგალითად, იგივე

ინდომეტაცინი მცირე კონცენტრაციებში ახდენს პროსტაგლანდინსინთეზაზას, ხოლო მაღალ კონცენტრაციებში პროსტაგლანდინჰიდროგენაზას ინჰიბირებას.

ლიტერატურა:

1. 1982 / , 1983. 1 . 96
2. Shaw J. et.a. – In: Prostaglandins: Symposium of the Worcester Foundation for Exp. Biol. New York, 1968, p. 55
3. Anggard E. et.a. “Acta physiol. Scand”, 1966, v. 66, p.509
4. Collier H. et.a. “Nature”, 1972, v. 236, p.141
5. Bergstrom S., Garlson L.A., Wuks G.R. – “Pharmacol. Rev.”, 1968, v. 20, p.1
6. Christ E.G., Van Drop D.H. – In: International Conference on Prostaglandins. Vienna, 1972, p.35
7. Ferdinandi E.E., Just G. – “Canad J.Chem”, 1971, v. 49, p.1070
8. Flower R.J. – “Pharmacol.Rev.” 1974, v. 26, p.33
9. Takaguchi C., Sih C.J. – “Prostaglandins”, 1972, v.2, p.169

აღმებრიული დერმატოზების სამკურნალო ახალი პრეპარატის "დუალერ-G"-ის კლინიკური ეფექტურობა

თამაზ ჭუმბურიძე

თსსუ კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი პროფესორი
ზ.ბენდელიანი

თსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი პროფე-
სორი თ.ჭუმბურიძე

თსსუ ფარმაცევტული და ტოხიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი

პროფესორი თ.ჩიკვილაძე, აკადემიური დოქტორი მ.ჯორჯიკია

ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკო-ქიმიის ს/კ ინსტიტუტი

ბ. კიკალიშვილი



დერმატოზები, რომლებიც გამოწვეულია ძირითადად ალერგიული ფაქტორით (ნეიროდერმიტი, ატიპური დერმატიტი, ეგზემა, წითელი ბრტყელი ლიქენი, ჭინჭრის ციება, და სხვა) განპირობებულია ორგანიზმში გამოთავისუფლებული ჰისტამინის, სეროტონინის, და სხვა მედიატორების დონის მკვეთრი მომატებით. გამომწვევი მიზეზი ნაირფეროვანია, საკვები, სამკურნალო პრეპარატები, ფოკალური

ინფექციები, კლიმატი გარემო პირობები, მცენარეები, ცხოველები და მრავალი სხვა. აღსანიშნავია შინაგანი ორგანოების, იმუნური სისტემის, ცენტრალური ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის სტატუსი.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ერთობ გაძნელებულია მათი მკურნალობა. დღესდღეობით ალერგიული რეაქციების სამკურნალოდ გამოიყენება ჰორმონალური (კორტიკოსტეროიდები) და ანტიჰისტამინური პრეპარატები (ძირითადად H-1 ბლოკატორები). კორტიკოსტეროიდების გამოყენება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული (გვერდითი არასასურველი ეფექტები, სპეციფიკური გართულებები) ანტიჰისტამინური პრეპარატების გამოყენება შედარებით უსაფრთხოა, თუმცა საკმაოდ ხშირია სუსტი ეფექტი ან სრული უეფექტობა.

პრეპარატი დუალერ-G წარმოადგენს ანტიჰისტამინური და ანტი-

სეროტონინული თვისებების მქონე ქინუკლიდინის წარმოებულების კომბინაციას და გადის კლინიკურ გამოცდას კანისა და ვენერიულ დაავადებათა დეპარტამენტში. ამ ნაერთების შემცველი პრეპარატები რეგისტრირებულია საქართველოში და სხვა ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში და რუსეთში) და გამოიყენება ალერგიის სამკურნალოდ. ეს ქინუკლიდინკარბინოლები წარმოადგენენ მეორე თაობის ანტიჰისტამინურ პრეპარატებს რომლებიც აბლოკირებენ H1 რეცეპტორებს და არ იწვევენ ძილის მომგვრელ ეფექტს (1). ქიფენადინი აგრეთვე ამცირებს ჰისტამინის კონცენტრაციას ქსოვილებში რაც დაკავშირებულია მის თვისებებთან გააქტიუროს დიამინოქსიდაზა – ჰისტამინის დამშლელი ფერმენტი(2). მას არ გააჩნია ანტიადრენერგული და ქოლინოტორული თვისებები რაც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას იმ პაციენტებში ვისთვისაც უკუნაჩვენებია ანტიქოლინერგული თვისებების მქონე ანთიალერგიული პრეპარატების დანიშვნა. სექვიფენადინს დამატებით გააჩნია გამოსატული ანტი-სეროტონინული (5HT1 რეცეპტორების მახლოკირებელი) თვისებები რაც აფართოებს კომბინაციის ანთიალერგიული მოქმედების სპექტრს.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს დუალერ- G –ს ტაბლეტების გამოყენებით ალერგიით შეპყრობილ პაციენტთა კონტროლირებადი მკურნალობის

გზით პრეპარატის ანთიალერგიული თვისებების დადგენა.

კვლევის ამოცანა შერჩეული პაციენტების ერთ ჯგუფს მიეცეთ დუალერ- ხოლო მეორე ჯგუფს ქვიფენადინი (ფენკაროლი) ხოლო შემდეგ შედარდეს პრეპარატების ეფექტურობა.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები

ალერგიული რეაქციის გამოსატულიება

ასაკი 18-65 წელი

სქესი-ორივე

კვლევიდან გამორთვის კრიტერიუმები

მძიმე პათოლოგიები გულსასხლმარღვთა და ღვიძლის მხრივ, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ორსულობა, პირადი სურვილი.

დია ტიპის კვლევა ჩატარდა ქობილისის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერში .

სულ კვლევაში მონაწილეობდა 30 პაციენტი , მათგან 22 მამაკაცი და 8 ქალი ასაკით 35დან-65 წლამდე. მათგან 22-ს (საკვლევი ჯგუფი) უტარდაბოდა მკურნალობა პრეპარატით "დუალერ- G" დოზით **0,02 მგ** დღეში სამჯერ ხოლო 8 პაციენტს (შესადარებელი ჯგუფი) მკურნალობდნენ პრეპარატით "ფენკაროლი" (ქვიფენადინი), დოზით 0.025 დღეში სამჯერ კვების შემდეგ.

საკვლევი ჯგუფის 22 პაციენტიდან 5-ს აღენიშნებოდა ნეიროდერმიტი, 6-ს ატოპიური დერმატიტი, 5-ს ჭინჭრის ციება, 1-ს ჟიბერის ვარდის-

ფერი პითირიაზი, 3- ტოქსოდერმია, 1-წითელი ბრტყელი ლიქენი, 1-ს ეგზემა, 1-ს ფსორიაზი.

შესადარებელი ჯგუფის 8 პაციენტიდან 2-ს აღენიშნებოდა ნეიროდერმიტი, 2-ს ატოპიური დერმატიტი, 2-ს ჭინჭრის ციება, 1-ს ეგზემა, 1-ს ფსორიაზი.

16 პაციენტს აღენიშნებოდა თანმხლები დაავადებები (ქოლეცისტიტი, გასტრიტი, კოლიტი). პაციენტებს უტარდებოდათ სისხლის საერთო ანალიზი მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ.

კვლევის შედეგები

ჩატარებული მკურნალობის შედეგად საკვლევ ჯგუფში 22 პაციენტიდან 20-ს აღენიშნებოდა გამოკვეთილი თერაპიული ეფექტი, ეს პაციენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად I და II:

I. 11 პაციენტი რომლებსაც აღენიშნებოდა კლინიკური გამოჯანმრთელება - ქავილის შეგრძნება შეუწყდათ მკურნალობის I-V დღეს ზოლო ელემენტები განიცდიდნენ სრულ უკუგანვითარებას.

II. 9 პაციენტს აღენიშნებოდა ოდნავ უფრო სუსტი თუმცა გამოკვეთილი თერაპიული ეფექტი.

2 პაციენტს მკურნალობამ მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანა თუმცა


აღსანიშნავია, რომ სისხლის საერთო ანალიზის შედარებისას, ყველა პაციენტს აღენიშნებოდა ეოზინოფილიის ნორმალიზება ან მკვეთრი შემცირება.



სურ.1.პაციენტი გ.ფ.22წლის შემოფარგლური ნეიროდერმიტი მკურნალობამდე



სურ.2.პაციენტი გ.ფ.მკურნალობის შემდეგ



სურ.3 პაციენტი გ.უ. 35 წლის, ჭინჭრის ციება მკურნალობამდე



სურ.4 პაციენტი გ.უ. მკურნალობის შემდეგ

პირველ ჯგუფში (11 შემთხვევა) პრეპარატმა მკვეთრად დადებითად იმოქმედა იმ პაციენტებზე ვისაც აღენიშნებოდა ჭინჭრის ციება, ატოპიური დერმატიტი, ერითემა, წითელი ბრტყელი ლიქენი, ჟიბერის ვარდისფერი პითირიაზი. (სურათები 1-4).

მეორე ჯგუფში (9 შემთხვევა) ოდნავ უფრო სუსტი ეფექტი აღინიშნებოდა დიფუზური ნეიროდერმიტის და ეგზემის შემთხვევებში.

დანარჩენ 2 შემთხვევაში პაციენტებს ეგზემისა და ფსორიაზის დიაგნოზებით მნიშვნელოვანი შედეგი არ აღინიშნათ.

ეფექტის დინამიკა განსხვავდებოდა პირველი და მეორე ჯგუფების პაციენტებში:

პირველ ჯგუფში ეფექტის დაწყებას აღნიშნის მანამდე პრეპარატის მიღებიდან 15-30 წუთში ხოლო ერთჯერადად 0,040-0.060 გ დოზით მიღების შემთხვევაში გრძელდებოდა 12-24სთ.

შესადარებელ ჯგუფში (8 პაციენტი) ქვიფენადინით მკურნალობის შედეგად გამოკვეთილი თერაპიული ეფექტი, რომელიც ედრებოდა საცდელი ჯგუფის II კატეგორიას დაფიქსირდა 2 პაციენტის შემთხვევაში: 1 ერთემა და 1 ტოქსოდერმია, ხოლო დანარჩენ 6 პაციენტს გაუმჯობესების შესამჩნევი ნიშნები არ აღინიშნებოდა.

გვერდითი ეფექტები

არც საკვლევ და არც შესადარებელ ჯგუფში პაციენტები მნიშვნელოვან გვერდით ეფექტებს არ აღნიშნავდნენ.

დასკვნა

კვლევის შედეგები მოწმობენ, რომ პრეპარატი დუალერ- G ახდენს გამოკვეთილ ანთიალერგიულ ეფექტს, რომელიც ბევრად აღემატება შესადარებელი პრეპარატის, ფენკაროლის მოქმედებას განსაკუთრებით ჭინჭრის ციება, ატოპიური დერმატიტი, ერითემა,

წითელი ბრტყელი ლიქენი, ჟიბერის ვარდისფერი პითირიაზის შემთხვევებში აგრეთვე კარგი შედეგები ფიქსირდება დიფუზური ნეიროდერმიტის მკურნალობის დროს.

რიგი პაციენტებისა (I ჯგუფი) რომლებიც ადრე მკურნალობდნენ სხვა ანტიალერგიული პრეპარატებით აღნიშნავენ რომ დუალერ- G უფრო კარგ შედეგს იძლევა ვიდრე სხვა პრეპარატები, კერძოდ ერიუსი (დესლორატადინი) ჭინჭრის ციების დროს და ეფექტურობით იდენტურია პარლასინის (ცეტირიზინი).

აღსანიშნავია, რომ პრეპარატის ეფექტი სწრაფად იწყება (15-30წთ) და ხანგრძლივად ნარჩუნდება (12-24 საათის განმავლობაში დოზის მიხედვით).

პაციენტები არ აღნიშნავენ გვერდით ეფექტებს იმ შემთხვევებშიც კი როდესაც მიიღეს პრეპარატის ერთჯერად რეკომენდირებულ დოზაზე ორნახევარჯერ მეტი (100 მგ).

შემოთხსენებულიდან ნათელია რომ პრეპარატი რომელსაც გააჩნია ანტიჰისტამინური და ანტისეროტონინული თვისებები (დუალერ-G) გაცილებით უფრო ეფექტურია ვიდრე მხოლოდ ანტიჰისტამინური (H-1 ბლოკატორი) ქიფენადინი.

ლიტერატურა

1.
2.
3. 2001, 3, .61-67
4. Abeck D., Storm K., Optimal menegment of atopic dermatitis. Am. Clinic.Dermatol.,2000,v.1 p.41-46.
5. Bode H.H., Dwarfism following long- term corticosteroid therapy. JAMA 1980 vol.244, p.813-814
6. Bertran G.Katzung., Basic and clinical pharmacology., VII edition, Baltimore,1998. p.358
7. « - G»
8.
9.
10.
11.
12.
13.
14.
15.
16.
17.
18.
19.
20.
21.
22.
23.
24.
25.
26.
27.
28.
29.
30.
31.
32.
33.
34.
35.
36.
37.
38.
39.
40.
41.
42.
43.
44.
45.
46.
47.
48.
49.
50.
51.
52.
53.
54.
55.
56.
57.
58.
59.
60.
61.
62.
63.
64.
65.
66.
67.
68.
69.
70.
71.
72.
73.
74.
75.
76.
77.
78.
79.
80.
81.
82.
83.
84.
85.
86.
87.
88.
89.
90.
91.
92.
93.
94.
95.
96.
97.
98.
99.
100.

- ზ. ბენდელიანი, თ. ჭუმბურიძე,
- თ. ჩიკვილაძე, მ. ჯორჯიკია,
- ი. ბ. კიკალიშვილი
- « - G» კვლევის მიზანს წარმოადგენს
 დუალერ- G –ს ტაბლეტების გამოყენებით ალერგიით შეპყრობილ პაციენტთა კონტროლირებადი მკურნალობის გზით პრეპარატის ანტიალერგიული თვისებების დადგენა.

Clinical effectiveness of new anti-allergic drug "Dualler-G"

Z.Bendeliani, T.Tchumburidze, T.Chikviladze, M.Jorjikia, B.Kikalishvili

Allergic reaction plays leading role in pathogenesis of dermatozis and mechanism of such reactions are based on release of histamine and serotonin. Because of this development of drug with both antihistamine and antiserotonine activity was the goal of this study.

"Dualler-G" a new anti allergic drug with antihistamine and antiserotonine activity was clinically studied . Obtained data suggest that "Dualler-G" shows high effectiveness in treatment of different types of dermatozis

რეზიუმე

ალერგიული დერმატოზების სამკურნალო ახალი პრეპარატის "დუალერ-G"-ის კლინიკური ეფექტურობა

პრეპარატი დუალერ-G წარმოადგენს ანტიჰისტამინური და ანტისეროტონინული თვისებების მქონე ქინუკლიდინის წარმოებულების კომბინაციას და გადის კლინიკურ გამოცდას კანისა და ვენერიულ დაავადებათა დეპარტამენტში.

ჩატარებული მკურნალობის შედეგად საკვლევ ჯგუფში 22 პაციენტიდან 20-ს აღენიშნებოდა გამოკვეთილი თერაპიული ეფექტი. რიგი პაციენტებისა (I ჯგუფი) რომლებიც ადრე მკურნალობდნენ სხვა ანტიალერგიული პრეპარატებით აღნიშნავენ რომ დუალერ- G უფრო კარგ შედეგს იძლევა ვიდრე სხვა პრეპარატები, კერძოდ ერიუსი (დესლორატადინი) ჭინჭრის ციების დროს და ეფექტურობით იდენტურია პარლაზინის (ცეტირიზინი). ზოგიერთი პაციენტი აღნიშნავს რომ დუალერ- G უფრო კარგ შედეგს იძლევა ვიდრე სხვა პრეპარატები, კერძოდ ერიუსი (დესლორატადინი) ჭინჭრის ციების დროს და ეფექტურობით იდენტურია პარლაზინის (ცეტირიზინი).

სამკურნალო მცენარე – წარსული და აწმყო



უძველესი დროიდან იცნობდა ადამიანი მცენარეთა სამკურნალო თვისებებს. ზოგიერთი მცენარის „საექიმო სტაჟი“ მილიონ წლებს ითვლის. პირველყოფილმა ადამიანმა პირადი გამოცდილებით შეიცნო მათი სამკურნალო თვისებები: ჭრილობების შემახორცებელი, ოფლისმდენი, დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი და სხვა. მკვლევარები სამართლიანად თვლიან, რომ დედამიწაზე არ იყო ისეთი ტომი, რომელიც არ იცნობდა და არ იყენებდა სამკურნალო მცენარეებს.

მცენარეებზე შეთხზულია მრავალი მითი და ლეგენდა. ზოგიერთი მათგანის თვისებები გაზვიადებულია კიდემავალითად: კრაზანას 90 დაავადების განკურნების უნარს მიაწერენ, ჟენშენს სამყაროს საოცრებას, უკვდავების ფესვს, ღმერთის ბალახს უწოდებენ და ა.შ.

მცენარეულ საშუალებებს დიდ ყურადღებას უთმობდა ძველბერძნული

მედიცინის ფუძემდებელი ექიმი და ფილოსოფოსი ჰიპოკრატე. თავის შრომებში იგი მოიხსენიებს 200-ზე მეტ მცენარეს. ანტიკური სამყაროს მეორე ცნობილი მეცნიერი თეოფრასტეც აღწერს ასეულობით სამკურნალო მცენარეს. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ასწლეულში ცხოვრობდა ბერძენი ექიმი დიოსკორიდი. მან მნიშვნელოვანი ნაშრომი მუშადა სამკურნალო მცენარეებს, რომელიც მრავალჯერ ითარგმნა ევროპულ ენებზე და დიდი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეებამდე. ჩვენი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის დიდი მეცნიერი და მოაზროვნე კლავდიუს გალენი მიუთითებდა სამკურნალო მცენარეებიდან ბალახტური ნივთიერებების მოცილების აუცილებლობაზე. წვლილავდა რა მოქმედ ნივთიერებებს შედარებით სუფთა სახით, მეცნიერმა შეიმუშავა მცენარეული წამლების ღვინოზე, ზეთზე, ძმარზე ნაყენების სახით მომზადების წესები, პრაკტიკაში შემოიღო მონახარშები და საცხები. იმ დროიდან დღემდე მყარად მოიკიდა ფეხი სახელწოდებამ „გალენური პრეპარატები“, რაც ნიშნავს ისეთ წამლის ფორმებს, რომლებიც მიღებულია სპეციალური გადამუშავებით (ეთერით, სპირტით, წყლით ან სხვა საშუალებებით), აგრეთვე, ხსნარებს, სიროფებს, საცხებს აქტიური ნივთიერებების სხვადასხვა კონცენტრაციით.

გალენი მეცნიერულად მიუდგა მცენარის მოქმედი საწყისის განსაზღვრას. მისმა შრომებმა ღრმა კვალი დატოვა მედიცინაში.

ჩვენი ათასწლეულის დასაწყისში არაბული აღმოსავლეთის უდიდესმა მოაზროვნემ და მედიკოსმა აბუ ალი იბნ-სინამ (ავიცენა) თავის კაპიტალურ ნაშრომში „საექიმო მეცნიერების კანონი“ აღწერა 900 სამკურნალო საშუალება, ძირითადად მცენარეული წარმოშობისა, ამ წიგნმა დიდი გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპაში – გამოიცა 20-ჯერ. ავიცენას ეკუთვნის მეტად ღრმა-აზროვანი გამოთქმა: „სამი იარაღი აქვს ექიმს: „სიტყვა, მცენარე და დანა“.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად უძველესი დასახლებების ადგილებში ნაპოვია ჭურჭლები მცენარეების ნაშთებით. ჯერ კიდევ მაშინ კარგად იყო ცნობილი კატაბალახა (ვალერიანა), კრაზანა, ჭინჭარი, წყლის წიწკა, აბზინდა... იგივე შეიძლება ითქვას საქართველოზეც, მცენარის ცნობა და სამკურნალო გამოყენების ტრადიცია ქართველ ხალხს ოდითგან მოსდევს. ჩვენი ხალხური მედიცინა ამ ტრადიციას აგებული. იგი განუყოფელი ნაწილია უძველესი ქართული კულტურის, ისევე მრავალსაუკუნოვანია, როგორც საქართველოს ისტორია. კოლხეთსა და იბერიას ძველი რომაული და ბერძენი ისტორიკოსები სამკურნალო მცენარეების ქვეყნად თვლიდნენ. ფესვებითა და ბალახებით კურნავდა გრძნეული მედია. აპოლონიუს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“

წერს, რომ გრძნეულმა მედიკოსმა „ყუთში ჩაყარა ბალახ-ბულახი შხამ-სამსალა...“, მოტეხა ღვიის ტოტი და მარჯვედ წაუსვა მძლავრი სამსალა..., და საზარელ ურჩხულს ძილი მოჰკვარა დაუძლეველი და სხვა.

მცენარის სამკურნალო მნიშვნელობამ ასახვა ჰპოვა ქართულ ლიტერატურაშიც, გავიხსენოთ დიდი ვაჟას ყვავილთა მესაიდუმლე მინდია:

„ყვავილნი ყელ-გადაგლებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“ ერთხმად
ასტეხენ ყიყინსა,
და მერე სათითაოდა ყველა
მოყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წამალი“, სხვა
გაიძახის - „იმისა“

წარსულში, როგორც ჩვენი, ისე სხვა ქვეყნების მცხოვრებლები მცენარეებით დაავადებათა მკურნალობისას, რასაკვირველია, გამოდიოდნენ მხოლოდ ადამიანის გრძნობადი შეგრძნებებისაგან (რაც შეძენილი იყო ცხოვრების გამოცდილებით) ხოლო თვით დაავადების განკურნების მექანიზმი, მათთვის გამოცანა იყო ანუ, მათ არ იცოდნენ რა იყო მცენარეში ის საწყისი რაც კურნავდა ამა თუ იმ დაავადებას და მრავალი წელი გახდა საჭირო იმისათვის, რათა ხალხის მიერ მოპოვებული ეს ძვირფასი ემპირიული გამოცდილება მეცნიერულ ნიადაგზე დამდგარიყო და ამოხსნილიყო ის საიდუმლოება თუ რა განსაზღვრავს თითოეული მცენარის კონკრეტულ სამკურნალო ეფექტს, ეს

მოსდა XIX საუკუნის დასაწყისში ევროპაში, როდესაც დამაძინებელი ყაყაჩოსაგან მიღებულ იქნა პირველი ალკალოიდი, რამაც ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. სპეციფიკური დამაძინებელი თვისების გამო მას უწოდეს მორფინი, ძილის მითიური ღმერთის – მორფეას საპატივსაცემოდ. შემდეგ მიღებულ იქნა ემეტინი იპეკაკანას ფესვებიდან, კოფეინი – ყავის ხის თესლებიდან, ქინაქინა – ქინაქინის ხის ქერქიდან და სხვა ალკალოიდები. ასე რომ, მოეხსნა ტაბუ ცოცხალი ბუნების საგანბურის საიდუმლოებას, მეცნიერებმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, შეძლეს „მოესინჯათ“ მცენარის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები. ალკალოიდების გარდა ცნობილი გახდა მცენარიდან გამოყოფილი სხვა ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: გლუკოზიდები, კუმარინები, ტერპენოიდები, მთრიმლავი ნივთიერებები და სხვა.

თანდათანობით შესწავლილ იქნა მათი სამკურნალო თვისებები, შეზღუდული იქნა მცენარიდან მათი გამოწველილვის მეთოდები და სამკურნალო საშუალებების შექმნის ხერხები. ცნობილი გახდა ისეთი ძვირფასი ორგანული შენაერთები, როგორიცაა ვიტამინები და მათი უდიდესი როლი ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობაში. ამან და სხვა აღმოჩენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს რა მნიშვნელოვან შესაძლებლობას მალავს მცენარეული სამყარო. მცენარეებიდან გამოყოფილ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ბაზაზე შექმნილი პრეპარატების უპირატესობაა ის, რომ მისი მიღება და დოზირება გაადვილებულია მცენარეულ ნედლეულთან შედარებით, მასიურმა წარმოებამ კი გააიარა მისი თვითღირებულება.

ბუნებრივ შენაერთთა ქიმიის გამოვიდა ფართო გზაზე.

*მანანა მაისაშვილი
უფროსი მასწავლებელი*

სტრესის ზემოქმედებით ნერწყვში ალფა-ამილაზას
ცვლილებები

ც. სოხაძე. ლ. მოდებაძე



უკანასკნელ წლებში სიტყვა სტრესი მეტად აქტუალური გახდა. XX საუკუნეს უწოდეს სტრესის საუკუნე. XXI საუკუნეშიც სტრესი იმაგრებს თავის პოზიციებს. ეს არის ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა რომელიც გამოწვეულია ძლიერი ზემოქმედებით, სტრესი ეს არის არასპეციფიკური დაცვითი რეაქცია, ორგანიზმზე გარემოს არასასურველი ცვლილებების შედეგად. სიტყვა სტრესი 1936 წელს პირველმა დაასახელა ნობელის პრემიის ლაურეატმა ჰანს სელიემ.

ჩვენი კვლევები ტარდებოდა სტუდენტებზე რომ დაგვედგინა სტრესის დონე მათში სასესიო პერიოდში, გამოცდებამდე და გამოცდების შემდეგ.

გამოკვლევები ტარდებოდა პრაქტიკულად ჯანმრთელ ყმაწვილებზე

21 -22 წლის ასაკში. იზომებოდა არტერიული წნევა, პულსი, იწერებოდა ელექტროკარდიოგრამა. წინასწარ სტუდენტებს უტარდებოდათ აიზენკის ტესტ კითხვარი რათა გამოგვევლინა მათი ფსიქოლოგიური ტიპი. კერძოდ 30 სტუდენტიდან შევარჩიეთ თანაბარი რაოდენობით 15 ექსტრავერტი, 15 ინტროვერტი. ექსტრავერტებიც და ინტროვერტებიც იყვნენ საშუალო ნევროტიულობის ხარისხის. 15 ექსტრავერტიდან 10 იყო სანგვინიკური ტემპერამენტის, 5 ქოლერიკული, ხოლო ინტროვერტული სტუდენტების ნაწილი კერძოდ 10 იყო ფლეგმატიკური ტემპერამენტის, ხოლო 5 მელანქოლიკური.

სტრესის დონის შესაფასებლად ვაკეთებდით ნერწყვის ბიოქიმიურ ანალიზს, კერზოდ ვსაზღვრავდით ნერწყვში ალფა-ამილაზას კონცენტრაციას, რომელიც წარმოადგენს სიმპათიკური ნერვული სისტემის მარკერს სტრესული ფაქტორების ზემოქმედებაზე. განსაზღვრა ხდებოდა ალფა-ამილაზას სპეციალური რეაქტივებით, ნერწყვის მიღება ხდებოდა ლემლი-კრასნოგორსკის კაპსულის საშუალებით, რომელსაც ვამაგრედით ყბა-ყურა ჯირკვლის სადინარზე.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება სტრესის დონესა და ნერწყვში

ალფა-ამილაზის კონცენტრაციას შორის. კერძოდ ექსტრავერტებს როგორც უფრო კომუნიკაბელურ ადამიანებს სტრესის, ამ შემთხვევაში გამოცდის წინ უფრო მეტად ჰქონდათ მომატებული ალფა-ამილაზას კონცენტრაცია ნერწყვში ვიდრე ინტროვერტებს, ამავე დროს ექსტრავერტ ქოლერიკოსებში ყველაზე მაღალი იყო ალფა-ამილაზას კონცენტრაცია, ხოლო ინტროვერტ ფლეგმატიკოსებში სტრესის გავლენით მომატება ამილაზასი იყო უფრო მეტი ვიდრე მელანქოლიკოსებში..

ჩვენი აზრით ნერწყვის ანალიზის მონიტორინგის საშუალებით

შესაძლებელი გახდება ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა სტრეს-რეაქციების დროს, აგრეთვე ქცევის თავისებურებების გამოვლენა.

დღესდღეობით იაპონურმა კორპორაცია NIPRO შექმნეს სამედიცინო აპარატი, რომელიც მის ჩხირზე ნერწყვის დაწვეთების შემდეგ საზღვრავს მასში ალფა-ამილაზას კონცენტრაციას, რომელიც მკვეთრად იზრდება ნებისმიერი სტრესული მდგომარეობის დროს. ამ აპარატის დახმარებით დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში შეიგვიძლია განვსაზღვროთ სტრესის ხარისხი და დონე ჩვენს ორგანიზმში.

ფარმაცია მხოლოდ ბიზნესის საბანი არ არის,
იბი რეპუზირებადი პროფესიაა



განვითარებული სახელმწიფოების კონსტიტუციებში, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციაში, ჩაწერილია, რომ სახელმწიფო აკონტროლებს სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობას, წამლის წარმოებას და მის მიმოქცევას.

ქვეყნის ძირითადი სახელმწიფო პრინციპია მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება მაღალეფექტური, უვნებელი და ხარისხიანი სამკურნალო საშუალებებით. ამასთან ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოსახლეობისათვის წამალი უნდა იყოს ხელმისაწვდომი. წამალი მხოლოდ ბიზნესის საგანი არ უნდა იყოს.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ იმაზე, თუ როგორ დგას დღეს ეს საკითხი საქართველოში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ფარმაცია ამოღებულია რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალიდან და სამკურნალო საშუალებანი მხოლოდ ბიზნესის ობიექტია, პენსიონერს წამლის შეძენის შესაძლებლობა არ აქვს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში და 2004 წლამდე საქართველოს კანონმდებლობით ფარმაცია იყო რეგულირებად პროფესიათა ჩამონათვალში, ისევე როგორც მედიცინის სხვა დარგები, მაგრამ 2004 წელს, იმდროინდელმა ჯანდაცვის მინისტრმა და წამლის სააგენტოს ხელმძღვანელობამ ფარმაცია ამოიღო რეგულირებად პროფესიათა სიიდან, რის შედეგად დიდი ზიანი მიაღვა ამ დარგს, საერთოდ ქართულ მედიცინას და მთლიანად ქართულ საზოგადოებას.

ფარმაცევტული საქმიანობა უნდა იყოს პაციენტზე ორიენტირებული, სახელმწიფო კანონებით რეგულირებადი დარგი, რომლის მთავარი მიზანია მოსახლეობას მიაწოდოს ეფექტური, უსაფრთხო, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებანი. ამისათვის აუცილებელია მარეგულირებელ კანონებში სათანადოდ იყოს გაწერილი და გათვალისწინებული დარგის სპეციფიკური თავისებურებანი და ის რეკომენდაციები, რომელსაც გვთავაზობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაცია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში ყოველწლიურად წამლისმიერი გართულებებით იღუპება 110000 ადამიანი. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა წამლებით გამოწვეული გართულებების მართვის პრობლემებს; ასევე წამლის ეფექტურობის, უსაფრთხოების, ხარისხის და ხელმისაწვდომობის პრობლემებს.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, საშუალოდ ავადმყოფი ლეულობს 4-დან 12-მდე სხვადასხვა წამალს. კლინიკაში წამლისმიერი გართულებები ვლინდება 33%-ში, ხოლო ამბულატორიულ ავადმყოფებში 52%-მდე. ასეთ ვითარებაში ფარმაცევტი არის ის სპეციალისტი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა რაციონალურ ფარმაკოთერაპიაზე. განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს კლინიკურმა ფარმაცევტმა, მკურნალ ექიმთან ერთად, რათა თავიდან ავიცილოთ ფარმაკოლოგიური შეუთავსებლობანი, წამლის გვერდითი ეფექტები და სხვა მოსალოდნელი წამლის მიერი გართულებანი. ამ პრინციპებზეა დღესდღეობით მკურნალობა ევროპასა და ამერიკაში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ფარმაცევტული საქმიანობა არის სოციალურად ორიენტირებული, მაღალი რისკის, საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველი დარგი, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან. ამიტომ არის რომ ჯანდაცვის მსოფლიო

ორგანიზაცია ფარმაციას თვლის რეგულირებად პროფესიად.

საქართველოში დღეს ფარმაცია არ ითვლება სამედიცინო პროფესიებში, მასზე არ ვრცელდება ჯანდაცვის კანონები. უხეშად ირღვევა საკადრო პოლიტიკა, დამახინჯდა წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის კანონი და კანონქვემდებარე აქტები. უგულვებელყოფილია ფარმაცევტული კადრების უწყვეტი განათლების საკითხი.

ფარმაცევტული დარგის საკანონმდებლო საკითხების პროექტების შედგენა-განხილვის საქმეში იგნორირებულია ფარმაცევტთა ასოციაცია.

წამლებს ყიდიან სუპერმარკეტებში არასპეციალისტები, რის გამოც არ სრულდება სახელმწიფოს მოვალეობა წამლისმიერი უსაფრთხოების შესახებ.

რამდენიმე წელიწადია საქართველოში არ მოქმედებს ექიმის რეცეპტის ინსტიტუტი, რის გამოც ძლიერმოქმედი სამკურნალო პრეპარატები ურეცეპტოდ, ან ფარმაცევტული ფირმების რეცეპტებით გაიცემა.

საქართველოში არ მოქმედებს წამლის ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის სახელმწიფო სისტემა; ქვეყანაში არ არის საბაჟო კონტროლი წამალზე, არ არსებობს საარბიტრაჟო კონტროლის ლაბორატორია სამკურნალო საშუალებებისათვის, არ მოქმედებს წამლის მონიტორინგის სამსახური, არ რეგულირდება ფასწარმოქმნა წამლებზე, რის გამოც იმპორტული წამლის ფასი ჩვენში ბევრად

მაღალია ევროპის ქვეყნებში არსებულ ფასებთან შედარებით.

რამოდენიმე თვის წინ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის და სოციალური დაცვის კომიტეტში იყო მსჯელობა ფარმაცევტული ფირმების რეცეპტებით აფთიაქიდან წამლის გაცემის მახინჯ პრაქტიკაზე, მაგრამ სამწუხაროდ, პრესაში პუბლიკაციის შემდეგ, მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

ის ფაქტი, რომ საქართველოში წამალი ძირითადად ბიზნესის ობიექტია, საზიანო და სახიფათოა მოსახლეობისათვის. სწორედ ეს ვითარება განაპირობებს წამლისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებას. ბევრს არ ჰგონია, რომ ლამაზად და მიმზიდველად გაფორმებულ შეფუთვაში: ტაბლეტებში, კაფსულებში, ტუბებში და ამპულებში, ძლიერმოქმედი ნივთიერებანია და მათთან არაპროფესიული დამოკიდებულება სახიფათოა პაციენტისათვის. არ შეიძლება ვულგარტოთ ჰიპოკრატეს ფიცს – არ ავნო.

ფარმაცევტულ ინსპექციას ჩვენში უფლება არ აქვს საგამომძიებლო

ორგანოების დავალების გარეშე ამოიღოს საანალიზო ობიექტი. იმპორტული ფარმაცევტული პრეპარატები არ ექვემდებარება ხარისხზე კონტროლს. აქედან გამომდინარე, საქმე ასეა დაყენებული - შემოიტანე უცხოური ფარმაცევტული პრეპარატები და ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე ივაჭრე ამ საქონლით სუპერმარკეტებში აფთიაქის და ფარმაცევტის გარეშე. ასეთ ქმედებას ნამდვილად არ მივყავართ ევროპისაკენ.

საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდიუმი პერიოდულად მსჯელობს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და აყენებს საკითხებს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე. გვპირდებიან, რომ მოაგვარებენ საკითხებს, წინააღმდეგი თითქოს არ არიან, მაგრამ წლები გადის და მდგომარეობა არ იცვლება.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კრიტიკა მაინც იქნება სათანადოდ აღქმული და პრობლემები გადაიჭრება.

**საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის
საპატიო პრეზიდენტი
პროფ. ბ. ჭუმბურიძე**

წიგნი ქართული ფარმაციის ისტორიის შესახებ

ამ დღეებში დაისტამბა მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორის ბიძინა ჭუმბურიძის წიგნი „ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარში“.

წიგნი მოიცავს: საქართველოში ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების დაარსების და საქმიანობის მასალებს; საქართველოში ფარმაციის განვითარების ისტორიული ეტაპების მოკლე მიმოხილვას უძველესი დროიდან დღემდე; საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში ფარმაცევტთა საზოგადოების დაარსებისა და საქმიანობის ცნობარს.

90-იან წლებში ფარმაცევტული საქმიანობის რეფორმის მიმოხილვას;

9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით ქიმიურ-ფსიქოლოგიური კომისიის მუშაობას და 20 წლის თავზე ამ საქმიანობის მოგონებას; მოგონებებს ჩვენი მასწავლებლების და მეგობრების შესახებ.

ნაშრომს დართული აქვს ფოტოსურათები, რომლებიც ასახავენ ფარმაცევტთა საზოგადოების წევრების მონაწილეობას საზოგადოების შეკრებებზე, ყრილობებზე, სიმპოზიუმებზე, საკავშირო და საერთაშორისო ფორუმებსა და კონგრესებში.

წიგნი საინტერესოა როგორც ფარმაცევტთა საზოგადოების წევრებისათვის, აგრეთვე ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

წიგნი ფარმაცევტთა შახლეს ისტორიაზე



ახლანახანს გამოვიდა აკადემიკოს ბიძინა ჭუმბურიძის ნაშრომი „ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოება საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევარი“. საინტერესოდ და ლამაზად წარმოდგენილი შრომა, როგორც იტყვიან ხოლმე, „ერთი ამოსუნთქვით იკითხება“. ისტორიული მასალა, მოგონებები, ფაქტები, სტატიები, ფოტოალბომი, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს საზოგადოების ისტორია და ავტორის ბიოგრაფია, მთლიანობაში აკინძულია როგორც „პროფესიული ოჯახის“ თავგადასავალი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელიც თავად ავტორია – ბევრის მომსწრე და მნახველი.

მკითხველს თუ ამ „ოჯახში“ სტუდენტობა მაინც გაუტარებია არ შეიძლება არ აღმოხდეს ილიას სიტყვები: „ო, ძვირფასო ხუთო წელიწადო“-ო, ხოლო თუ მასთან უცხოვრია ან შორი-ახლოს მდგარა, არ შეიძლება არ აფორიაქდეს, არ განიცადოს, რაღაც

ძვირფასი ლექსის ტაეპი არ ამოუტივტივდეს გონებაში. . . მაგალითად, გალაკტიონის ლექსი მამისეულზე:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა

არ გაიარე რაა მამული?!

წინაპართაგან წავიდა ყველა,

სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაში-ული“.

კითხულობ შრომას და ავტორი თვითონ გკარნახობს:

„გაშალა ველი ნელმა ნიაემა

და ძელანდება მე მის წიაღში

მოხუცი მამა, მოხუცი მამა

სასხლავით ხელში დადის ვენახში“.

ღიას, „დიდი ადამიანები“ დალიონდნენ თავიანთ „ვენახში“, თავიანთი ადამიანური განზომილებებით, თესავდნენ და იმკიდნენ, სხლავდნენ და ფურჩქნიდნენ, ზოგს მეტად უმართლებდა „ამინდი“, ზოგს – ნაკლებად, მაგრამ ყველა მათგანმა ნათელი კვალი დატოვა თავის მოწაფეებსა და საზოგადოებაში.

ორიოდ სიტყვით საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების 80-იან წლებზე მოგახსენებთ, რადგან ეს პერიოდი შრომაში ნაკლებად ან შეიძლება ითქვას, არც არის გაშუქებული.

1987 წლის შემოდგომა. . . საზოგადოებას ბატონი ლევან ჩხატარაშვილი ხელმძღვანელობს, იქმნება საორგანიზაციო ჯგუფი, რომელმაც უნდა ჩაატაროს საქართველოს ფარმაცევტ-

თა II ყრილობა. უდიდესი ღონისძიება იგეგმება. სტუმრები მთელი საქართველოსა და კავშირის მასშტაბით არიან მოწვეულნი. ყველას თავისი საქმე აქვს: რეზო მურღულიას, ბუსია ბოჭორიშვილს, ცარო დალაქიშვილს, ლევან თოფურას, თინა დოლაბერიძეს, ნადია გავაშელს. . . და ყველა სხვას, რომელთაც ბატონი ბიძინა არაერთხელ მოიხსენებს.

მე ბატონმა ლევანმა ქალბატონ ლინას „მიმამაგრა“. გვიან ღამემდე თეზისებს ვასწორებთ, რაც შემდგომ დიდი ტირაჟით იბეჭდება. ბატონი ლევანი უჩვეულოდ ნერვიულობს, თუმცა თავის უბადლო იუმორს მაინც ვერ ელევა. 14-15 დეკემბერს უამრავი სტუმარი ჩამოდის კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან. მოსკოვის დელეგაციას აკადემიკოსი ანტონინა ივანოვნა ტენცოვა ხელმძღვანელობს, ყრილობა კი არა ნამდვილი ზეიმია, იგი ოთხ დღეს გრძელდება. . .

ბატონი ლევანი, ქალბატონი ლინა და საქართველოს ფარმაცევტთა საზოგადოების მთელი ელიტა ულამაზესი მასპინძლები იყვნენ. . .

„დავდივარ ვწუხვარ და მენანება“, არ შეიძლება ეს დღეები დავიწყებას მიეცეს. . . არ მინდა პესიმისტურ ნოტაზე დავასრულო, გალაკტიონი იმასაც ხომ ამბობს: „ისევ აყვავდა მღელღო და კორდი“-ო, ალბათ აყვავდება სააფთიაქო საქმეც ფარმაცევტული ბიზნესის ნაცვლად, გაემიჯნება წამალი პროდუქტს, ყურად იღებენ წიგნის „ბოლოთქმას“ თანა-„მედროვენი“, არ გადაფასდება ფარმაცევტთა ჭეშმარიტი კატეგორიები და ბატონი ბიძინას ნაშრომიც აღნიშნული პერიოდის შეფასებისათვის ერთ-ერთი საინტერესო წიგნი იქნება.

*ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი
ნესტან (ნელი) ნიკურაძე
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის,
საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო
უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ
„ინტერფარმ“-ის პროფესორი*

ქართული ეროვნული ფარმაციის ამაბლარი


ბოლო წლების მანძილზე საქართველოში სულ უფრო ვითარდება ფარმაცევტული მეცნიერება და მრეწველობა, ახალ დონეზე ავიდა ფარმაცევტული კადრების მომზადება.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო – კულტურულ – საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნაშიც“ წარმატებით მოქმედებს ოფიციალურად აკრედიტირებული სასწავლო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტი, სადაც ფარმაციის სფეროს ცნობილი სპეციალისტები გულმოდგინედ ასწავლიან ახალგაზრდებს და აქვს დიდი სურვილი მათგან ჩამოაყალიბონ სამამულო ფარმაციის მომზადებული, მოწინავე მუშაკები.

ჟურნალ „სიტყვის“ ამ ნომერში გვინდა გავიხსენოთ ის მეცნიერები და პირველი პედაგოგები, რომლებმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს მეცნიერულ ფარმაციასა და ფარმაკოგნოზიას.

მათ შორის არიან აკადემიკოსი იოველ ქუთათელაძე, პროფესორები ნიკოლოზ მასხულია, არისტრახ მშვიდლობაძე, პავლე ჭუმბურიძე, ედუარდ აბოლი, ვალერიან შოთაძე, ვლადიმერ ასათიანი.

ჩვენი სტატია ეძღვნება მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ედუარდ იაკობის ძე აბოლს.



ედუარდ აბოლი დაიბადა 1868 წლის 14(29) თებერვალს ქ.რიგაში. მაზრის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1884 წელს მუშაობა დაიწყო აფთიაქში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ფარმაციის სპეციალობით. ამავე პერიოდში მუშაობდა აფთიაქარად ფერეინის ძველნიკოლსკის აფთიაქში. 1892 წელს ფერეინის აფთიაქში არანორმალური შრომის პირობების გამო თანამშრომლები გაიფიცნენ. ე. აბოლი იყო ამ გაფიცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რის შემდეგ იძულებული გახდა სხვა თანამშრომლებთან ერთად დაეტოვებინა სამსახური. იმავე წელს ე. აბოლმა მუშაობა დაიწყო სახაზინო პალატაში,

მაგრამ მიუხედავად ამისა, აგრძელებდა სამეცნიერო მოღვაწეობას და 1899 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქაფურის ხის ქსოვილებში ქაფურის გადალაგების შესახებ“ და მიენიჭა ფარმაციის მაგისტრის და დოცენტის წოდება. 48 წლის ასაკში დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის მეორე ფაკულტეტი ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით. 1915 წლიდან ე.აბოლი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მოსკოვის სამრეწველო სასწავლებელში, ლეფორტოვოს კურსებზე, დმენდელევის სახელობის ინსტიტუტში. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ასწავლის მოსკოვის ფარმაცევტულ სკოლაში და მოსკოვის უნივერსიტეტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ფაკულტეტზე, ამავე დროს არის რუსეთის ჯანდაცვის სახალხო კომიტეტის კონსულტანტი.

1924 წელს ე.აბოლი ოჯახური პირობების გამო ჩამოდის საქართველოში. საინტერესოა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს 1924 წლის 26 ივნისის სხდომის დღიური №8. სხდომას ესწრებოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, პროფესორები: ივ.ჯავახიშვილი, ალ.ალადაშვილი, კ.კეკელიძე, დ.უზნაძე, გ.ახვლედიანი, ა.შანიძე, გ.წინამძღვრიშვილი, ი.ბერიტაშვილი, გ.ნათაძე და სხვები. სხდომას თავმჯდომარეობდა ივ.ჯავახიშვილი. განხილვის შემდეგ სხდომამ დაადგინა ქიმიურ-ფარმაცევტულ განყოფილებაზე სამკურნალო მცენარეთა მომშენებლობის კათედრაზე დოცენტად და კათედრის

გამგედ მოეწვიათ ფარმაციის მაგისტრი ე.აბოლი. ამ პერიოდიდან 1952 წლამდე ე.აბოლი იყო საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული სკოლის კათედრის ხელმძღვანელი. ამავე დროს 1932 წლიდან ე.აბოლი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ფარმაკო-ბოტანიკური განყოფილების უფროსად.

1935 წლიდან ე.აბოლი იყო ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო 1944 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მოღვაწის წოდება.

აღსანიშნავია რომ 1941 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეღუარდ აბოლს, როგორც გერმანელს, საქართველოდან გადასახლების საფრთხე შეექმნა, მაგრამ გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა დახმარებით და მხარდაჭერით გადაურჩა განსაცდელს.

როგორც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტომი I – თბილისი 1975წ.) აღნიშნულია ე.აბოლმა წლების მანძილზე შეისწავლა და თავის შრომებში აღწერა ადგილობრივი სამკურნალო მცენარეები. იგი ავტორია სამკურნალო მცენარეთა ფიტოქიმიისა და მიკროქიმიის დახასიათებისა. იკვლევდა ფარმაკოგნოზის სწავლებისა და მცენარეული ფარმაციის პრობლემებს.

ე.აბოლი არის 70-ზე მეტი მეცნიერული შრომის ავტორი, რომლებიც ფარმაკოგნოზის და სასწავლო პედაგოგიურ საკითხებს ეძღვნება. მისი

ხელმძღვანელობით ბევრმა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკმა მიიღო ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის წოდება, აგრეთვე დოცენტის და პროფესორის ხარისხი.

თავის შრომებს პროფესორი ედუარდ აბოლი სისტემატურად აქვეყნებდა საქართველოში გამომავალ ჟურნალებში: „თანამედროვე ფარმაცია“, „ჯანსახკომის მოამბე“, თბილისის - სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომებში და სხვა.

ედუარდ აბოლი 93 წლის ასაკში გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ იგი საერთოდ არ ავადმყოფობდა და სიცოცხლის ბოლო დღემდე თბილისის ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტში მუშაობდა.

ედუარდ აბოლი იყო მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, იცოდა 11 ენა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მოკლე დროში შეისწავლა მეთორმეტე ენა – ქართული. კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და იუმორისტულ ლექსებს წერდა.

ეაბოლის მეცნიერული შრომები დაცულია ქ.რიგაში პ.სტრადინის სახელობის მედიცინის ისტორიის მუზეუმში. აქ არის მისი ცხოვრების გზა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი

სტენდი. მისი მეცნიერული შრომები და პირადი ნივთები დაცულია აგრეთვე თბილისში საქართველოს მედიცინის ისტორიის მუზეუმში.

საინტერესოა რომ ბატონი ედუარდ აბოლი უარყოფითად აფასებდა ქიმიურ წამლებს და უპირატესობას ანიჭებდა ხალხურ მედიცინას, მუშაობდა წამლებზე, რომელთა შემადგენლობაში იქნებოდა მხოლოდ სამკურნალო მცენარეები. მეცნიერი ყოველთვის აღნიშნავდა, თუ რაოდენ სასიკეთოა ადამიანის ორგანიზმისათვის წითელი ღვინო. სადილობისას იგი ყოველთვის სვამდა 1-2 ჭიქა „ხვანჭკარას“.

ამ სტატიის ავტორი ედუარდ აბოლის შთამომავალი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ დღესაც ცოცხალი არიან ის ადამიანები, რომლებიც პირადად იცნობდნენ ედუარდ აბოლს. მათ შორის არიან პროფესორი ბიძინა ჭუმბურიძე, სოკრატ სალუქვაძე და სხვები.

პროფესორი ლინა ერისთავი ყოველთვის სიამოვნებით ათნიშნავდა, თუ როგორი ერუდირებული, შრომისმოყვარე და მიუხედავად ასაკისა რა მოხდენილი და აზოვანი იყო ბატონი ეაბოლი. იგი კერძოდ წერდა: „საკმარისი იყო ის ერთხელ გენახათ და არასოდეს დაგავიწყდებოდათ!“

ალექსი ჭელია
ედუარდ აბოლის შთამომავალი

აგოლის ლექსი ზელინსკისადმი

აკადემიკოსს გუნდ-გუნდად
 ჰკითხავდნენ ჟურნალისტები,
 მაგ თქვენს წლებამდე მიღწევას,
 როგორ, რით, ანდა რის ნებით
 შევძლებთ, გთხოვთ გვითხრათ
 რა ვჭამოთ, ან უფრო უნდა დავლიოთ,
 სალ-სალამათნი რომ შევხვდეთ
 დაღამებას თუ ალიონს.
 მათ უპასუხა ზელინსკიმ:
 „თუ გსურთ იცოცხლოთ 200 წელს,
 ფორთოხალს უნდა მიხედოთ,
 ჭამოთ რასაც კი მოასწრებთ,
 თანაც თხლად დაჭრილ ორაგულს
 მიატანთ არა ძალათი,
 შტოში, ტყემალი, ყურძენი
 სადილზე კარგი სალათი.
 არ გინდათ შჩი და ფაფები
 თუ მაწონს დაეწაფებით,
 მიატანთ თაფლს და ჭარხლის წვეს,
 მოწეულსა თუ აწინდელს,
 თან ჭამეთ ბევრი ნიორი,
 თუმც ეს არ არის იოლი,
 თუნდ თქვენ ნიორი გაბოდებთ
 და ხალხი თქვენგან გარბოდეს.
 ამის ნუ მოგერიდებათ,
 თუ გსურთ გამაგრდეთ, გადარჩეთ,
 მიენდეთ ხახვს თუ არაჟანს,
 სტაფილოც გქონდეთ მრავალჯამს
 და სისხლი წმინდეთ ამითი,
 როგორც მზით ცუდი ამინდი.
 ორმოცი წლის თუ შესრულდით,
 სმა მხოლოდ ლუდით დაიწყეთ,
 ორმოცდაათი წლიდან კი
 ღვინო ძველთაძველ მარნების
 სვით,

არც გაწყენთ და
არც გიწყენთ.
ვინც ჯანმრთელობას მოენდო,
წამლობის ნაცვლად პოეტობს,
იგი დაკავდეს გაშვებით
ექიმის, ექიმბაშების.
ზელინსკი დელიკატურად
ღუმილსაც მოიშველიებს,
ვნებს ადამიანს არაყი?
პასუხი იმან თითქოსდა
გონების ფილტრით გაწურა,
—არყის სმა თუკი გენებოთ,
არა აქვს უკუჩვენება.

ე.ა. ბოლი

ეს სახუმარო ლექსი, რომელიც ითარგმნა ჟურნალ „სიტყვის“ რედაქციაში, ბატონმა ედუარდ აბოლმა მიუძღვნა თავის მასწავლებელს, გამოჩენილ რუს მეცნიერს ნიკოლოზ ზელინსკის. როგორც ცნობილია, იგი ასე წლისა გარდაიცვალა. თავისი გვარის მინაწერშიც ჩანს ბატონ ედუარდის იუმორი. ლექსს მან ე.ა.ბოლი კი არა ე.ა.ბოლი (ტკივილი) მიაწერა.

მამადავითობა და თელეთობა

თეიმურაზ ბერიძე,
პროფესორი, თბილისის
თბილისის საპატო მოქალაქე,
ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი

„ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ
ამაღლდა ზეცად და დაჰსჯდა მარჯუენით ღვთისა“.
მარკოზ მახარობელი, 16, 19

გადმოცემის თანახმად VI ს-ში ძველი თბილისის დასავლეთით უსახელო კლდეზე არსებულ ქვაბულში დასახლებულა მამა დავითი, ერთი იმ ცამეტი სირიელი მამათაგანი, რომლებიც ჩვენში ჩამოვიდნენ ქრისტეს რჯულის საქადაგებლად, აღნიშნული ქვაბულის მიტოვების შემდეგ, ხალხმა, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების



დიდი მოღვაწის მამა დავითის სახელის უკვდავსაყოფად უსახელო მთას (კლდეს) შეარქვა „მამადავითი“. ხოლო, რაც შეეხება მთის მეორე სახელს „მთაწმინდა“-ს იგი უწოდეს IX-X სს-ში ათონის მთაზე „მთაწმინდაზე“ ქართველი საეკლესიო მოღვაწეთა მიერ დაარსებულ საგანმანათლებლო საგანის გამო. ჩვენდა სამწუხაროდ, თბილისის მთაწმინდის და იქ საეკლესიო საქმიანობისა თუ მოღვაწეობის შესახებ XVI

ს-მდე არავითარი ცნობები არ გავგაჩინია. „გარეთუბანსავე შინა არის ეკლესია მთაწმინდად წოდებულისა მთასა ზედა ყდწ-ისა ლ-ისმშობლის სახელსა ზედა, დავით და ნიკოლოზის მღვდელმონაზონთა გაბაევთაგან აღშენებული 1542-სა წელსა“.¹ 1542 წელს დავით და ნიკოლოზ გაბაშვილების მიერ მთაწმინდაზე ეკლესიის აგების შემდეგ, მას დიდხანს არ უარსებია, რამეთუ XVIII

¹ დავით კარიჭაშვილი. კატალოგი

საუკუნეში, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს „მონასტერი მთაწმინდისა... აწ ცალიერი“ იყო². გამოხდა ხანი, და აი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის თაოსნობით და დავალებით 1809 წელს, თბილისის ქაშვეთის ეკლესიის მღვდელმა თომა გრიგორიევმა მრევლში შეგროვილი ფულით განაახლა მთაწმინდის ეკლესია. თომა გრიგორიევმა მთაწყო ეკლესიის ეზო და გამოიყვანა წყარო. 1810 წ. კათალიკოს-პატრიარქის ანტონ მეორის ლოცვა-კურთხევით არქიმანდრიტმა ტრიფოლიმ მთაწმინდის ეკლესია აკურთხა ფერიცვალების სახელზე. კავკასიის მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვის დროს 1817-1818 წწ. სამხედრო მესანგრეებმა გააფართოვეს ეკლესიაზე მისასვლელი გზა. იოსებ თომას ძე გრიგორიევმა მრევლში შეგროვილი ფულით, 1859 წ. საძირკველი ჩაუყარა ამჟამინდელ ეკლესიას. 1871 წ. ეგზარხოსმა ვესევი ილინსკიმ (1858-1877 წწ.) აკურთხა ეკლესია, რომელსაც აკლდა გუმბათი. 1877 წ. მთაწმინდის ეკლესიას გუმბათი დაადგა იოსებ დეკანოზმა. 1889 წელს მოინახტა ეკლესიის კედლები. 1891 წ. ეკლესიასთან დაარსდა სამრევლო საქალებო სკოლა. მთაწმინდის ეკლესია „... დადებულ არს ... ვითარცა მონასტერად დედათა. აქა მოილოცავს შეყრილობა ტფილისის მცხოვრებთა, საუფლოისა დღისა ამაღლებისა სწორსა ხუთშაბათსა დაუკლებლად მოილოცავენ დედანი ტფილისის მცხოვრებნი, ფრიადისა ლუაწლითა და შრომითა მუნ მიმომსვლელებნი“. (დავით კარიჭაშვილი).

მთაწმინდობა, ანუ წმიდა მამადავითობა, ძველ თბილისში იდღესასწაულებოდა აღდგომის მეშვიდე კვირის ხუთშაბათ დღეს, ზეცად ამაღლებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

როგორც ყველა საეკლესიო დღესასწაულზე. მამადავითზეც გამორჩევით მომლოცველი ქალები სჭარბობდნენ მამაკაცებს. დილაადრიან იწყებოდა მომლოცველთა სვლა მთაწმინდისაკენ.

მთაწმინდაზე ასული მომლოცველი, სანამ ეკლესიაში შევიდოდა, ჯერ ეკლესიისათვის უნდა შემოეველო სამჯერ და თან ძაფი უნდა შემოეხვია მისთვის. ეს იყო ეკლესიისადმი თაყვანისცემის ერთ-ერთი გამოხატულება. მთაწმინდაზე ასულ მომლოცველებს კიდევ ერთი ჩვევა ჰქონდათ. იმის გასაგებად თუ გამოსაცნობად, შეუსრულებოდა თუ არა ჩანაფიქრი, ოცნება, შეისმინა თუ არა ღმერთმა მათი თხოვნა, ეკლესიის დასავლეთ კედელში დატანებულ რკინის კარს კენჭს ჩამოუსვამდნენ, უფრო ზუსტად მიადებდნენ. თუ კენჭის ჩამომსმელის ჩანაფიქრს, სურვილს შესრულება ეწერა, კენჭი რკინის კარს უნდა მიკვროდა და გაჩერებულიყო. ამ „რიტუალის“ შემსრულებლები ძირითადად ყმაწვილები და ახალგაზრდა გოგონები იყვნენ. იყო შემთხვევები, როცა „სასწაულმოქმედი“ რკინის კარი აიკრავდა კენჭს, რასაც დიდი ჟივილ-ხივილი მოჰყვებოდა ხოლმე, ხოლო კენჭის პატრონი კმაყოფილი სახით შორდებოდა იქაურობას იმ იმედით, რომ ჩანაფიქრი

² ვახუშტი. აღწერილი... გვ. 338

შეუსრულდებოდა. მოძლოცველები, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კლდის ნაშალი და დაძრული ქვის ხმაურს, რომელიც კარგი ამბის მაუწყებლად ითვლებოდა.

მამადავითობის დროს არსებობდა, კიდევ ერთი მეტად უჩვეულო რიტუალი „ბავშვის შეწირვის“ წესი. მშობლები, რომლებსაც შვილი ხშირად უკვდებოდათ, ასეთი უბედურების თავიდან აცილების, ბავშვის დაცვის მიზნით, რამდენიმე ხნით წმიდა დავითის ეკლესიას „შესწირავდნენ“ შვილს. „შეწირული ბავშვი“ დათქმული დროის განმავლობაში თმაგაკრეჭილი დადიოდა, მას ტანზე თეთრი ტანსაცმელი უნდა სცმოდა ტანგაუნდელად. როცა დათქმული დრო მოვიდოდა, ფეხშიშველა ბავშვს მთაწმინდის ეკლესიაში მიიყვანდნენ. იქ მას მღვდელი თმას შეკრეჭდა, თეთრ ტანსაცმელს გახდიდა, მის მაგიერ ფერად ტანსაცმელს ჩააცმევდა და ლოცვა-კურთხევით დაამთავრებდა ამ რიტუალს. ბოლოს ბავშვის მშობლები კლავენ საკლავს – ცხვარს, ანდა ხარს, რომელიც იხარშებოდა და მლოცველებს ურიგდებოდა.

თბილისის შემოგარენში ამაღლების საეკლესიო დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნებოდა თბილისიდან 10-12 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელ თელეთში. ამაღლება თელეთობის სახელითაა ცნობილი.

თელეთობა დიდ დღესასწაულად ითვლებოდა და ახლაც ასე ითვლება. თელეთში მდებარე წმიდა გიორგის ეკლესიასთან აღნიშნულ დღეს სალოცავად არა მარტო ქალაქელები, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს

სხვადასხვა სოფლებიდანაც მიდიოდნენ. თელეთობაზე მოძლოცველთა სიმრავლე აისახებოდა თელეთის წმ. გიორგის საყოველთაოდ ცნობილი სასწაულმოქმედი ძალით, მოძლოცველად, როგორც წესი, უმეტესად ხეიბარნი, დავრლომილნი, გლახაკნი, უძეო და უშვილო ქალები და კაცები განურჩევლად მათი სოციალური წარმომავლობისა მოემართებოდნენ.

თელეთობაზე მოძლოცველნი წინა დღით მიდიოდნენ ღამისთევით. თბილისის სამხრეთით მდებარე გარეუბნები – ორთაჭალისა და კრწანისის მისაღვომები – გადატვირთული იყო ქვეითად, ცხენით, ეტლით თუ მოჩარდახებული ურმით თელეთობაზე მიმავალი მოძლოცველებით. აი, ქვეითად მიმავალ ქალაქელს მხარზე მოუგდია ჭრელი ხურჯინი და ნება-ნება მიუყვება კრწანისის ქედის დაკლაკნილ ბილიკს. ხურჯინის ერთ ჯიბეში ნაზუქები, ქაღები, შოთის პურები ეწყო; მეორეში კი ერთვედროიანი ღვინით სავეს, პირმოკრული ტიკი და საღვთო შესაწირი ოქროს ბიბილიოიანი მამალი.

მოჩარდახებულ, ხარებშებმულ ორუღელა ურემზე ისხდნენ ქალები, ბავშვები და მოხუცებულები. ურმიდან თავი გამოეყოთ შუბლზე მურით ჯვარგამოსახულ ცხვრებს. ქედიდან რომ გადმოგეხედათ ერთ მწკრივად მიმავალი მოჩარდახებული ურმებისათვის, გეგონებოდათ ქედის ფერდზე უზარმაზარი ფერად-ფერადი ფიანდაზი დაუგიათო. მოქანავე ურმების ჭრიალი არღვევდა ღამის სიმყუდროვესა და წყვილადს, თითქოსდა თელეთის სანახებს ჭრიჭინების დიდი გუნდი შესევიო... ურემთა ჭრიჭინს თან ერთვოდა უღელში

შებმული ხარების ხენეშისა და ცოხნის ხმა. ყოველივე ეს, ბუნებასთან შერწყმული, საოცარ, განუმეორებელ ჰარმონიას, ერთ გამოუთქმელ ზღაპრულ სილამაზეს ქმნიდა... და აი, როგორც იქნა, ღამემ გაფერმკრთალა იწყო, ირიჟრაჟა, უძილო ღამე მიილია. წმ. გიორგის ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჯვარზე მზის სხივი აკიაფდა. მზის ამოსვლას პირველად გამაყრუებელი ხრინწიანი ყვილით მამალი მიესალმა. პირველ მამალს მეორე აჰყვა. მამლების გაბმულ ყიყლიყოს ურმის ბორბალს გამობმული, სამსხვერპლოზე მიყვანილი ცხვრების განწირული ბლავილი ერთვოდა... ამ დროს ეკლესიის ეზოში ზოგი ქადაგად დაცემულიყო და ქვეყნიერებაზე ცოდვა-მადლის განკითხვას მოითხოვდა; ზოგი მომლოცველი წმიდა სანთლით ხელში, ჩოქვით უვლიდა ეკლესიას და თან ლოცვას ბუტბუტებდა; იქით, რომელიღაც ცოდვილს კისერზე მსხვილი ჯაჭვი ჩამოეკიდა და ღმერთს, უზენაეს ამქვეყნიური ცოდვების შენდობა-პატიებას შესთხოვდა. აგერ, უშვილო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ფეხშიშველა, ჩოქვა-ჩოქვით გარს უვლიან ეკლესიას და თან, სურვილების შესრულების მიზნით, ეკლესიას თავის ნახელავს – დართულ ბამბის ძაფს ახვევდა, იქნებ ღმერთმა ერთი შვილი მაინც გვაჩუქოსო. ზოგი მომლოცველი ცდილობდა, ეკლესიის გარშემო, მსხვერპლად შეწირვამდე შემოეტარებინა შუბლზე ჯვარდასმული, რქებზე წმიდა სანთელდანთებული გაურჩებული ცხვარი. ზოგიერთი ხელმარჯვე მომლოცველსკი უკვე ცხვრის დაკვლაც და გატყავებაც მოესწრო, ცეცხლიც დაენთო და ხედ შემომდგარი გაჭვარტლური

სპილენძის დიდი თანგირა ქვაბიდან ამოვარდნილი ოხშივარი ცას წვდებოდა. წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში იმართებოდა ლხინი. მოქიფენი ჯამით თუ ჭიქით ხელში ღმერთს შესთხოვდნენ. შეესმინა მათი ლოცვა-მუდარა და სურვილების შესრულებაში დახმარებოდა. იქვე, შორიანლო, ვილაც ბრმა მუსიკოსი საზანდარზე ამღერებდა და მსმენელთ რომელიღაც სახალხო გმირის ზღაპრულ თავგადასავალს მოუთხრობდა. ლხინის შემდეგ მომლოცველები თელეთიდან ქალაქისაკენ მოემართებოდნენ. ქალაქიდანაც გადიოდნენ მათ შესახვედრად, ძირითადად ახალგაზრდობა. თბილისის გარეუბანში ხარფუხ-ხეიდაბადის ახლოს ორთაჭალის ბალებში გრძელდებოდა თელეთში დაწყებული ლხინი და ქეიფი. თელეთობა მთავრდებოდა ორთაჭალაში გამართული დიდი ჯირითით. ყარაბაღული ჯიშის ცხენებზე ამხედრებული ყმაწვილი კაცები სიმკვირცხლეში და სისწრაფეში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ჯირითის გარდა აქვე იმართებოდა ქართული სპორტული თამაშობა ისინდი. კარგა შებინდებული იქნებოდა, როცა ლხინითა და სპორტული თამაშებით დაღლილი ღამის მთევველი მომლოცველები ცეკვა-თამაშით და სიმღერით ქალაქში შემოდინოდნენ. ძველ თბილისში ხშირად გაიგონებდით, გაცხოველებული მოკამათეები თავიანთი სიალაღისა და სიმართლის დასამტკიცებლად, თელეთის წმიდა გიორგის ძალას როგორ იშველიებდნენ: „მტყუნს თელეთი გაუწყრესო“, ხოლო ქეიფის დროს გაჯიუტებულ მენახეს ასე მითმართავდნენ: „ვინც არ დალიოს თელეთმა დააკუტოსო“.

კველი თბილისის ეზო და უბანი

ძველი თბილისის სუროთ-მოძღვრებაში ეზოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ზაფხულის ცხელ დღეში, როცა რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩას მზის სიმხურვალისაგან ალმური ასდიოდა, თბილისის ეზო, ეთგვარ „სავანას“ წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი გახსნილი, რიკულებშემოვლებული აივანი, სადაც რატომღაც ნიავე თუ სიო ყოველთვის იყო. ეზოში, წელზევით გაშიშვლებული ახალგაზრდები (მოზრდილები) ნარდს თამაშობდნენ და სხვა. ერთი სიტყვით, ქუჩას, როცა ალმური ასდიოდა და ქუჩაში მხოლოდ საჭიროებისათვის თუ გამოვიდოდა ადამიანი, თბილისის ეზოში სიცოცხლე ღულდა, ხმაურობდა, ბავშვების ჟივილ-ხივილი იდგა ხოლმე.

ძველი თბილისის ეზო თავისი ეთნიკურ-ეროვნული შემადგენლობით მრავალგვარი, მრავალსახოვანი იყო. ეზოში ქართველების გარდა ცხოვრობდნენ სომხები, აისორები, ბერძნები, ქურთები, რუსები, თათრები-მაჰმადიანები, ებრაელები, ოსები და სხვა. გარდა ამისა თბილისის ეზო სოციალური შემადგენლობითაც მრავალმხრივი იყო – ყასბები, ხარაზები, დერციკი-მკერავები, შოფრები, მეეტლეები, ბაყლები, ღურგლები, ოქრომჭედლები, მღებავები, ინტელიგენტი, ასევე მრუდე ყოფაქცევის კაციც და ქალიც...

ეზო ერთი დიდი ოჯახი იყო, თავისი საერთო სარდაფით, ეზოში მდგარი საერთო საპირფარეოთი (აბხანით) და ასევე ეზოში მდგარი საერ-

თო ონკანით. ამ საერთო ონკანზე ირეცხებოდა მავანი და მავანი ოჯახში მოტანილი ხილი, მწვანილი თუ სხვა სანოვაგე თუ ხორაგი. ისე, რომ ყველამ იცოდა თუ ვის ოჯახში იმ დღეს რა სადილი მზადდებოდა, ვინ რა კერძს შეექცეოდა. ეზოში ირეცხებოდა და იქვე გაბმულ თოკზე იფინებოდა სარეცხი. ზაფხულობით ამზეურებდნენ თოკებზე და აივანის მოაჯირზე ჭრელ-ჭრელ გადაკიდებულ საბნებსა და ლეიბებს. პენტავდნენ მატყლს, იკერებოდა და ალიანდაგებდნენ ახალ საბნებს, ხოლო ისეთი მძიმე სამუშაოს შესრულება, როგორც იყო დიდი ნოხების, ხალიჩების და ფარდაგების გარეცხვა, სრულდებოდა მეზობელი ქალების ერთობლივი დახმარებით. ონკანის ქვეშ შედგმულ ხის ტახტზე დააფენდნენ გასარეცხ ფარდას, ერთი საპონს უსვამდა, სხვა კი ჯაგრისს, ანდა ცოცხს და ასე რეცხავდნენ.

ეზოში პატარა დაბალ ხის სკამზე ჩამომსხდარი ხანშიშესული ქალები თითისტარს ატრიალებდნენ და რთავდნენ მატყლის ძაფს (წინასწარ თადარიგს იჭერდნენ მომავალი ზამთრისათვის) და თან საუბრობდნენ, რომლის დროსაც ერთმანეთში ურევდნენ მართალსა და ჭორს... (ზოგის გამოკლებით).

ძველი თბილისის ეზოებში გათხრილი თუ ამოთხრილი იყო ჭა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მთელი ეზოსთვის, საერთო მაცივრის როლს

ასრულებდა; ზაფხულის ცხელ დღეებში, ეზოს ნებისმიერ მცხოვრებს შეეძლო ჭაში თოკობბული ვედროთი ჩაეშვა – საზამთრო, ნესვი, სხვადასხვა სახის ხილი, მწვანილეულობა და კვარტიან ბოთლებში ანდა ხელადით კახური ღვინო...

საოცარი ის იყო, რომ მეზობელს არა მარტო ერთ ეზოში მაცხოვრებელს ეძახდნენ, არამედ ერთ ქუჩელებს და მეზობელ ქუჩელებსაც. ქუჩის დასაწყისში მცხოვრები ქუჩის ბოლოში გარდაცვალებულის ჭირისუფალთან სამდიმრის სათქმელად მიდიოდა, როგორც მეზობელთან, ეს ჩვეულებრივი რამ იყო, ძველი თბილისის ერთი ქუჩის მეზობლები ერთმანეთის ჭირისა და ღვინის მოზიარენი იყვნენ.

ყველა ეზოს თავისი ტრადიცია ჰქონდა, თითოეული ეზო თავის ყაიდაზე ცხოვრობდა და როცა ამა თუ იმ ეზოში ახალი მდგომარი გადმოვიდოდა, მას ისე უნდა ეცხოვრა, როგორც მიღებული იყო ამ ეზოს ტრადიციით, წესით. ერთი სიტყვით, მას მეზობლობა უნდა სცოდნოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას იძულებულს გახდებოდა, რომ იმ ეზოდან წასულიყო, გადასულიყო სხვაგან.

აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ყველა ეზოში იდგა რომელიმე ხილის ხე – ვაშლის, ბროწეულის, უნაბის, თუთის, მსხლის და ა.შ. და საერთოდ ძველ თბილისში არ გვევლლება ისეთი ეზო, სადაც არ მდგარიყო გამორჩეულად თუთის ხე. და მათზე მოწეული ნაყოფი ყველასი იყო, თანაბრად შეექცეოდა ყველა, ღიდი თუ პატარა.

ახლა რაც შეეხება ბავშვებს. ერთ ეზოში გაზრდილები, ერთმანეთისათვის იყვნენ არა მარტო როგორც ამხანაგები, არამედ ნათესავებიც კი. ერთი ეზოს ბიჭი თანაეზოელის ქომაგი იყო, ხოლო ეს ეზოები ერთიანდებოდნენ ერთი ქუჩის სახით და ერთი ქუჩელი თავის ქუჩელს სხვა ქუჩის ბიჭს არ დააჩვენებდა. როგორც ეზოს, ასევე ქუჩასაც ჰყავდა თავისი „ყორი“ თუ „ყორები“ (დამრტყმელი ბიჭები), რომელთა იმედითაც, რომელთა ზურგითაც თამამად დადიოდნენ ქუჩაში თუ უბანში.

ქუჩას ჰქონდა თავისი დაუწერელი კანონები, წესები, მათი დამრღვევი ისჯებოდა. იქ, სადაც უფროსები იდგნენ და მასლაათობდნენ მათთან მისვლა უმცროსებს არ შეეძლოთ, მათი (უფროსების) ნებართვის გარეშე, თუ ვინმე გაბედავდა და აღნიშნულ „ტაბუს“ დაარღვევდა განაღებულნი ჰქონდა ერთი ლაზათიანი სილაქი. ასევე, მოსაუბრეთა შუა გავლა დიდ უზრდელობად ითვლებოდა.

უფრო დიდ საქმედ მიაჩნდათ უბნის სახელის დაცვა. ყველა ცდილობდა თავისი უბანი სხვა უბნებს აუგად არ მოეხსენებინა. უბანს თავისი თავკაცები ჰყავდა, რომლებმაც იცოდნენ უბნის წესი და ადათი. სხვა უბანში, რომ გაივლიდი ყველამ იცოდა, რომ შენ იმ უბნელი არ იყავი. მიდიოდი და თან მოგსდევდა ქუჩაში მდგარი, გაჩერებული თუ ფანჯარაში მუთაქაზე დაყრდნობილი უბნელის ცნობისმოყვარე მზერა. ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ შენს ვინაობაში, მისვლის

მიზეზსა და სხვა. ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი ათეული წლის წინ, თბილისის ძველ უბანში, შეგეძლოთ ასეთი სურათის მოწმე გამხდარიყავით: არცთუ იშვიათად თბილისის ცხელი ზაფხულის დღეებში სიცხისაგან შეწუხებული მავანი მოქალაქე თბილისის უცხო ეზოს ჭიშკარს მოკრძალებით შეაღებდა და ეზოში წყლის დასალევად ონკანისაკენ წავიდოდა. მაგრამ, ეზოში მყოფნი მას ამის ნებას არ აძლევდნენ. მოქალაქის ეზოში შესვლის მიზეზის მოსმენის შემდეგ, ერთი მათგანი ოთახიდან ლამბაქზე დადებული ფინჯანით ეზოში შესულ სტუმარს ონკანიდან ჩამოშვებულ ცივ წყალს მიართმევდა, თანაც დააყოლებდა „თქვენ, ჩვენი ეზოს სტუმარი ბრძანდებით!“ აი, კიდევ, ერთი იმ მრავალ ტრადიციათაგანი, რომელიც არსებობდა ძველი თბილისის უბანში.

მოსალამოვდებოდა, და ყველა ქუჩელს თავთავიანთი თავშესაყარი ადგილი ჰქონდა, რომელიმე სახლის სადარბაზოს შესასვლელის წინ არსებული საფეხური, ასრულებდა გრძელი სკამის როლს (ზოგს, თავისთვის დაბალი ხის სკამი მოჰქონდა) და იწყებოდა ქუჩის ბიჭების (მეზობლების) თათარიახნა-სახელდახელო იმპროვიზირებული პურ-მარილი. ჯერ თავშესაყარი ადგილი საგულდაგულოდ ირწყვებოდა, ონკანზე წამოცმული გრძელი რეზინის მილის (შლანგის) საშუალებით. მაგიდის როლს ასრულებდა მოასფალტებული ტროტუარი, რომელზეც აწყობდნენ, ალაგებდნენ ყველაფერს ვისაც კი რისი მოტანა შეე-

ძლო ოჯახიდან – ზოგს კიტრი, პამიდორი, აჯაფსანდალი (სადილს გადარჩენილი), ზოგს პური, ყველი, ზოგს კი ღვინო, ლუდი, არაყი. იწყებოდა იმპროვიზირებული ქეიფი... გამკვლევამომვლელს აუცილებლად შეაჩერებდნენ და შესთავაზებდნენ ჭიქას სასმელით, ისიც იტყოდა, რაიმე სადღეგრძელოს – ძირითადად პურის მჭამელებს ადღეგრძელებდნენ ხოლმე, და აუცილებლად თუ კი მას შეეძლო, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ფსონში შემოჰქონდა „გარკვეული თანხა“, რითაც მინახენი იძენდნენ სასმელს და ა.შ.

ეზო და ქუჩა ბავშვებისათვის ერთგვარი სარბიელი იყო, სადაც თამაშობდნენ: წრე-ლახტს, ჩიკლა-ჯოხს, აჭკალურს (კენწლაობას), გრძელ ვირს, მრგვალ ვირს, კოჭს (იყო შემთხვევები, რომ ყომარსაც)... ეზო ეზოს ეჯიბრებოდა, ქუჩა ქუჩას, შემდეგ კი უბანი უბანს.

ძველ თბილისში იყო ტრადიციული ეზოების ჭიშკრები და სახლის სადარბაზოები, რომლის წინაც დიდიდან შუალამედე, განსაკუთრებით ზაფხულობით, ისხდნენ ხოლმე ჯგუფ-ჯგუფად, ახალგაზრდებიც და ძველგაზრდებიც-ხანშიშესულნი. ყველა ჯგუფს თავისი სალაპარაკო თემა და პრობლემა ჰქონდა, ყვებოდნენ თავის ამბავს, ასრულებულ თუ შეუსრულებულ ოცნებებზე, გამარჯვებულ თუ დამარცხებულ აუნდენელ სიყვარულზე, დარღზე თუ ნაფიქრალზე. საჯაროდ, დაუფარავად თავის გულში ნადებ ხვამიადს

ანდობდა (გარკვეულ, დასაშვებ ფარგლებში) იქ მსხდომთ. იქვე ხდებოდა მავანი და მავანი მეზობლის ოჯახის აშენების თუ დაქცევის „განაჩენის“ გამოტანა და ა.შ.

ძველი თბილისის ეზო ძირითადად ორ-სამ სართულიანი იყო. ეზოს შიგნიდან გარშემოვლებული ჰქონდა გახსნილი ხის რიკულებიანი საერთო აივანი, რომელიც მეზობელთა საკრებულოს წარმოადგენდა (ქვედა, პირველ

სართულზე მცხოვრებნი ეზოში იკრიბებოდნენ) ზემოთა სართულებიანი კი ყველა თავის სართულზე, აქ იმართებოდა ნარდის თამაში, სჯა-ბაასი და ა.შ.

ეზოს მხრიდან ხშირად სართული სართულს ხვეული კიბით უკავშირდებოდა, სადაც ბავშვები დახტუნავდნენ და რკინის კიბის ხმაურს უერთდებოდა ეზოში მოჭრიაბულე ბავშვთა ყიჟინა და გნიასი.

**ლეგენდარული
გურამ რჩეულიშვილი**

1960 წლის 23 აგვისტოს, გაგრის სანაპიროზე, არნახულად აზვირთებულ ზღვაში სხვების სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლის დროს ტრაგიკულად დაიღუპა დიდი ქართველი მწერალი, ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, მწერლობაში ახალი გზების მესაძიებელი და გამკვლავი ლეგენდარული გურამ რჩეულიშვილი. მაშინ იგი მხოლოდ 26 წლის იყო, ახლა კი უკვე 75 წელს გადასცილდა.

ნახევარი საუკუნე გავიდა იმ ავადსახსენებელი უძიმესი დღის შემდეგ, მისი ხსოვნა კი ცოცხლობს და მარადიულად იცოცხლებს. საშინელებით შემადრწუნებელ შორეულ დღეებსა და გურამ რჩეულიშვილის დაუდგრომლად მჩქეფარე ცხოვრებას გულისტკივილით ვიხსენებთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

დიდი სიცოცხლის ბოლო დღეები

2010 წლის აგვისტოს თვეში, უფრო ზუსტად 23 აგვისტოს, 50 წელი სრულდება 26 წლის მარადიულ ჭაბუკად დარჩენილი დიდი ქართველი მწერლის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ლეგენდად და თაობების წინამძღოლად ქცეული გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკულად დაღუპვიდან.

განგებისაგან განკუთვნილი 26 წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი მეტისმეტად ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო ათწლეულში, ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილმა ისეთი მჩქეფარე, დაუდგრომელი, სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრა, ისეთი შინაგანად შეუბოჭველი თავისუფლებით იარა ამ ცოდვილ ქვეყანაზე, რაც ათასში ერთს კი არა, მილიონში ერთსაც თუ ხვდება წილად და ესეც დიდი ამბავია. იგი ყოველდღიურად მთელი წლის სამყო-



ფი ძიებით, მიგნებითა და თავისუფლების შეუბოჭავი სულით ცხოვრობდა, მისი ყოველი დღე თავგადასავლებით, ფათერაკებით, წერით, შრომით, ქეიფებით, სიყვარულით, მეგობრობით, ერთ-

გულეებით იყო სავსე. მეგობრების ძალიან ფართო წრეში მიმდინარე ამ პროცესს ძალდაუტანებლად წარმართავდა და ხელმძღვანელობდა 16-17 წლის ასაკიდან უკვე სრულიად ბუნებრივად ლიდერად ქცეული მომავალი დიდი მწერალი.

ორმოცდაათი წელი გავიდა მისი დაკარგვის დღიდან. განვლილმა საკმაოდ დიდმა დრომ თანდათან მეტად და მკვეთრად წარმოაჩინა გურამ რჩეულიშვილის მაღალნიჭიერება, სახალხოდ და საჯაროდ გამოიკვეთა უზარმაზარი მოვლენის ტოლფასი მწერლის ნათელი სახე, უკვდავი სახე მწერლისა, ვინც გაუსწრო საკუთარ დროს, საკუთარ საუკუნეს და მომავლის განუჭვრეტელი საუკუნეების მარადიულ სივრცეებში გაიჭრა.

დიდ მწერლობასთან ერთად გურამ რჩეულიშვილი ღირსეულზე-ღირსეული პიროვნება და სამაგალითოდ ერთგული მეგობარი იყო, ახლობლების მცველად და მფარველად მოვლენილი მართლა მზეჭაბუკი ახალგაზრდა კაცი, ვინც ჩვენს რუტინულ ცხოვრებას ხმაურით, სილალით, შინაარსით, ულაღატობით, სიმამაცით ავსებდა. მისი დაკარგვის შემდეგ განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა ერთი დღეც კი გურამის გაუსხენებლად, მისი უკვდავობის სადღეგრძელოს აუწვევლად. უფლის მიერ დაწესებული უმძიმესი ზღვარის მიუხედავად იგი ყოველთვის ჩვენთან იყო, ისევ გვრაზმავდა და გვაერთიანებდა, ვაჟკაცობასა და შეუდრეკლობას გვასწავლიდა. ამ ცოტა ხნის წინ გურამის



შემოქმედების უდიდეს მოამბეს, საყვარელ უმცროს დას მარინე რჩეულიშვილ-ფალავანდიშვილისას ვუთხარი და ისიც სიცილით დამეთანხმა, რომ განვლილი ორმოცდაათი წლის მანძილზე გურამმა წამითაც არ მოგვასვენა, მოღუენების საშუალება არ მოგვცა, ეს ვრცელი პერიოდი ყელთამდე იყო გავსებული არა მარტო მწუხარე ფიქრით, არამედ მასზე წერილების წერით, მოხსენებებისა და რომანების შექმნით, გურამის უმდიდრესი არქივის დამუშავებით, ძიებით, მიგნებით, გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების დაფუძნებით, წიგნების გამოცემით, კინოფილმებისა თუ სპექტაკლების დადგმით, ნახატებითა და სულში ჩამწვდომი მუსიკით, გურამის ნაწარმოებების ექვსტომეულის გამოცემით, თანაც ორჯერ გამოცემით, დაბადების დღეებისა თუ მნიშვნელოვანი თარიღების სისტემატური აღნიშვნებით. საუბრის მერე დავასკვნით, რომ ასეთია დიდი მწერ-

ლისა და ასეთივე დიდი პიროვნების ამქვეყნიური დროებითი ცხოვრებაც და მარადიული სულიერი არსებობაც.

ამჟამადაც ამ გაბზული მწუხარების დღეებში, როცა ერთგვარი შეჯამების დროს კიდევ უფრო მწარედ ვგრძნობ რა ვეებერთელა განძი დავკარგეთ ჩვენ და მთელმა საქართველომ, მომინდა მკითხველთა ფართო წრისთვის კიდევ ერთხელ გამეხსენებინა ის ბოლო დღეები, ან უკანასკნელი საათები, რამაც ჩვენ გურამ რჩეულიშვილს დაგვაცვია.

გურამი სიკვდილამდე ზუსტად 20 დღით ადრე ვნახე. 1960 წლის 3 აგვისტოს. ცხელი ზაფხულის იმ დარდით გასასხენებელ დღეს ვერ ვივიწყებ და ხსოვნა მუდამ თან დამყვება. სწორედ სამ აგვისტოს მივდიოდი მოსკოვს ჩემს ახალგაზრდულ პრობლემებთან დაკავშირებით. თბილისი-მოსკოვის მატარებელი მაშინ დღისით, რამდენადაც მახსოვს, ოთხის ნახევარზე გადიოდა. ორი საათით ადრე ჩემს გასაცვილებლად მოვიდნენ გურამ რჩეულიშვილი, აგი აბაშიძე და გურამ რუსიშვილი, ორი საათით ადრე იმიტომ, რომ მაშინ ჩვენთვის მანქანა არ არსებობდა და ტრამვაით უნდა მივსულიყავით სადგურამდე, გამცილებელთა მცირე რაოდენობაც იმით იყო გამოწვეული, რომ 3 აგვისტო იდგა, ქალაქიდან იყვნენ გასულები, თორემ გამცილებელთა რიცხვი ხშირად 20-30-ს აღწევდა. ზოგჯერ დამაბულობასა და ფორიაქის დროს გურამ რჩეულიშვილმა ხუმრობა იცოდა ხოლმე, ზოგჯერ მწარე და ნერვების ამშლელ-

იც კი, თუმცა ყურადღების მაინც სხვა მიმართულებით გადამტანი. ახლაც გადამკოცნა და შეკავებული ღიმილით მკითხა – სად არის მიცვალებულიო. ამაზე მე უცებ გავცხარდი, სულ ასე იცი, თუ კაცს დაკავებულს და აფორიაქებულს დაინახავ ცეცხლზე ნავთს დაასხამ, ზოგჯერ ისე იქცევი ნაგიჟარი მგონიხარ – მეთქი. მერე წესისამებრ ყველაფერი დაგვავიწყდა, ბევრი ვიცინეთ და ვიმზიარულეთ, გაცხარებაც უკვალოდ გაქრა. ტრამვაით მივედი სადგურამდე, ჯერ ღეზერტირების ბაზარში შევიარეთ, მოსკოვისათვის აუცილებლად საჭირო ღვინო და არაყი ვიყიდეთ. მაშინ ბაზარში სასმელების კუთხე კი არა, მთელი მწკრივები იყო გამოყოფილი, არჩევის დროს ღვინოც და არაყიც საკმაოდ გულუხვად გაგვასინჯეს, ისე რომ უკვე კარგად გამზიარულელები ავედით სადგურში. ბარგი დავალაგეთ კუბეში, ვაგონის წინ ვიდექით და ხალისიანად ვსაუბრობდით. მატარებლის გასვლა გამოაცხადეს. მეგობრები გადავკოცნე და კიბის თავზე გადმომდგარი დიდხანს ვუქნევდი მათ ხელს. გურამ რჩეულიშვილი იდგა საოცრად მოხდენილი, შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელები ეცვა, შავი შარვალი და თეთრი პერანგი, სახეზე ღიმილი და სიკეთე ეწერა, იდგა და ორივე ხელს მიქნევდა, ფართო ბეჭებს რიტმულად ამოძრავებდა. ასეთი ვაჟკაცურად ლამაზი, წარმოსადეგი და იმედით სავსე დარჩა იგი სამუდამოდ ჩემს მეხსიერებში, დარჩა და არც არასოდეს ამოშლილა.



თელავი, „ნადივარი“, 1952 წელი, სექტემბერი.
დგანან მარჯანიძე, გურამ რჩეულიშვილი, დევი
ბერიძე, გურამ სიხარულიძე, ნიკო ლეონიძე,
რუსუდან ერუკიძე, თამაზ პოკონია, ზურაბ ბახტაძე,
სულან მარჯანიძე, მარცხნივ: ნათია ამირჯანიძე,
ელზა რატინი, თამაზ ტოგონიძე, ნოდარ მენაბდე,
წინა პლანზე წამოწოლილია ნუგზარ წერეთელი

მოსკოვში მიღებული წერილით გავიგე, რომ გურამ რჩეულიშვილი თანაკურსელთან და მეგობართან, კოლორიტულ ძირძველ თბილისელ თემო ბერიძესთან ერთად ჩემი გამგზავრებიდან რამდენიმე დღის მერე გაგრაში წასულა დასასვენებლად, თან როგორც ყოველთვის, სამუშაოდ.

21 აგვისტოს მოვდიოდი თბილისისკენ. მატარებელი გაგრის სადგურში გაჩერდა. ჩამოვედი გრძელ ბაქანზე და მთელი 20 წუთი წინ და უკან დავდიოდი იმედით, რომ ან გურამი ან ვინმე ნაცნობი დამენახა. არავინ ჩანდა. მატარებელში ვფიქრობდი, გადაწყვეტილი მქონდა გაგრაში დავრჩენილიყავი, გურამი მენახა, მაგრამ ბარგი და პირველ რიგში უფულობა მიშლიდა ხელს, იმდენი ფულიც არ მქონდა ქალაქში მანქანით ან თუნდაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით გავსულიყავი. ამიტომ გადავწყვიტე, თბილისში ორი დღის მანძილზე ცოტა თანხა მესესხებინა, ან მამაჩემისთვის

მეთხოვა ჩემი საწყალი მცირე ხელფასის ნაწილი და ათიოდე დღით გაგრაში წავსულიყავი.

როდესაც იმ ტრაგიკულ დღეებს ვიხსენებ ყოველთვის მიჭირს ხოლმე, შინაგანი მღელვარება თავისთავად მეუფლება, ამიტომ მინდა ნაწყვეტი მოვიტანო ჩემი და გურამის უახლოესი მეგობრის ბორია ინასარიძის ცხოვრებისადმი მიძღვნილი კვლავ და კვლავ გულსაკლავი წიგნიდან „სიკვილამდე დარჩენილი ერთი ნაბიჯი“. ეს პატარა წიგნი 1994 წელს დაიწერა, 16 წლის წინათ და მეჩვენება ხოლმე წლების წინ დაწერილი სტრიქონები უფრო მეტად რეალურ სახეს ინარჩუნებენ, ვიდრე წლების შემდეგ შექმნილი ნაწარმოებები თუ ცალკეული წერილები. საკმაოდ ვრცელი ნაწყვეტი მომაქვს ისევე, როგორც თავის დროზე იყო გამოქვეყნებული, მართალია, ჩემი დაწერილია, მაგრამ ახალი ტექსტისაგან რომ გაირჩეს, მაინც წინწკლებში ვსვამ:

„1960 წლის აგვისტოში უდიდესი უბედურება დაგვატყდა თავს.

ივლისის ბოლოს კვლავ მოსკოვში ვიყავი წასული და 21 აგვისტოს საღამოთი დავბრუნდი თბილისს. ვიცოდი, რომ გურამ რჩეულიშვილი გაგრაში იყო. მთელი გზა მაწუხებდა იდეა, ჩამოვსულიყავი მატარებლიდან და გაგრაში დავრჩენილიყავი. მაგრამ ბარგი მქონდა, სახლში მშობლები მელოდნენ და ამან გადამაფიქრებინა. თან გადავწყვიტე რამდენიმე დღის მერე ჩავალ მეთქი. გურამს ძალიან უყვარდა სექტემბრის თვის დასაწყისში ზღვაზე

დარჩენა, როცა ხალხი შედარებით ნაკლებად იყო. მეც ამის იმედი მქონდა, რომ ჩასვლას მოვასწრებდი.

23 აგვისტოს გვიანობამდე არ დამეძინა. ვაკეში მდგარი ჩვენი ძველი სახლის შუშაბანდში ვიწექი. ყველა შინ იყო დედაც, მამაც, ჯონდოც, გობრონიც.

ალბათ, ღამის ორი საათი იქნებოდა კარზე რომ დააკაკუნეს. წამოვხტი, ედიშერ რჩეულიშვილი იდგა გაფითრებული, საოცრად მოტეხილი, ძლივს ამოთქვა ორი სიტყვა: „გურამი დაიხრჩო“.

ახლაც მალეღვებს და მაკანკალებს იმ წუთების შეგრძნება, იმ ელდის, იმ ქვითინის გახსენება. სწრაფად ჩავიცვი და წამოვედი. დამწუხრებულები დავეშვით კამოს ქუჩისკენ, ბორიას სანახავად. ბორია მიტკალივით გაფითრდა, ცრემლები მოადგა და ხმა ჩაუვარდა.

სწრაფად უნდა წავსულიყავით გაგრაში. რა არ ვცადეთ. გურამის ერთ ამხანაგს მანქანა ჰყავდა. მივადექით, მაგრამ რაღაც მოიმიზეზა და უარი თქვა. შუალამით მოთარეშე მანქანებიც გავაჩერეთ, რას აღარ შევპირდით მძღოლებს, მაგრამ ასეთი შორი მანძილის გაგონებაზე ყველა უარს ამბობდა.

ისევ აეროპორტისაკენ წავედით. ედი დარჩა, რომ ძია მიშას და მახლობლებს გამოჰყოლოდა. ბორია და მე საზაფხულო პერანგებით, ყველაფრის გარეშე მივედით აეროპორტში, კიდევ ორიოდ საათი ვიცადეთ და დილის 6 საათზე პატარა ოცდაორად-

გილიანი თვითმფრინავით გავეფრინდით ადლერში.

მოღრუბლული დილა იყო. თვითმფრინავი საკმაოდ გვანჯღრევდა. როდესაც ადლერს მივუახლოვდით და თვითმფრინავმა ზღვაზე დაიწყო დაშვება, რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდა. თვითმფრინავმა უცებ დაკარგა სიმაღლე და ისე დაქანდა ზღვისაკენ, რომ სული ყელში მოგვებჯინა. ახლოს დავინახე ატალახებული, მღვრიე ზღვა, ამ დროს ვარდნა შეჩერდა, თვითმფრინავი ჯერ მარცხნივ გადაქანდა, მერე მარჯვნივ და გასწორდა. ისეთი ძლიერი მოძრაობა იყო, რომ მეც და სხვებიც ვინც განაპირას ვისხედით, ტანით და ხელებით იატაკზე აღმოვჩნდით. მერე თვითმფრინავმა ისევ აიღო სიმაღლე, 10-15 წუთიც იფრინა და დაეშვა ადლერის აეროპორტში.

ნახევარი საათის შემდეგ გაგრაში ვიყავით. წარმოუდგენელი ღელვა და თავსხმა იყო. ჩელიუსკინელების სანატორიუმში მივედით, სადაც გურამის ბიძაშვილი ლალი რჩეულიშვილი იმ დროს ექიმად მუშაობდა. იქ დაწვრილებით გავიგეთ რა უბედურება დატრიალდა. წინა დღეს ოთხის ნახევრიდან ოთხ საათამდე ორი რუსისა და ერთი ქართველის გადარჩენის დროს გურამი აზვირთებულ ზღვაში დაიღუპა. ბევრის მომსწრეთათვისაც კი არნახული ღელვა 8-9 ბალს აღწევდა, ზღვის მიერ გატაცებული გურამის პოვნა ვერსად ვერ მოხერხდა.

დავრჩით მარტოდ-მარტო ბორია და მე უსასრულო დელგმაში, დამწუხრე-

ბულები, სულიერად განადგურებულები.

დიდხანს ვიდექით იმ ადგილას, სადაც გათამაშდა ტრაგედია. ეს იქვე იყო ჩელიუსკინელების სახელობის სანატორიუმთან, ვერტმფრენის დასაშვები მოედნის წინ, პლაჟისკენ ჩამავალ კიბესთან. გაიგეს რომ უკვე ჩავედით, მოდიოდნენ, დეტალურად აგვიწერდნენ როგორ მოხდა ეს უბედურება, იზიარებდნენ ჩვენს მწუხარებას.

გადაულებელი წვიმის, არნახული ღელვის, სიცივისა და შიმშილის მიუხედავად წინ და უკან ფეხით გავიარეთ გრძელი მანძილი დაღუპვის ადგილიდან ჟოეკვარას იქეთა ყურემდე. ჩვენს დაუდგრომელ გურამს უკვე გამყვინვარებულ ზღვაში ვეძებდით. თან შორეული იმედიც დაგვევებოდა: გურამი როგორ დაიხრჩობოდა, როცა ბრწყინვალედ ცურავდა, იქნებ სადმეა წასული, იქნებ გამოჩნდეს, იქნებ შეეშალათ და სულ სხვა იყო.

ლამით ლალი რჩეულიშვილმა დასაძინებლად სანატორიუმის ერთ დიდ ოთახში მოგვაწყო. სანატორიუმში ასეთ საერთო ოთახებს იზოლატორებს უწოდებდნენ. ოთახს წინ ეკრა ფართო ვერანდა, რომელიც ზღვას გვერდიდან გადასცქეროდა. მარტონი ვიყავით გულდათუთქულები ბორია და მე იმხელა ოთახში.

არაფრით არ დაგვეძინა, ჯერ ვლაპარაკობდით, მერე ავდექით, სიცივის გამო საწოლის პლედეები მოვიხურეთ და შუალამემდე ვერანდაზე ვიდექით.

სანახაობა იყო საშიში, უსაშინლესი, მაგრამ მაინც მიმზიდველი. ზღვის

ნაწილს აქ სანატორიუმის სინათლე და პროექტორი აშუქებდა. უზარმაზარი ტალღები ზათქითა და გრიალით მოისწრაფოდნენ ნაპირისკენ, ერთმანეთზე ქაფისფრად აგორებული ტალღები სანაპირო კედელს ენარცხებოდნენ და შიშნით გადმოდიოდნენ სავალ ნაწილზე.

ყურისწამლები ხმაური იდგა, ყვირილით თუ ვეტყოდით რამეს ერთმანეთს. ტკივილიანი ფიქრები გვაგვებდა: სად იყო ახლა ჩვენი გურამი, სად იყო ამ საოცარი წარღვნის მიერ შთანთქმული.

გამთენიისას თითქმის უძინრები ავდექით მე და ბორია, წავედით გაგრის სადგურში ჩამომსვლელების დასახვედრად. კიბეზე ჩამოვიდა თვალცრემლიანი, ჩაფერფლილი და მოტეხილი ძია მიშა, გურამის ბიძები, ნათესავები, მეგობრები.



1953 წლის 14 ოქტომბერი,
ყაზბევი, მეტეოსადგური,
წინა პლანზე გურამ რჩეულიშვილი და
ნუგზარ წერეთელი, მეორე რიგში: ნოდარ
ღვალა, ზურაბ ბახტაძე, ვივი აბაშიძე, ავი აბაშიძე

ოთხი დღე ვეძებთ გურამი, დავდიოდით დარდიანები, წვერმოშვებულები, მშვიდები, უპატრონოებს ვგავდით. 27 აგვისტოს ზღვაში ვიყავით გასულები კატარლით. ზღვა ჯერ კიდევ დელავდა. ჩვენს პატარა კატარლას მართლა ბურთივით ათამაშებდა. ამ დროს დაბრუნების ნიშანი მოგვცეს, გურამი ეპონათ.

პირველსავე მანქანაში შევევარდით ბორია, შალიკო რჩეულიშვილი და მე. ავედით ფერდობის ზემოთ მდებარე საავადმყოფოში. აქ სასარდაფო სართულის პატარა ოთახში საბოლოოდ ვნახეთ ჩვენი მეგობარი. იწვა წელსზემოთ შიშველი, ქამრით მაგრად შემოჭერილი რუხი შარვალი და განუყრელი ბათინკები ზღვას ვერ გაეხადა, ვაჟკაცური მარჯვენა მკლავი კი მოეტეხა და ისე დაემორჩილებინა. ტირილი მახრჩობდა, ბორიას და შალიკოს მიცვალებულზე უარესი ფერი ვედოთ, ცრემლებით ჰქონდათ სავსე თვალები.

მეორე დღით ბიჭები საბარგო მანქანით წამოვედით. აქეთ-იქით გადმოსაწევ სკამებზე ვისხედით. ჩვენს შორის ყინულებსა და ფორმალინის ხსნარში იწვა ჩვენი უპირველესი მეგობარი, ჩვენი წინამძღოლი, ქართული მწერლობის მშვენება და ლეგენდად ქცეული პიროვნება.

წავიდა გურამი და დაგვიტოვა სამუდამო ტკივილი. ამ დღის შემდეგ ბორია ინასარიძე იყო გურამის უპირველესი ჭირისუფალი, მისი დიდი ოჯახის უერთგულესი ადამიანი, მისი მშობლების, შვილის, დის მოსიყვარულე და პატივისმცემელი, მეგობრის სახე-

ლის გამმფრთხილებელი და მოძვლელი.

ბოლო წლების თავისი ფიქრების რვეულში ბორია ინასარიძის ჩაუწერია: „გურამ რჩეულიშვილი ჩემი საყვარელი ადამიანია. როდესაც ვიგონებ ყოველთვის ასე მგონია, რომ ის სიბერეს ვერ აიტანდა“.

ამის შესახებ თვითონ გურამიც ხშირად ამბობდა ბორიასთანაც, გურამთანაც, ნოდართანაც, ერლომთანაც, ჩემთანაც. წერდა კიდევ „მე არ დაბერდებიო“ და არც დაბერდა. სამოცი წლის დიდი მწერალიც ისევ იმ შლეგურად ბრძენ ოცდაექვსი წლის ჭაბუკად დარჩა“.

აღნიშნული წიგნის აქ მოტანილ მონაკვეთში გურამის დალუპვის შემადრწუნებელი ფაქტს აღარ შევხებივარ, ახლა კი მცირე შესწორებით მიიღა ის უმძიმესი დღეც მოკლედ გავიხსენო.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ჩემს წიგნებში თითქმის ყველგან არის აღნიშნული, რომ გაგრის მაღალ ჯებირებთან ზღვისკენ ჩამავალი კიბის მეცამეტე საფეხურზე მდგარი გურამი აბობოქრებულმა ზღვამ გაიტაცა. გაგრაში ჩასულ მე და ბორია ინასარიძეს ამის შესახებ არეულ-დარეულად და იმთავითვე განსხვავებული ვერსიით გვიყვებოდნენ გურამის დალუპვის ადგილას პლაჟზე შეკრებილი ადამიანები. საქმე კი სულ სხვაგვარად ყოფილა. გურამის ტრაგიკული აღსასრულიდან ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ სუფრაზე შევხვდი გაგრიდან ლტოლვილ



1954 წლის ოქტომბერი, ხევსურეთის ჭაუხტებში, მცხნოდან: ნუგზარ წერეთელი, მურმე, გურამ გვიგამიძე, გურამ სიხარულიძე, დევი ბურჭინაძე, თაზო ჭვალაძე, გურამ რჩეულიშვილი

შორიდან ნაცნობ ბიჭებს, მგონი 1993 წელს. ესენი იყვნენ სიჭინავა, გოგობია, გეგეჭკორი, ზუხბაია, სამწუხაროდ სახელები აღარ მახსოვს. მათ მითხრეს, რომ ჩემი წიგნი „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ წაკითხული ჰქონდათ და გურამის დაღუპვის ვერსია არ მიაჩნდათ სწორად.

„იმ მომენტში ჩვენ სულ ახლო ვიდექით, გურამს ახლოს ვიცნობდით გავრიდან, ის საოცრად მღელვარე ტალღებში შესასვლელად ემზადებოდა, ჩვენ ვთხოვდით არ გინდა, ძალიან საშიში ღელვაა, მაშველს დაუცადე და ერთად მაინც შედით – თქო. მაშველმა ცოტა რომ დაიგვიანა, თქვა არა ესენი ვერ გაუძლებენ, თუ არ მივენმარე დაიღუპებიანო. მუქი რუხი ფერის ჯიბეებიანი ხალათი პლაჟზე მიაგდო და მოსალოდნელი დიდი საფრთხის მიუხედავად გაბედული და გამოცდილი მოცურავის მსგავსად უზარმაზარ ტალღებს ქვეშ შევარდა, გაჰყვა და ნაპირიდან საკმაოდ შორს ამოყვინთა, ღელვა იმ ადგილებში უფრო პატარა იყო, ვიდრე ნაპირთან. გურამი მიცურდა ბიჭებთან

და ხან ერთს ეხმარებოდა წყლის ზედაპირზე გაჩერებულიყო, ხან მეორეს. ცოტა ხანში მაშველიც მოვიდა, ჩვენთვის ნაცნობი გაგრელი ბიჭი იყო, გვარად არ შბა. დავინახეთ ის პირველად გურამთან მიცურდა, გურამს ხმამაღლა დაეყვირა და ხელითაც ენიშნებინა იმათ მიხედვე მე არა მიშავსო. ორივე ეხმარებოდნენ არაქართველ ბიჭებს. რამდენიმე ხანში საათზე მეტი ხნის წინ გამოძახებული ვერტმფრენიც მოვიდა, პილოტმა წრე დაარტყა, განწირულების თავებს ზემოთ ჰაერში გაჩერდა, მალე კარიც გაიღო და ძველი გაშავებული თოკიც ჩამოუშვეს. გურამს არავითარი სიჩქარე ან შიში არ გამოუმჟღავნებია, ყველა მიუშვა თოკთან, მაშველიც კი, რომელიც ერთ-ერთ ძალღონეგამოცლილ რუსს ასვლაში და კაბინაში შეღწევაში ეხმარებოდა, გურამიც ყველას ეშველებოდა, ძლიერი ქარისაგან აქეთ-იქით გაქანებულ კიბეს იჭერდა, მილასლასებულ ბიჭებს ხელით ეხმარებოდა. როცა ყველა ავიდა, გურამიც მოეჭიდა კიბეს და ასვლა დაიწყო, მას უკვე არავინ ეხმარებოდა. ერთი საფეხური აიარა, მეორე და როცა მესამე საფეხურზე დაიწყო ასვლა, ძველისძველი, დაძინძილი კიბეც ჩაწყდა და გურამი აზვირთებულ ზღვაში ჩავარდა. ნაპირზე წივილ-კივილმა და ღრიანცელმა იმატა, ვერტმფრენს ამ ღელვამაში მეტი გაჩერება აღარ შეეძლო, გაფრინდა, რომ კიბე როგორმე შეეცვალა და დაბრუნებულიყო, მაგრამ ბედისწერა უკვე ტალღებზე იდგა. გურამი იბრძოდა, ნაპირისაკენ მოდიოდა, მოისწრაფოდა, ვეებერთელა ტალ-

და კი უკან აბრუნებდა, მერე მეზღვაურის ზოლიანი მაისური ხელებზე გადაეკრა, კიდევ გაიბრძოლა, ერთხელ ახედა დაბლა დაწეულ ცას და ტალახისფერ ტალღებში გაუჩინარდა. აქამდის, - დაამატეს გაგრელებმა, - თითქოს სასწაული მოხდა, გურამმა ძალების უკიდურესი დაძაბვით გამოარღვია ტალღები და ნაპირზე გამოვიდა ჯებირთან, ამოსასვლელი კიბე სულ ახლოს იყო, 8-10 მეტრის დაცილებით. ჩქარა, ჩქარა ყვიროდა ხალხი, „სეკუნდა“, დაუძახია გურამს, ანუ ერთი წამი დამაცადეთო, ზოგი ყვიროდა თოკი ჩავუგდოთო, ზოგი უყვიროდა ხელები ამოსწიეთო. ხელები რომ აღემართა დასწვდებოდნენ და როგორმე ამოსწევდნენ, მან კი ასეთი დახმარება არ იკადრა, თითქოს სიკვდილს ეთამაშებოდა, თვალებში უყურებდა და არც უფრთხოდა. წამიერი შესვენების შემდეგ გურამი მოტრიალდა და კიბისკენ უნდა წამოსულიყო, ამ დროს კვლავ უზარმაზარი ტალღა დაენარცხა ჯებირს და გურამი ზღვაში გაიტაცა, კარგა ხანს იყო ზღვაში, დაღლილ ბიჭებს გულიანად ეხმარებოდა, გამოცურვაზე უკვე არცერთი აღარ ფიქრობდა. ცოტა ხანში ვერტმფრენი მოვიდა და დიდი გამოუსწორებელი უბედურება მოხდა“.

გურამის შემოქმედების მოამაგე, გამოჩენილი ქართველი მწერალი გიორგი შატბერაშვილი პოემაში „ზაფხულის ღამის ქრონიკები“ გურამ რჩეულიშვილის უკანასკნელი წუთების შესახებ წერდა: „და იგი ისე დაიღუპა არ თქვა მიშველეთ, არ თქვა მიშველეთ, ასეთია ბედი ამაყთა“. ეს პო-



გურამ რჩეულიშვილი.
ერთ-ერთი ბოლო ფოტოსურათი,
გადაღებულია 1960 წლის 4 ივლისს,
ტრაგიკულ აღსასრულამდე თვენახევრით ადრე

ეტმა დამსწრეთა მონათხრობისა და საკუთარი განცდების სულის ქურაში გადახარშვის შემდეგ დაწერა.

მე ვწერდი ადრე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ჩემ წერილში, რომელსაც ველარ მივაგენი და ამიტომაც ვისარგებლე ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნებული ჟურნალისტ ირმა ხარშილაძის წერილით „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“. (№12, 2010 წლის 25-31 მარტი):

„ხშირად ვფიქრობ ხოლმე და დარწმუნებული ვარ, გურამ რჩეულიშვილს აუცილებლად შეეძლო ზღვის გააფთრებულ ტალღებისაგან თავის დაღწევა, მაგრამ იგი აქაც სიკვდილს

დასცინოდა, შეუცნობელს ეთამაშებოდა და კვლავაც ბეწვის ხიდზე გავლას ცდილობდა, უნდა დარწმუნებულიყო რას დააკლებდა სიკვდილი...“.

სამწუხაროდ ასე ვფიქრობ ახლაც, ან გაცილებით უფრო მეტს ვფიქრობ თუ როგორ და რატომ მოხდა ის შემზარავი ტრაგედია 1960 წლის 23 აგვისტოს დღის სამი საათიდან ოთხ საათამდე. იმასაც ვფიქრობ გურამ რჩეულიშვილს დიდი გალაკტიონ ტაბიძის მსგავსად სიკვდილისა არ ეშინოდა, ეს მისთვის უკვდავებისკენ მიმავალი „ვარდისფერი“ გზა იყო, იგი ამ გზის გავლას ყოველთვის ელოდებოდა.

„პალიტრა მედიას“ მიერ „ქართული პროზის საგანძურის“ ციკლში გამოცემული გურამ გეგეშიძის შესანიშნავი ძველი რომანის (სათაურით „სტუმარი“) ფურცლებზე მწერალი იგონებს გურამ რჩეულიშვილის ზუსტი პროტოტიპის ვაჟას საუბარს, რაც განსაკუთრებული სიმწვავით მომხვდა გულში ამ პატარა წერილის წერისას: „ - მე სულ ზუთიოდე წლის სიცოცხლე დამრჩენია, - მეუბნებოდა ვაჟა, - ოცდაათს რომ მივალწევ, ან მოგკვდები, ან თავს მოვიკლავ, ან გავლოთდები. ვგრძნობ, ამის იქით არც ენერგია მეყოფა და არც სასიცოცხლო ძალა, ამიტომ მანამდე უნდა

მოვასწრო ყველაფრის გაკეთება, ამ დროში მთლიანად უნდა ამოვწურო საკუთარი თავი, რომ ჩემი სახელი სამუდამოდ დარჩეს. მერე ძალა აღარ მეყოფა, ან რალაც მომივა. ამას აშკარად ვგრძნობ...“.

გურამ რჩეულიშვილი გრძნობდა ალსასრულის მოახლოებას, არც გაურბოდა, პირიქით ეტოქებოდა, არ უშინდებოდა, რადგან კარგად იცოდა თავისი უმაღლესი დანიშნულების ფასი. დღეს მსგავსი ციტატების კითხვა საშინლად მზარავს და გაგრის იმ საოცრად გულისმომკვლელ დღეებთან მახრუნებს, როცა გურამი იმქვეყნიური სამყაროს ბინადარი გახდა, როცა სამწუხაროდ გაცხადდა მისი წინასწარმეტყველება.

იმ დღიდან, 1960 წლის 23 აგვისტოს დღის 4 საათიდან გურამ რჩეულიშვილი ქართულ მწერლობაში სამარადისოდ დარჩა დიდ მწერლად, დიდ კლასიკოსად და მარად დაუვიწყარ ლეგენდად, დარჩა როგორც ახალი გზის გამკვალავი, ეროვნული სიამაყე და ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდის გამამდიდრებელი, დარჩა, როგორც 26 წლის უკვდავი მზეჭაბუკი, ვისაც დავიწყების ბურუსი ვერასდროს დაფარავს, სანამ მისი საფიცარი საქართველო იარსებებს. საქართველო კი მარადიულია.

ნუგზარ წერეთელი
2010 წელი.

25 წლის წინანდელი მოთხრობა

1980, 1984 წლებში გამოქვეყნდა გურამ რჩულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ჩემი წიგნის პირველი – მეორე გამოცემა, შესაბამისად ათი და ოცი ათასიანი ტირაჟით. საქართველოს მრავალი ქალაქიდან, რაიონიდან, სოფლიდან მივიღე ხუთასზე მეტი წერილი, აგრეთვე მოთხრობები, ლექსები, მინიატურები. უკვე საკმაოდ ხანდაზმული მასალებიდან დიდი ქართველი მწერლი გურამ რჩულიშვილის ტრაგიკული დაღუპვიდან გასულ 50 წლისთავეზე ვაქვეყნებთ მაშინდელი ერთ-ერთი ახალგაზრდა ავტორის, კასპელი ირმა ბეგლარიშვილის ლირიკულ ნოველას „გურამი“. კიდევ ვიმეორებთ: ეს ნოველა 1984 წელს არის დაწერილი 17-18 წლის გოგონას მიერ.

სარედაქციო კოლეგია

გურამი

„დედა, ნუ ჩამოხვალ ზღვაზე,
 ზღვა ძალიან ღელავს,
 შენ სუსტი ხარ, დედა,
 ზღვა დაგახრჩობს შენ,
 მე თოლია ვარ,
 ქარს და ტალღებს ვეთამაშები“

გ. რჩულიშვილი

I თავი

მოსაწყენი დღე იყო გავრამში; მოღრუბლული ცა შავად იმზირებოდა დედამიწისკენ, ზღვას მზე და სითბო უყვარს, წვიმა კი მართლაც მოსაბეზრებელი იყო დამსვენებელთათვის. სანატორიუმის სარკმლიდან გურამი ჩაფიქრებული გაჰყურებდა ჰორიზონტს; დროდადრო კი ფიქრებიდან ზღვის საშინელ ბრდღვინვას გამოჰყავდა. „რა ცუდი ამინდია“ - გაიფიქრა და ისევ ოთახისაკენ შემო-

ბრუნდა. მზერა კარგად ნაცნობ საგნებზე გადაიტანა. დაჟინებული ჩაჰყურებდა, თითქოს რაიმე სიახლეს ეძებო, მერე საწერ მაგიდას გადახედა, სადაც ქაღალდები უწესრიგოდ ეყარა, ზოგი დაჭმუჭნული ფურცელი ძირს, იატაკზე ეგდო, გურამს სახის გამომეტყველება წუთითაც არ შესცვლია, პირიქით, თვალის კი გაუმტერდა უწესრიგოდ მიყრილ ქაღალდებზე... აჩქარებით გაიარ-გამოიარა ოთახში და ისევ სარკმელთან შედგა. სულს ეხმაურებოდა ეს ბორგვა... მინარცხებული

ტალღები რაღაც უცნაურ ბგერებს გამოსცემდნენ და ამ საიდუმლოებაში ჩახედვაც კი მოუნდა; დარწმუნებული იყო, რომ ზღვა მას ებუტბუტებოდა რაღაცას.

ალაგ-ალაგ გაშავებული ცა ნელ-ნელა მუქდებოდა, მოწყენილ დღეს ღამის ბინდი სცვლიდა. გურამმა ისიც კი გაიფიქრა, მალე დაღამდაო. გასამხიარულებლად ფიქრები თბილისში დარჩენილ მეგობრებზე გადაიტანა: ნუგზარი, მისი მეგობარი ხომ მოსკოვში წავიდა და თვითონ გააცილა, მერე კი აქეთ გამოუწია გულმა. ზღვაზე უფრო კარგად მუშაობდა, ვიდრე სხვაგან. ზღვა მისი შთაგონების წყარო გამხდარიყო. „ალბათ ჩამოვიდა ნუგზარი მოსკოვიდან!“ გაიფიქრა და სიცხადით იგრძნო, რომ მეგობრები ძალზე ენატრებოდა. ნუგზარის სახე ედიშერის სახეზე შეცვალა...

ისე შეუმჩნეველად ჩამობნეულა სარკმელთან, რომ ვერც შეამჩნია. სასადილოში ჩასვლა დაეზარა და საწოლზე მიწვა. ხელები თავქვეშ ამოიღა და მკაცრი მზერა ოდნავ მოუღება. წამით გაირინდა. ზღვის ღრიალში და ტალღების მსხვერველაში შეუძლებელი იყო რაიმეს გაგება, მაგრამ, როცა ტალღა უკან გაბრუნდა და ოდნავ შესამჩნევი სიწყინარე დამკვიდრდა, სმენა ოდნავ დაძაბა, მას ნაცნობი მუსიკის ხმაც შემოესმა. სახე სიკეთით სავსე ღიმილმა გაუპო, იმდენად ესიამოვნა მუსიკის ხმა. შოპენის მუსიკას ისე შთამბეჭდავად, ჯადოსნურად უკრავდა ვიღაც ზემოთ, რომ დაიძაბა... ყური მიუგდო, სუნთქვაც კი

შეეკრა, რომ უფრო მკვეთრად ეგრძნო მუსიკის გავლენა.

სასიამოვნო მუსიკა არ წყდებოდა. გურამმა თვალები მინაბა და მთლად მოექცა მისი გავლენის ქვეშ... ცხადად გრძნობდა, თუ როგორ დახტოდა კლავიშებზე ქალის, თეთრი, ბროლივით ღამაში თითები და მსმენელს ჯადოსნურ სამოსში ახვევდა...

საწოლიდან საოცარი სისწრაფით წამოდგა, საწერ მაგიდას მიუახლოვდა, მოძებნა კალამი და აჩქარებით დაიწყო წერა. დაწყებულ მოთხრობას რამდენიმე გვერდი მიუმატა. ვერაფერს ვეღარ გრძნობდა, აღარც ზღვის ხმაური უნისლავდა გონებას და აღარც მისი ბრდღვინვა. ცარიელ ფურცელს უცბად ავსებდა და გავსებულს ახლით სცვლიდა. მუსიკის ხმა გამოძახილს გურამის სულში პოულობდა და ეს უფრო აძლიერებდა წერის სურვილს. გურამი ზღვაში გასულ მეზღვაურზე წერდა, რომელსაც ტალღების რისხვა ვერ აშინებდა და პირიქით, თვითონ უტევდა გამძვინვარებულ სტიქიას... მეზღვაურის ძლიერება თითქოს მის სხეულში გადმოვიდა და თვითონ უტევდა სტიქიას, თვითონ ემოსა ლურჯზოლიანი მაისური, რომელიც ზღვის ქაფს მისთვის ტანზე შემოეტკიცა. აგზნებული სახე ნელ-ნელა დაუმშვიდდა. მუსიკის ხმა ნელ-ნელა მისუსტდა და მერე შეწყდა კიდევ. დაწერილი სტრიქონები ერთი თვალის შევლებით გადაიკითხა და მაინც დაუკმაყოფილებელი სევდა იგრძნო, მაგრამ წერა აღარ გაუგრძელებია. მაგიდა ისევ ისე დატოვა... საწოლზე მიწვა და ისევ

ფიქრებს მისცა თავი, ისევ ზღვას მიუგლო ყური. საზარელი ხმა ჰქონდა ტალღებს, როცა ჯებირებს მთელი სიძლიერით ენარცხებოდნენ, შემდეგ კი ქშენითა და ღრენით უბრუნდებოდნენ ჯოჯოხეთურად, შავად მოშირალ ზღვას, რომელიც ბევრ უბედურებას უშხადებდა ადამიანებს თავისი სიმშაგითა და მრისხანებით.

წვიმის წვეთები მინაზე უცნაურად, რიტმულად წკაპუნობდნენ. ცა წვიმით სავსე მასას ჰგავდა, რომელიც შავად იმზირებოდა და ეს ჩამუქებული სიშავე უფრო საზარს ხდიდა მის გამომეტყველებას.

ლექსს იშვიათად წერდა, მაგრამ ისე ძლიერ მოზღვაავდა მასში წერის სურვილი, რომ რამდენიმე წუთში ლექსიც დაწერა, რომელიც დედის სიყვარულს უძღვნა და სთხოვდა ნუ ჩამოდიოდა ზღვაზე, რადგან ზღვა ლელავდა და სუსტს დაახრჩობდა, თვითონ კი თოლია იყო და მხოლოდ ართობდა, ეთამაშებოდა ტალღებსა და მძვინვარე ქარს.

საწოლზე პირქვე გადაბრუნდა და ისევ გაირინდა. გვერდით მდებარე საწოლიც ცარიელი იყო. არ ჩანდა გურამის ბიძაშვილი, რომელიც სანატორიუმში ექიმად მუშაობდა და მარტობა რაღაც მტკივნეულად შეუერთდა მას. ძილი თანდათანობით ახვევდა ბურანში. ქუთუთოები ისე დაუძძიმდა, რომ ეგონა თვალებზე კაცის სიძძიმე ტვირთი ედო. ნელ-ნელა ითრევა ძილი გურამს და ამ უკანასკნელსაც არ უცდია თავის დაღწევა მისგან, მაგრამ ძილიც მოუსვენარი ჰქონდა ჭაბუკს. ოთახში

სიცარიელე უხილავად შემოპარულიყო, ვერ გრძნობდა, თითქოს სხეულში კოცონი ენთო ისე ბორგავდა ძილში. თხელი, საზაფხულო საბანი ამოზნექილ, ძლიერ მკერდზე ჩამოსცურებოდა და ღამის სიბნელეში მისი ძლიერი გულ-მკერდი მოჩანდა. სუნთქვაც მკერდით ძლიერი ჰქონდა ჭაბუკს, მაგრამ დროდადრო სუნთქვასაც ეტყობოდა, რომ ვერ იყო მშვიდად გურამი...

1960 წლის 23 აგვისტო გათენდა, თითქოს ჩვეულებრივი დღე, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა აგვისტოს სხვა დღეებიდან, მთელი კვირის განმავლობაში გადაულებლად რომ წვიმდა და წვიმდა... ეს დღეც ასეთი იყო. თითქოს ცას პირი მოეხსნაო, ისე წვიმდა. საშინელი, მოშავო ფერი გადაჰკრავდა ირგვლივ მყოფ საგნებს, რომელიც წვიმას გაეშავებინა. ქუჩაში ისმოდა ლელვისაგან გამოწვეული ხმაური. დამსვენებლებს უკმაყოფილო სახეები ჰქონდათ. ქუჩაში კანტიკუნტად თუ გაივლიდნენ; აჩქარებული ნაბიჯით დადიოდნენ ადამიანები.

წინაღლით სავსე ქუჩები ახლა უკაცრიელს დამსგავსებოდა, ჩელიუსკინელების სახელობის სანატორიუმშიც უკაცრიელს ჰგავდა. დამსვენებელთა ნაწილი ცისფერ ეკრანს მისჩერებოდა, ნაწილი ოთახებში არტყამდა ბოლთას, ნაწილი კი გულის გასაგრილებლად რესტორანში იმყოფებოდა.

მოლუშული ცა პირს არ ხსნიდა, თითქოს გულმოსულიაო, ბრდღვინავდა და ბრდღვინავდა... ცივად სცრიდა, წვიმა კი გადალებას არც აპირებდა...

გურამი სანატორიუმის ფანჯრიდან გაჰყურებდა ზღვას და ყურს უგდებდა მრისხანე მუქარას. ჰორიზონტიც შავად მოჩანდა და კაცს უნებურად ზღვა უდაბნოდ მოეჩვენებოდა, რომ არ ემოძრავა ისე საშინლად. ზღვა კი შეტევაზე გადმოსულს ჰგავდა, რომელიც უზარმაზარ ტალღებს ერეკებოდა. ეს დაუცხრომელი დღეღვა რაღაცით ჰგავდა გურამის სულს, ამას თვითონაც გრძნობდა გურამი და სიამოვნებდა ხმაური, თუმცა მისთვის უკეთესი იყო მცხუნვარე მზეში გადაწოლილიყო ზღვის ბეჭებზე და ასე გაჩერებულს უფრო კარგად ეგრძნო წყლის სიკეთე... მაგრამ აბორგებული, პირზე ქაფმორეული ზღვაც რაღაცით იზიდავდა, ეს გაბოროტებული, შეუბრალებელი სტიქია თითქოს გურამს იწვევდა და დამარცხებას უწინასწარმეტყველებდა. იქნებ მისი ადრინდელი სიმშვიდე მოჩვენება იყო?! როცა მის ამოხნევილ, სარკესავით მოლივლივე ზედაპირზე თოლიები ეთამაშებოდნენ და ყველაფერი ლამაზად მოჩანდა.

მზერა სარკმელზე მოწყაპუნე წვიმის წვეთებზე გადაიტანა. წვეთები თითქოს თამაშით, სიცილით იმსხვრეოდნენ, სწორ, ლამაზ კვალს სტოვებდნენ მინაზე... „კაცმა უნდა მთელი სულით იცოცხლო... ან რა არის მუდმივობა, - სისულელე, ყველა ადამიანი მუდმივად ცხოვრობს: ყოველ შემთხვევაში მისი მარადიულობა ის წლებია, რომელსაც გაატარებს ამ ქვეყანაზე. კაცმა, რომ თქვას, არცა კვდება კაცი, იბადება სხვა, რომელიც ოდნავ განსხ-

ვავდება გარდაცვალებისაგან...“ – ეს სიტყვები ისე ცხადად გაივლო გულში, რომ უცნაური, სხვებისთვის ამოუცნობი ღიმილი გაუკრთა სახეზე. ყოველი გმირი მისი მოთხრობისა მხოლოდ გურამის შემდეგ იბადებოდა, მისი გმირები ისევე რეალური და ხელშესახები გამხდარიყვნენ, როგორც გურამი, და ამის წარმოდგენამ ლამაზი, ალალი ღიმილით გაუნათა სახე.

გურამს სიცოცხლე ძალიან უყვარდა. ბუნებასავით ლაღსა და ამაყს ბუნება სათაყვანებელ ტანტად გადაექცია, ახლაც, სარკმელთან მდგომი, ჩაფიქრებული, ღიმილით გაჰყურებდა პალმებს, რომელთაც ქარი ტოტებს ისე უნიავებდა თითქოს ტანსაცმელს ძალით ხდისო. დაორთქლილ მინაზე უცნაური ფორმა გამოიყვანა და მზერა ისევე ზღვამ წარსტაცა.

ზღვა ბავშვობიდან უყვარდა. ზღვა და მთა, აი რა იყო მისი იდეალი, თითქოს საკუთარი შვილებიაო, ვერც ერთის სიყვარულს ვერ გამოჰყოფდა ცალკე... მთა თავის ძლიერებით, ამაყი სახით იზიდავდა, ყოველთვის რაღაც ამოუცნობ საიდუმლოს მალავდა... ეს საიდუმლო სწყუროდა გურამს... უყვარდა, როცა სიკვდილთან ახლოს იყო და სჯაბნიდა მას. მთა – მაღალი, ამაყი და წმინდა, სპეტაკი თოვლივით.

გაანსენდა მეგობრები, რომლებიც ძლივს დაიყოლია ექსპედიციაში წაყვანაზე, თოვლის ქულებით შებურული მყინვარწვერი და მაინც დაუვიწყარი, ბედნიერი დღეები იქ გაატარებული. ნეტავ რას აკეთებენ ახლა ნუგზარი

და გურამ გვეგემიძე, ან ნოდარ ზედელაშვილი სად არის?

ზღვაც მთასავით უყვარდა. მისი გმირებიც მუდამ ან ზღვასთან ბრძოლაში კვდებოდნენ, ან მთასთან ჭიდილში, ეს ორი სტიქია იყო, რომელსაც გურამი ყველაზე დიდ უპირატესობას ანიჭებდა, უფრო მეტს მუშაობდა ზღვაზე, ვიდრე ისვენებდა. მას უყვარდა წერა, როცა შორს, სიზმარივით მოისმოდა ტალღების ჩუმი ამაფორიაქებელი ხმა...

სიკვდილზე ხშირად ფიქრობდა. უცნაურად გრძნობდა ყოველთვის, რომ სიკვდილს უახლოვდებოდა, თითქოს ხანდახან მის სუნთქვასაც გრძნობდა, მაგრამ იმდენად ოპტიმისტი იყო, რომ პირიქით, სიკვდილთან მიახლოება სიცოცხლისა და შექმნის, ახლის შექმნის წყურვილს უფრო უძლიერებდა. საოცრად სწამდა, რომ ყოველი ადამიანი მეორედ იბადებოდა წლების, ანდა საუკუნეების შემდეგ.

ლამით დაწერილი ლექსი გადაიკითხა და ზღვისადმი ლტოლვა უფრო სიცხადით გამოიკვეთა მასში. დედა მოენატრა. ბავშურად მოუნდა მისი თბილი ხელებით მოფერება, ალერსი... უმცროსი დაც მოენატრა, მამაც, ახლა მათი ნახვა ყველაფერს უჯობდა.

უცბად იგრძნო, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავდა საყვარელ დედას, ვერ შეხედავდა მის ჭკვიანურ თვალებს და შეაჟრჟოლა, მაგრამ ეს წამით იყო მხოლოდ, ყოველი წუთი მისთვის სანუკვარი იყო, წუთებში ჰქმნიდა ადამიანის უკვლავებას და ცდილობდა რაც

შეიძლება ბევრი ემუშავა, ყოველი წუთი მარადისობად გადაექცია.

მთაწმინდა მოენატრა. დღევანდელ დღეს უფრო მძლავრად იგრძნო ახლობლების და საყვარელი ადამიანების მონატრება, ეს მონატრება აუხდენელ სიზმარს ემსგავსებოდა თავისი მრავალფეროვნებით.

მთაწმინდა მოენატრა. დღევანდელ დღეს უფრო მძლავრად იგრძნო ახლობლების და საყვარელი ადამიანების მონატრება, ეს მონატრება აუხდენელ სიზმარს ემსგავსებოდა თავისი მრავალფეროვნებით.

ქუჩები ცარიელი იყო, მაგრამ გურამს საოცრად მოუნდა გავლა და ზღვის ნაპირზე სეირნობა. წვიმამ ვერ შეაშინა. კიბეზე აჩქარებით დაემგა. ბიძაშვილი მოინახულა და უთხრა, რომ ცოტას გაივლიდა და მალე დაბრუნდებოდა. მარტო სიარული უყვარდა გურამს, უფრო მეტს ფიქრობდა, თითქოს მარტო სიარულში ახალ-ახალ თვისებებსაც აჩენდა თავის არსებაში.

გარეთ გასულს წვიმის წვეთები სახეზე ცივად დაეცა. ხალათის საყელო აიწია და მხრები ოდნავ მოწურა. არავითარი აღელვება და აჩქარება არ ეტყობოდა. საათი პირველს აჩვენებდა. გულში მეგობრებისაკენ საოცარ ლტოლვას გრძნობდა, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ასე ძალიან თითქოს არავინ არასოდეს არ მონატრებია. მარტობას მტკივნეულად განიცდიდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მარტოს ესეირნა საყვარელი ქალაქის ქუჩებში...

წვიმის ცივი წვეთები სახეზე რიტმულად ემსხვრეოდა და სიამოვნებ-

და წვეთებთან თამაში. პატარ-პატარა გუბურებში წვეთი ლამაზი ხმაურით ვარდებოდა და ისიც გუბურას უერთდებოდა... ზღვა მოშორებით იყო, მაგრამ ნგრევის, ბრღვევის ხმა მაინც აღწევდა გურამის სმენამდე. შეაჟრჟოლა, ეხლა უფრო ძალიან მოენატრა მზე და წყნარი ზღვა, მოლივლივე და ჯეჯილივით სასიამოვნო, როცა მზის სხივებს მოთმინებით ირეკლავდა ზედაპირზე. ეს უგემური, არასასიამოვნო დღეები კი გადაეჯაჭვა ერთმანეთს... ახსოვს რამდენ ხანს დასეირნობდა ქუჩაში მარტო. აჩქარებით მოსიარულე დამსვენებლები გაკვირვებულ მზერას აყოლებდნენ, ქალიშვილები კი კეკლუცად, ეშმაკურად გაუღიშებდნენ და ისინიც აჩქარებით ეფარებოდნენ თვალს.

მხოლოდ გურამს არ ეჩქარებოდა. მიაბიჯებდა წვიმით მორწყულ ქუჩებში და ფიქრობდა, ისევ სიკვდილზე ფიქრობდა...

მას იმდენჯერ ჰქონდა სიკვდილი გადატანილი რამდენჯერაც დაიღუპა მისი გმირი და მოახლოებული სიკვდილი კი არ აშინებდა, უბრალოდ ართობდა მხოლოდ. გაგრის ლამაზი მთები მძიმე ჯანდით იყო დაფარული, თითქოს მხრებზე უშველებელი ტვირთი აწევსო, ოდნავ მოხრილიც ეჩვენებოდა კაცს.

წვიმის წვეთები მის თმებში მარგალიტებივით ბრწყინავდნენ. ხუჭუჭ თმებში მძივებივით ჩასწვნიდა წვეთები. რამდენიმე წვეთი კი ქუთუთობზეც დაჰკიდებოდა ცრემლივით...

პალმასაც თითქოს აეკეცა მაროსავით გაშლილი ფოთლები და მოწყენილი გამოიყურებოდა. სადგურისაკენ მიმავალ გზას გაუყვა გურამი, იმედით, იქნებ ვინმე ნაცნობი ენახა და მარტოობის მწვავე შეგრძნება დროებით მაინც ჩაეხშო. სადგურის შენობის კედლები მეტი წვიმისაგან გამავებულიყო და მისი შეხედვა არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ახლომისულმა ნაცნობებიც შენიშნა. ლენინგრაღელი და თბილისელი ბიჭები იყვნენ. გურამს ესიამოვნა მათთან შეხვედრა. ერთმანეთი თბილად მოიკითხეს. აღმოჩნდა, რომ ისინიც მარტოობას შეეწუხებინა და სასეირნოდ გამოსულიყვნენ გარეთ. მართალია გურამს გულთბილი მეგობრობა არ აკავშირებდა მათთან, მაგრამ ამ შეხვედრამ მაინც გაახარა ჭაბუკი. ყველამ ერთხმად წამოაყენა აზრი, რომ სადმე, წყნარ ადგილას შესულიყვნენ და პირი გაესველებინათ. წინააღმდეგი არავინ აღმოჩენილა. გურამთან ერთად შეიძინი იყვნენ. ლენინგრაღელებს ერთი გოგონა ახლდათ. შორს არსად უცდიათ წასვლა. იქვე, სადგურთან მდებარე პავილიონში შევიდნენ. ზღვისფრად შეღებილ პავილიონში სისუფთავე და სიწყნარე სუფევდა.

ორი პატარა მაგიდა გააერთიანეს და სახელდახელოდ გაწყობილ სუფრას შემოუსხდნენ. გურამი ხუმრობდა, მოსწრებულ სიტყვასაც ამბობდა, მაგრამ თითქოს უცხონი იყვნენ მაინც ეს ადამიანები მისი სამყაროსათვის. თავისი ძმაკაცები მაინც სხვანი იყვნენ... მათთან მოხვედრილს თავიც ავიწყლე-

ბოდა, ეს იყო ნამდვილი მეგობრობა, ცხოველმყოფელი და ლამაზი. ნუგზარის ლექსები მონატრა გურამს... მასთან ბაასი და ხუმრობა, გულშიც კი გაივლო: რა იქნება ისინი ახლა აქ ყოფილიყვნენ: ნუგზარი, ედიშერი, ბორია. მაგრამ ღრმა ფიქრებიდან შამპანურის ბათქმა გამოაფხიზლა. თეთრი ქაფის წინწყვილები ხალათზე დაღვროდა და ღიმილით მოიცილა.

შეავსეს ჭიქები. გაზის ბუშტუკები თლილ ჭიქებს კედლებზე მიეკრო და ჭიქა აიხორკლა.

გურამმა თავის ვაჟკაცურ ხელებში მოიქცია პატარა, მუცელ გაბერილი ჭიქა და თვალი გაუშტერა მოძრავ გაზის ბუშტუკებს. ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, ოდნავ, შესამჩნევად დააქნია და მოსვა...

დანამული თმები ნელ-ნელა შეაშრა, სახეზე ოდნავ წამოგზნებაც შეეტყო და ამან უფრო დაამშვენა. ქალიშვილი დროდადრო სათნო ღიმილით შეჰყურებდა გურამს და ამ უკანასკნელს სიამოვნებდა ქალის ყურადღება.

გურამს არ ესიამოვნა სასმელი, თითქოს სიტკბოს ნაცვლად მწარე გემოც კი იგრძნო პირში. ოხრახუმის პატარა ღერო აიღო და მას დაუწყო წიწკნა...

ბიჭებმა ცუდ ამინდზე ჩამოაგდეს სიტყვა. თბილისელები წასვლასაც კი აპირებდნენ ღამით, უამინდობამ გაგვაწამაო...

მალე წამოიშალნენ. ბიჭები ღიმილით გამოვიდნენ პავილიონიდან. წვიმას გადაელო, მაგრამ ქარის ქროლვას ემძლავრა. მაღალი, მარადმწვანე

ხეები ერთმანეთს ეხლებოდნენ ტოტე-ბით...

ზღვაზე ჩასვლა გადაწყვიტეს. ერთ-ერთმა ლენინგრადელმა ცურვა მოინდომა. სხვების გაკვირვება რომ დაეძლია, ამტკიცებდა: გაცილებით უარეს ლელვაში მიბანავიაო.

გურამმა წყნარად მიმართა ნაცნობს:

– ლელვა რვა ბალამდეა. ახლა ზღვაში შესვლა უაზრობაა და არავითარ ვაჟკაცობას არ წარმოადგენს.

მაგრამ ლენინგრადელი მაინც თავისას არ იშლიდა. სასმელისაგან თვალები წამოგზნებოდა და ცდილობდა იქ მყოფთათვის გმირობის მაგალითი ეჩვენებინა. ოთხმა ბიჭმა – სამმა რუსმა და ერთმა ქართველმა მაინც მოახერხა ზღვაში შესვლა... ბიჭები ღრმად შეცურდნენ წყალში... მთის სიმაღლე, ტალახისფერი ტალღები, რომლებიც მრისხანებით ბრღვინავდნენ, მათ სიცოცხლეს საფრთხით ეშუქებოდა... ნაპირიდან კარგად მოჩანდა მათი შეშინებული სახეები, – როცა აზვირთებული, აქოჩრილი ტალღები თავზე უვლიდნენ, წყალში უჩინარდებოდნენ... მერე კი ისევ ჩანდა მათი სასოწარკვეთული სახე... ისინი უკვე შველას თხოულობდნენ...

ნაპირზე ხალხი შეგროვდა. მოხუცი ქალი მუხლზე ხელის ცემით თავისთვის ჩურჩულებდა:

– ვაი შვილებო, რამ გადაგრიათ, რამ?

– ამ ლელვაში ნორმალური ადამიანი შესვლას როგორ გაბედავდა!...

ორმა ბიჭმა ტანსაცმლის გახდა დაიწყო, რათა ამხანაგები გადაერჩინათ.

ზღვისკენ ზურგშექცევით მდგომი გურამი გაცხარებული ეუბნებოდა:

– თქვენი შესვლით უფრო გაართულებთ საქმეს, მოითმინეთ, საცაა მაშველი მოვა და ჩვენ გამოვიყვანთ, თქვენ მაინც ვერ უშველით...

ამასობაში, რახან მაშველი არ ჩანდა, ჯიბეებიანი უხეში ხალათი გაიძრო და ქვებზე მიაგლო.

უცებ იმ ადგილს უზარმაზარი, სახლისოდენა, აქაფებული, ამღვრეული ტალღა დაესეთქა, გურამი ტალღას გამოცდილი მოცურავესავით ქვეშ შეუვარდა და შორს ზღვაში ამოჰყო თავი.

ქალებმა ყვირილი დაიწყეს. განწირული ხმით კიოდნენ, რომ ეშველათ საფრთხეში ჩავარდნილთათვის.

უკან გაბრუნებულმა ტალღამ გურამი სიღრმეში შეითრია. ჭაბუკი უცებ მოეგო გონს, შიში მისთვის უცხო იყო, ცურვა კარგი იცოდა და ერთ რუსთან ერთად ცურვით გამოსწია ნაპირისაკენ. ის ხედავდა ნაპირზე შეგროვილ ხალხს, დროდადრო მათ სახეს ავარდნილი ტალღა ჰფარავდა.

დიდხანს ებრძოდა გურამი გამპვინვარებულ სტიქიას. რუსი ჭაბუკი ხელით რომ მიჰყავდა, ცურვაში ხელს უშლიდა, მოზღვავებული ტალღები მალ-მალე ქვეშ იქცევდნენ, მაგრამ გურამი სასოწარკვეთას არ მისცემია... უწინ თუ ვამეხი და ვაჟა ამარცხებდნენ სიკვდილს, ახლა გურამის ჯერი დამდგარიყო, თან ადამიანი უნდა გადაერჩინა

დაღლილი ოდნავ გაფითრებული გურამი წვალებით მიცურავდა ნაპირთან, ძლიერმა ტალღებმა ძალა გამოაცალა და მძიმედ სუნთქავდა მეზღვაურის ზოლიანი მაისური ძლიერ სხეულზე გაჰკვროდა... გული ხშირი მოძრაობისაგან ადიოდა და ჩადიოდა... სპორტსმენის დაკუნთული სხეული ზოლიან სველ მაისურში გამოკვეთილად მოჩანდა. გურამი ხედავდა ნაპირზე შეგროვილ ხალხს. ისინი ხელებს უქნევდნენ. სმენა დახშობილი ჰქონდა, მაგრამ მაინც გაიგონა თანავრძობით შეწუხებული ხმები:

- ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

- ამ წუთას, - დაიძახა გურამმა. გამოყვანილ რუს ბიჭთან ერთად გამოიარა სველი, ქვიშიანი სანაპირო და რამდენიმე წამში კიბეზეც შეასწრებდა, მაგრამ უზარმაზარი, მთის ხელა ტალღა ხელმეორედ დაეჯახა ჯებირს და გურამი გადარჩენილ ლენინგრადელ ჭაბუკთან ერთად კვლავ გაიტაცა...

ნაპირზე შეგროვილმა ხალხმა უფრო უმატა ღრიანცელს. ქალების კივილის ხმაც ისმოდა.

გურამი ამაოდ ებრძოდა ტალღებს. თითქოს სიკვდილიც იგრძნო ჭაბუკმა, რომელიც გვერდით, ავანასავით განაბული და ჩასაფრებული უდარაჯებდა. ბრაზი მოერია. უნდოდა, ძალიან უნდოდა დაემარცხებინა იგი მხოლოდ იმისთვის, რომ გამარჯვებულის სიხარული არ ეგრძნო სიკვდილს.

ნაპირზე კი ადამიანთა ჯგუფი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მათი ნაკადი ერთადერთმა აფხაზმა ჭაბუკმა გაარღვია. მაშველს დაკუნთუ-

ლი, მზისგან გარუჯული მკერდი ფოლადივით უბრწყინავდა.

იგი წყალში გადაეშვა, რამდენიმე ტალღაც დაეჯახა ჭაბუკს, მაგრამ ძლიერი მკერდით გაარღვია წინააღმდეგობა და გურამს მიუახლოვდა.

მრისხანე ზღვა ნაპირისაკენ გზავნიდა აბორგებულ ტალღებს და ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდა. მისი მრისხანება წამითაც არ ცხრებოდა.

მიანლოებულ ჭაბუკს გურამმა სვენებ-სვენებით უთხრა:

- „მე არა მიჭირს, მეგობარო, როგორმე გამოვალ, მათ უშველე, თორემ დაიღუპებიან“, და ხელით ოდნავ უბიძგა აფხაზ ჭაბუკს...

უკანასკნელი ღონე მოიკრიბა გურამმა. ძალა ეცლებოდა, მაგრამ ცდილობდა ზღვას ბრძოლაში არ ჩამოვარდნოდა.

გურამი გრძნობდა, რომ რამდენიმე ძლიერი დარტყმით ზღვა ძალას გამოაცლიდა და ვერასოდეს ვეღარ გააღწევდა ნაპირამდე. თვალი მოჰკრა ტალღის ქოჩორზე მოფართხალე ნაცნობს, რომელთაც სწრაფად უახლოვდებოდა გაბედული ჭაბუკი. მას არ შეეძლო ესარგებლა სხვისი დახმარებით, როცა იცოდა, რომ მასზე ძლიერ სხვას უჭირდა, სხვას სჭირდებოდა დახმარება...

ნაპირზე შეგროვილი ხალხი გადარჩენის იმედს უღვიძებდა. მკლავები დაეღალა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ხელები სხეულზე აღარც ება და არც არასდროს ჰქონია. წყალში გაჩერდა. ძალ-ღონის მოკრება მას ახლა უფრო ძლიერ სჭირდებოდა ვიდრე

ოდესმე... წამით თვალი ჩაშავებულ ჰორიზონტს გაუმტერა... გონებაში შავით მოსილ ქალს მიაგვანა და თითქოს წყალში დედის შეძრწუნებული სახე გამოჩნდა გაფართოებული თვალებითა და თეთრი თმებით... ხელგამოწვდილი დედა გადარჩენას ემუდარებოდა გურამს... გურამი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, მაგრამ ამის შეგრძნება მისთვის თითქოს ძაღვის გამოცლა იყო... კიდევ ერთხელ უნდა დაემარცხებინა სიკვდილი ვაჟს მაგივრად... მის წინ უზარმაზარი ტალღა აიფოფრა, გარეული ულაცოვით ყალყზე შედგა და გურამი თავის სიმძიმით ქვეშ მოიქცია. ტალღის ქვეშ მოყოლილს კვლავ ქალების ტირილისა და გნიახის ხმა შემოესმა... გული რაღაც სითბომ გაუთბო... რაღაც ბავშვური გულუბრყვილობით უხაროდა ნაპირზე თავშეყრილი ხალხის თანაგრძნობა. ტალღამ რამდენიმე წამს გადაუარა თავზე და ისევ გამოჩნდა გურამი ტალღებში.

ნაპირთან თავშეყრილი ხალხი ახლა უფრო გამეტებით აყვირდა...

გურამ... გურამ... გურამ... თითქოს ქალის ნაზი, მაგრამ სასოწარკვეთილი ხმა ჩაესმა ჭაბუკს... მოეჩვენა ცის ტატნობზე ლამაზი ქალიშვილის სახე, რომელსაც დიდი, გაშლილი თმები მკერდზე ჩამოშლოდა და ზღვისფერ თვალებში შიში ჩასახლებოდა... ცისფერთვალემა ქალწული მხოლოდ მას უხმობდა მტრედისფერი ხელებით, რომელიც სიშავეში ოქროსფრად ბრწყინავდა... გურამს სახეზე სიმწრის ღმილი გადაეფინა, ეს სწორედ ის ქალ-

იშვილი იყო, რომელსაც ამდენი წელი იმედით ელოდა, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდა და შეხვედრის რწმენა არასოდეს არ დაუკარგავს...

ზმანება გაქრა და მის წინ ისევ ტალღა აიყალფა. გურამს მოეჩვენა, რომ ბოროტებით სავსე ზღვა შეუბრალებლად ხარხარებდა და ხარხარებდა...

მთელი სხეული სტკიოდა. ნაბეგვსა და ნაცემს ჰგავდა, მაგრამ სიცოცხლის მძაფრი შეგრძნება ისე ძლიერ აბორგდა მასში, რომ ჭაბუკმა უკანასკნელად მოიკრიბა ძალა და ნაპირისაკენ გასწია...

გონებაში მისი გმირები საოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ახსენდებოდა მასთან და ზღვასთან შეჭიდებული ჭაბუკები და უხაროდა, რომ ძალიან ბევრჯერ სიკვდილი გააბრიყვა, ვერ მოერია მას.

ახლა თვითონაც რაღაცით ემსგავსებოდა თავის გმირს. ნუთუ ეს წინააღმდეგობა ბორკავდა ოცდაექვსი წლის მანძილზე, ნუთუ ზღვასთან ჭიდილში მოელებოდა ბოლო მის სიცოცხლეს?! – და ეს დღე გახდებოდა მისთვის საბედისწერო?!

არა, არა, უნდა აჯობოს ზღვას. უნდა გასცუროს ნაპირისკენ, რომ ხელახლა განიცადოს სიკვდილთან გამარჯვების სიხარული...

გურამ... გურამ... გურამ...

მართლაც ზმანებას ჰგავდა. ისევ ქალწულის ცრემლიანი თვალები დალანდა გაშავებულ ცაზე... რომელსაც სითეთრე აქა-იქ ლაქებივით შეჰპაროდა...

დაბრუნდი გურამ!...

ისევ ის შემადრწუნებული, ნაზი და ტკბილი ხმა, თითქოს ბედნიერებას ჰპირდებოდა მისი ხავერდოვანი ხმა...

გურამმა სცადა ისევ თავად ეშველა თავისათვის, მაგრამ ნაპირთან მიანლოებული, ზურგიდან დაძვრებულ ტალღას ისევ უკან მიჰყავდა საოცარი სისწრაფით... ჭაბუკი უფსკრულში ჩავარდნილს ჰგავდა, როცა ტალღები მართლა უფსკრულივით ღრმავდებოდნენ და ჭაბუკს ზემოდან წყლის შხეფებს აყრიდნენ. უცნაური ხმა მოესმა. დაღლილი სხეული მას უკვე აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ ღონის დაძახვით მზერა ცისკენ მიმართა. ზღვიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ვერტმფრენი გამოჩნდა. იმედის პატარა შუქმა გაანათა მისი გონება. მფრინავმა სასწრაფოდ შემოავლო წრე და გაჩერდა. ნელ-ნელა ვერტმფრენიდან თოკი ჩამოუშვეს. ქარი გრგვინავდა და თოკის კიბეს აქეთ-იქით ანარცხებდა.

ვერტმფრენიდან ჩამოშვებული კიბე უფსკრულში ჩაშვებულ თოკს ჰგავდა. ზღვა ბრდღვინავდა, ტალღები ნელ-ნელა იწვედნენ მალლა, ცარიელ სივრცეს უცბად საოცარი სისწრაფით ყოფდნენ შუაზე და შემაზრზენ ხმას გამოსცემდნენ. გურამმა თვალი მოჰკრა სახეშეცვლილ ნაცნობებს, რომლებსაც ღონე გამოლევდათ და ბედშეგუებულ ადამიანებს ჰგავდნენ...

„გურამ-გურამ მოკვდება... დედა არ კვდება, დედა არ შეიძლება მოკვდეს, კვდება მხოლოდ შვილი“ ეს პატარა მონაკვეთი მოთხრობისა საოცარი სისწრაფით აღდგა მის გონებაში, თითქოს შვებით ამოისუნთქა, როცა

თავისივე დაწერილ სიტყვების სიწრფელე ცხადად წარმოიდგინა... მხოლოდ სინანულმა გაიელვა მის დაღლილ გონებაში: „ნეტავი თუ ვთქვი ჩემი სათქმელი...“ მცირე დაუმთავრებელი მოთხრობაც გაახსენდა სანატორიუმის პატარა ოთახში ობლად მიტოვებულ... გრძნობდა, რომ სიკვდილთან შეერთება უმტკივნეულოდ ხდებოდა... თითქოს სიამოვნებდა კიდევ ეს გაურკვეველი ბურუსით შობილი ხმაური... უფრო სწორად ვეღარც გრძნობდა ტალღების ხმაურს და ტრამალზე, უკიდევანოდ გაშლილ ტრამალზე წარმოიდგინა თავი... ქუთუთოები დაუძიმდა, უშველებელი ტვირთი აწვა თვალებზე, ვერტმფრენი უზარმაზარ ფრინველს მიაშვავსა. ბიჭები მის გვერდით ფართხალებდნენ და გაშეშებული, ღონე გამოცლილი თითებით თოკის კიბეს ებლაუჭებოდნენ, სახე ტკივილისაგან ჩასთეთქვოდათ და ერთადერთ ხსნის იმედს ნატვრისთვალისაგან მისჩერებოდნენ. გურამმა ოთხივე წინ გაატარა, ხელით აწვებოდა, ეხმარებოდა კიბეზე ასვლაში. როცა პირველი შეიყვანეს ვერტმფრენში გაუნარდა, მესამემ და მეოთხემ კი სიხარულის ფრთები გამოასხა მას, მათ სძლიეს სიკვდილს? – კიდევ ერთხელ გაიმარჯვა გურამმა...

უზარმაზარი ტალღა, რომელიც კაცს მხოლოდ სიდიდით შეადრწუნებდა მშვიდად ემზადებოდა მორიგი შეტევისათვის. თითქოს მოიგროვა ძალაც და ისეთი სიმძლავრით მიენარცხა გურამს, რომ კიბესჩაჭიდებული ჭაბუკი კვლავ ღელვაში მოაქცია, ხალხის-

გნიასმა და შედრწუნებულმა ხმამ უფრო იმძლავრა...

ხალხის ნაკადი მოხუცმა ქალმა გაარღვია. შავი თავსაფარი ძლავრ ქარს მოედრო თავიდან და მოჩანდა სპეტაკად დათოვლილი თეთრი თმები... სახე თმების ფერი ჰქონდა ქალს. თხელ, სიფრიფანა ტუჩებს ოდნავ შესამჩნევად ამოდრავებდა და კაცი მიხვდებოდა, რომ ქალი ლოცულობდა მარჯვენა ხელით პირჯვარს ისახავდა და თვალს შავ ღრუბლებს არ აცილებდა, თითქოს ხსნას იქ ეძებდა.

ბავშვები შეშინებული, გაფართობული თვალებით მისჩერებოდნენ შემაზრზენ ტალღებს, ზოგი ქალი კი თვალებზე ხელაფარებული ტიროდა, თითქოს აღარც სურდათ ეცქირათ ტრაგიკული სურათისათვის...

გურამს თავის გადარჩენის სურვილი არ ამოდრავებდა ისე ძლიერ, როგორც გამარჯვება, უნდოდა ზღვა, ეს უძველესი სტიქია, ერთხელ კიდევ დაემარცხებინა, მხოლოდ ერთხელ... თითქოს ვიღაც უხილავს მისთვის ძალა ჩაედო მეორედ ისე იგრძნო ძალათა მოზღვაება ჭაბუკმა და რამდენიმე მეტრის მანძილზე მოქანავე კიბე, როგორც იქნა დაიჭირა.

სველი, უხეში თოკი ხელებში მოიქცია. სუნთქვა უჭირდა. ერთი საფეხურით ზემოთ აიწია, სიხარული იგრძნო, თუმცა წყალში იყო... მეორე, მესამე... საფეხურებს სთვლიდა გურამი... მეოთხე, მეხუთე... მეექვსე... მოჩვენა, რომ ნელ-ნელა კიბე წყლისაკენ იწევდა, თვალი მორღვეულ, დაფამდე დასულ თოკს ჰგავდა... ხსნის უკანასკნელი

იმედიც ისე სწრაფად გაქრა, როგორც გამოჩნდა. დამპალმა თოკმა ვერ გაუძლო სიმძიმეს. ხალხის შეძრწუნებულმა ხმამ, სიმწრის ღიმილი მოჰგვარა ჭაბუკს, არა, მას არ შეეძლო მშვიდად მომკვდარიყო, ეს მისთვის, მისი ბუნებისთვის უცხო იყო, ისევე როგორც თვითმკვლევლობა... უნდა ებრძოლა უკანასკნელ შესაძლებლობამდე. რადგან სიკვდილიც ბრძოლაში სურდა, სიმშვიდე მისთვის უცხო იყო და არც სიკვდილი სურდა სიმშვიდეში...

ძლიერმა ტალღებმა ზოლიანი მაისური ტანზე შემოატმასნა. წყლით გაჟღენთილი მაისური გურამს ხელებზე გადმოეფარა... მაგრამ ძალა აღარ შესწევდა მის მოსაცილებლად. გრძობდა გურამი, რომ ზღვა ნელ-ნელა ქურღულად იმორჩილებდა. მას კი ძველებური ძლიერებიდან კვალიც არ დარჩენოდა... ფრთებდამტვრეულ არწივს ჰგავდა უკვე...

ზღვის აქორჩილი ტალღა ახლა ხან ზემოთ მოაქცევდა, ხან ქვეშ იყოლიებდა. ხელებს უძწეოდ ამოძრავებდა...

მოეჩვენა, რომ ცის კიდე ბროწეულის ყვავილისფრად შეღებილიყო, თეთრი ღრუბლები კი ცის სამკაულივით მოჩანდა... ამ უცნაურ სილამაზეში ნელ-ნელა ამოცურდა გაღიმებული ცისფერთვალეობა ქერა ქალიშვილი, რომელიც ბროლისფერ, თლილ ხელებს უწვდიდა, ქალიშვილი იმ სიყვარულს ჰპირდებოდა, რომელსაც რაღაც უცნაური მტანჯველური შიშით ელოდებოდა და მოსვლის იმედს არ კარგავდა.

ტალღის ცემისაგან შემუპებული დატანჯული სახე თითქოს ღიმილმა გაუნათა, ხელების აწევაც სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, ხელები მას უკვე ვეღარ ემორჩილებოდნენ. როგორ ძლიერ უნდოდა ფენქვეშ სიცარიელის ნაცვლად სიმყარე ეგრძნო, რათა ღონე მოეკრიფა, ასე კი ცაში გამოკიდულს ჰგავდა... გონებაში წამით ფიქრმა გაუელვა:

- ჩემი წინათგრძნობა არ იყო სიკვდილთან შეყრის შიში, არა, ეს უბრალოდ ინტუიცია იყო, რომელიც აუცილებლად უნდა გამართლებულიყო. მე ვგრძნობდი, რომ ვერასოდეს ვერგავხდებოდი მოხუცი, მე ბრძოლის ველზე უნდა მოემკვდარიყავი და არა თმადათოვლილი სადმე რკინის საწოლში მწოლიარე...

არავითარი ტკივილი აღარ სტანჯავდა უკვე. საოცრად მსუბუქად გრძობდა თავს, თითქოს არც არასდროს ყოფილიყო ასე და მხოლოდ სიზმრად ნანახი სამყარო მეორდებოდა მის თვალწინ...

ღედა... ღედა...

უფრო გონებაში გაივლო სიტყვები, ვიდრე თქვა, რადგან სველი, გაფითრებული ტუჩები მას უკვე აღარ ემორჩილებოდა...

ეს არ ჰგავს საშველად მოხმობილ ხმას. მას არ შეეძლო ეთხოვა შველა. არა, ეს მონატრებას უფრო ჰგავდა, იმ კაცის მონატრებას, რომელმაც კარგად იცის, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავს საყვარელ ადამიანს და სურს დიდხანს დაიმანსოვროს მისი ადამიანის სახე.

ცა ისევ შავად იმზირებოდა... აღარსად ჩანდა ქერათმიანი ქალიშვილი, მხოლოდ სიკვდილს ხედავდა მის წინ მთელი სიმაღლით ამართულს... ტალღა ისე ძლიერ შეასკდა, რომ თითქოს მარჯვენა ხელი მოჰკლიჯესო რკინის იარაღით. კბილები სიმწრისგან ერთმანეთზე დააჭირა, გმინვაც კი არ აღმოხდენია.

უკანასკნელად აღიმართა ტალღა, გაიბერა, მაღლა-მაღლა წავიდა, უკანასკნელი შეტევისათვის მოემზადა და ყალყზე შემდგარმა ზემოდან გადაუარა გურამს... ძლიერი ძალა მას საოცარი სისწრაფით ფსკერიკენ მიაქანებდა... ნელ-ნელა უახლოვდებოდა მარადიულ სამყაროს.

ზღვა ისევ ყალყზე შემდგარი რისხვისაგან ცოფებს ყრიდა. ისევ მოერეკებოდა ნაპირისაკენ უზარმაზარ ტალღებს... ისევ იდგა ხალხი ნაპირზე და უფრო მეტად ვიშვიშებდა... ზეცაც

სალი კლდესავით შეუბრალებელი და შეუვალი გამხდარიყო. არ ჩანდა მხოლოდ გურამი... ბრძოლა დუელს ჰგავდა და გამარჯვებული ზღვა უფრო ქუხდა მრისხანებით, რადგან ვერ შეაშინა ჭაბუკი, ვერ დააკვნესა, ის უკანასკნელ წუთამდე შეუპოვრად ებრძოდა...

ნაპირიდან კარგა მოშორებით, წერტილივით მოჩანდა ხის ნაგლეჯზე ჩამომჯდარი თოვლისფერი თოლია... ნაღვლიანად იმზირებოდა აქეთ-იქით, ტალღებს კი არ უშინდებოდა, საქანელასავით არწევდნენ მას ტალღები...

იქნებ სული იყო პატარა თოლია გურამისა და ტალღებში გაუჩინარებულ სხეულს სინანულით გაჰყურებდა... მას ხომ სჯეროდა, რომ ზღვა ვერასოდეს მოერეოდა, რადგან თოლია იყო...

*ირმა ბეგლარიშვილი
1984 წ. ქ.თბილისი*

ზარმაცევის მოწოდება

ცნობილ ფარმაცევტ თამაზ აფციაურს, რომელიც დაბა მანგლისსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში წამალთმცოდნეობის სფეროს განაგებს, ძირითად საპატო პროფესიასთან ერთად მეორე სულიერი მოწოდებაც აქვს: იგი პოეტია, თან ნამდვილად კარგი პოეტი. გასულ წელს თამაზ აფციაურის ლექსების მოზრდილი ციკლი საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საეთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ორგანო სქელტანიან ჟურნალ „სიტყვაში“ დაიბეჭდა, იმავე წელსვე პატარა შინაარსიანი კრებული გამოვიდა, რამაც ძალიან ბევრი ადამიანის დაინტერესება გამოიწვია. ამჟამად ვთავაზობთ მანგლისელი პოეტის ახალ ლექსებს და ამასთან ერთად რამდენიმე ლექსს ადრე გამოქვეყნებული ციკლიდან, რამაც მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ნუგზარ წერეთელი

თამაზ აფციაური

„თეთრი ცხელება“

ისევ დავლიე,
 ისევ დავიწყე
 ჭირვეულობა – ბედთან კამათი,
 არა და ვიცი
 ამ გულს სამიწეს,
 სულ სხვა გზა აქვს და სხვა მისამართი.



თითქოსდა თრობით მინდა ვამხილო
 ამ წუთისოფლის კარგი და ავი,
 მინდა რომ ყველა მე მოვალხინო
 ჩემს სახატესთან მიბმული კრავით.

რა რუდუნებით თერძობს მაცილი
 რომ დამამშვენოს გიჟის სამოსმა,
 აჰა, კვლავ გავხსნი ბოთლს რიჟრაჟისფერს
 და შიგ ჩამწვედელ თეთრ ჯინს ამოვსვამ,

მორყეული აქვს ჩემს კარებს რაზა,
 ვინა ვარ, რა ვარ, ანდა რის მქონი,
 მაგრამ ჟამის-ჟამ, როგორც ავაზა
 გულს ტორებით ფლეთს შლეგი სტრიქონი

ვიცი, ნისლისფერ არაყში ვაღრჩობ,
 სიცოცხლეს – შენ რომ ასე გჭირდება,
 შემომელევა ფიქრი ვით სარჩო
 და ტანში სისხლი ამეჭინჭრება.

მერე ჩამოვხსნი ცას ცხრავე ნათელს,
 ცხრა დევის ცხრა ქალს ვუწყობ კარნავალს
 და ვათამაშებ, როგორც კამათელს
 ცხოვრებას ასე უქმად წარმავალს.

წაგებული ვარ,
 შენ, სიყვარულო,
 ზოგჯერ უჩინოვ, ზოგჯერ საჩინოვ,
 ერთხელაც კიდევ ილოცე ჩემთვის
 იქნება ლოცვით გადამარჩინო.

მანგლისი

იცი რას ვდარდობ?

სიცოცხლე ერთი,
 სიკვდილი ერთი
 გულიც ერთი და დარდი ათასი,
 უღონკიხოტო საქართველოში
 ვირად დავდივარ სანჩო პანსასი.

სიცოცხლე რაა –
 წამის წამია
 და წამის წამზე წინ წინ – მსწრობელი,
 ცხოვრებაც რაა –
 გაწამაწია
 და თვალის ჩინის ჩამაქრობელი.

სიკვდილი თორემ –
 ერთი მაგისიც ...
 მოვა,
 ყველაფერს ერთ წამს გადახნავს,
 იცი? – რას ვდარდობ –
 მარტო რომ გტოვებ
 მე რომ წავალ და შენ ვეღარ გნახავ.

მანგლისი

ნუგზარ წერეთელს

წარწერა წიგნზე „საქართველოს ერთი მეციხოვნე“

მე თქვენი ციხის ვარ მეციხოვნე
 ფარაბჯრიანი სატევროსანი,
 ციხეს დაღვრილი სისხლი ამშვენებს,
 სისხლი ქონგურზე მდგარი მგოსანის.

ლამით ავი ხმით კივის ზარნაშო,
 გონწართმეული მოგვდევს მინდია,
 ნუთუ არა გვაქვს კვლავ საგანგაშო
 კოშკებზე ცეცხლი რომ არ გვინთია.

ზეგარდის ყმა ვარ, თორემ ვეყმოდ
 თქვენს რაინდობას, სიდარბაისლეს,
 ვინდი მუზარადს და ჭმუნვით გითვლით
 ტანზე ნახმლევს და გულზე ნაისრევს.

სიზმრად მეზმანეთ, ლამით ქარცივით,
 რატომღაც გქონდათ თვალი ნამღური,
 გული ავივსე – გულით ბარძიმიც
 თქვენი ლექსების ალადასტურით.

როგორც ილიას საგურამოში,
 კლდეკარს გელიან ალგეთელები,
 ისევ მაისის წვიმას წამოშლის
 „ქსილისის“ მთა და „წისქვილთ“ ველები,

ვალში არ მინდა დაგრჩეთ წერეთელს,
 არც ჭაბუკი ვარ,
 ჯერ არც მოხუცი,
 მავანნი გულზე როკვას შეერთდნენ
 ზარ-ზეიმით და ურვა-ხორხოცით.

საწუთრომ დასცა ბევრის ცისკარი,
 თქვენ კი მწვერვალზე გიდგათ სადგური,
 ძველსა თუ ახალს,
 კითხვად ვიჩქარი,
 რას გაყვეთ,
 რომელს მივცეთ დასტური.

გურამის, მირზას, სულის ცხონებამ
 ლიხის აქეთ თუ – იქეთ ლიხისა,
 ქართული ლექსის მეციხოვნე ხართ
 და ციხისთავი დედო ციხისა.

*თამაზ აფცაური
 მანგლისი. 31.XII. 2009*

ნუ მსაყვედურობ

ნუ მსაყვედურობ, ძვირფასო, დუმილს,
 დუმილში იქნებ ზღვა სევდას ვძლიე,
 შეხედე, ტყეთა მწვანე დუმილში
 რა ფერი აძევს მზენასვამ იელს.
 ჩუმი ცრემლი და უტყვი ტკივილი,
 არსად თქმული და არვის ნახული
 სდუმს ბეთანია, ფრესკაც ყინწვისის,
 სდუმს გეგუთი და ჯვარიც ხახულის.
 დუმილი იქნებ თანხმობაც არის,

იქნებ ზიზღიან შიშით ვერთქმული
 ბიჭი რომ ღუმს და შენთან წითლდება
 სიკვდილამდია შენი ერთგული.
 ბაგეს ვიკვნეტ და კივილს ვიკავებ,
 კვალს აგაცდინოს ძახილმა იქნებ,
 არა, არა ჰგავს ცხოვრება ზღაპარს
 მმტრობს და გზებზედაც ხაფანგებს მიგებს.
 მაგრამ ხმა ისმის ზღაპრული ეტლის
 ქარის ცხენებით, მთვარის ბორბლებით,
 გახსოვს კონკია? – ბედს ხომ ეწია,
 ფეხზედ ხომ დადგნენ ძმებიც – ობლები.
 ნუ, ნუ გაჰქირდავ ჩემს მღუმარებას
 ღუმელში იქნებ ზღვა სევდას ვძლიე,
 შეხედე, ტყეთა ფერმკრთალ ღუმელში
 რა ფერი ადევს უძზეო იელს.

ათასში ერთხელ

ათში თუ არა,
 ასში თუ არა,
 ათასში ერთხელ, ერთხელ ხომ მაინც,
 ვიტყვი, რაც ამ გულს დელგმაავდა ლექსად,
 რაც გვაწვალებდა მე, მზეს და მაისს.

ანისლებულან ჰორიზონტები,
 ჩვილის ტორტმანით მივყვები გზაწვრილს,
 დღე-დღე იზრდება ჩემში ლექსი და
 დღე-დღე მიმოკლებს ღმერთამდე მანძილს.

ხომ სულ სხვაგვარი სიკვდილი მსურდა,
 ახლა კი სულ სხვა ცეცხლით ვიწვები,
 ლექსის სულს ვძერწავ უხილავ ხელით,
 ლექსში მაცვივა ნაძვის წიწვები.

ვინ, ვინ განაგებს ფიქრთა ფორიაქს?
ღმერთი გვბატონობს, დემონის გამო.
„არც ერთი ლოცვა არ ადის ცამდე“,
მაგრამ არ ვნანობ, ლოცვას არ ვნანობ.

ათში თუ არა,
ასში თუ არა,
ათასში ერთხელ, ერთხელ ხომ მაინც
ვიტყვი, რაც გულში სისხლს ამბობებდა,
რაც გვაწვალებდა მე, მზეს და მაისს.

სურათი

ჩამოწვა ზვავი,
მთებს დაწვები ჩამოახოკა,
გვრგვინვას ფეხდაფეხ აედევნა ღუმელად მდგარი,
თითქოსდა სივრცემ განიტვირთა სიმძიმით სული,
ტანგათოშილი, თოვლისფერი ზეობდა ქარი.

სითეთრე ჰგავდა, მიტოვებულს
სარეცელს ქალის
და ცრემლი შენი
ამათა ამაოებას,
შორს
კოჰორტებად ეწყობოდნენ ლეგა ღრუბლები,
მერე უმიზნოდ
სდევდნენ ზეცის უსაზღვროებას.

მოვა საცაა შემოდგომა და . . .

მოვა საცაა შემოდგომა და
 წასკლებათ ხეებს ფოთლების ღვარი,
 ხედავდით? – ზეცას უმერცხლოდ შთენილს,
 გესმოდათ? – რეკდა ტკივილის ზარი.

მოვა საცაა შემოდგომა და
 წალეკავს მინდვრებს წვიმების ვალსი,
 დღეთა ცრიატი კრიალოსანი,
 ცას დამანატრებს სილურჯით ავსილს.

მოვა საცაა შემოდგომა და
 იწვიმებს წვიმა, იქარებს ქარი,
 ხომ ხედავთ – სევდა ჩასვლას ჰგავს მზისას,
 ხომ გესმით – რეკავს ტკივილის ზარი.

* * *

წაეკიდება მზე დასალიერს,
 აქ კი ჩემს ახლოს ბინდი იძალებს,
 ცხოვრება ასე მწკლარტე იერით,
 მიგებს და მიგებს ისევ ნიძლავებს.

რამ ააჭრელა ასე ქვეყანა,
 ან ერთგულებას რად კლავს ღალატი,
 მგონი ასლი ვარ მწუხარებისა
 შემოდგომისგან გადმონახატი.

ჩამომიმარცვლეს მტრებმა სიცოცხლე,
 სიცოცხლე – მღვრიე ქარვის აკიდო,
 წაიღონ ჩემი მოკლული გულიც
 და ხევსურთ დარად ჭერხოს დაჰკიდონ.

აიხანჯლება ცა მზის მთიებით
 აქ კი ჩემს ახლოს მწუხრი იძალებს,
 ცხოვრება – მგზავრი გუდამშიერი,
 ისევ და ისევ მიგებს ნიძლავებს.

* * *

თოვდა...

სივრცეთა თოვლით ავსება
მოქცევას ჰგავდა თეთრი ზღვებისას.
სამოსელს პირველს – შენსავ მსგავსებას
ჟამმა უწია აღზევებისას.

თოვდა ირიბად – კუთხით მახვილით,
ისე ლამაზად, ისე მარტივად,
მანგლისს სითეთრე აწვა დახრილი,
ცრემლოჩინარი სევდამ მატირა.

სულ მარტოდ ვჩანდი თოვლის ფარდაგზე,
ვით თეთრ კედელზე რუხი ჭიკარტი,
ბოშა გვირილებს ვთხოვე არ დაგცდეთ –
მართლა მიყვარდი, თუ არ მიყვარდი.

დროს შეეყინა შენი ალერსი,
ალერსი – ფიფქთა ნაზი შეხება,
ზვაკად ტკივილთა დაძვრა ჩამესმის
და უფსკრულებში ჩაიჩხება.

თოვდა,
სივრცეთა ავსება თოვლით,
მოქცევას ჰგავდა თეთრი ზღვებისას,
ქარებს მინამქრულს უმეტეს ყოვლის
სივრცე დაეპყროთ აღზევებისას.

უმზეო დღეა

უმზეო დღეა,
 ნოემბრის შუა,
 შუკებში მღვრიე ქარი აყვიობს,
 კედლებს აწყდება
 მთვრალ ეჯიბივით
 და მიიყოლებს ფოთლის მაცრიონს.
 ზეცა ვერ იტევს ღრუბლის ნაოჭებს,
 წარბშეკრულია დასალიერიც,
 არაფრისმთქმელი ფონია თითქოს,
 მაგრამ
 კვდომის და სიცარიელის.

დელას

მე ვიცი დელა
 მელოდი დღესაც,
 დღესაც დაღალე სოფლის გზები
 ნალვლიან მზერით,
 „დაკვირადლო“ – ამბობ ახლა,
 გვერდზე დებ საქსოვს,
 და სანთელს ანთებ სიბერისგან
 ჩამჭკნარი ხელით.
 მანდ ახლა ალბათ ლურჯი ბინდი
 დღის ნათელს არბევს,
 დაისი წითლობს,
 ღამენათევ თვალებს ჰგავს მეტად,
 ეზოდან ძალღი
 მგლისთვალება, ვარსკვლავებს უყეფს
 და ვხედავ დელა,
 როგორ იწვის სანთელი კენტად.

პაპაჩემის ბაკვეთილები



ჩვენი სოფელი ჯუგაანი ცივკომბორის მთის კალთებზეა შეფენილი. სიღნაღის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია და ზედელაშვილებიც მრავლად სახლობენ. საინტერესოა ჯუგაანის სახელწოდებაც. ეს სახელი სოფელს თევდორე ჯუგაშვილის პატივსაცემად დარქმევია. თევდორე სახელგანთქმული კაცი ყოფილა, თავი გამოუჩენია ირანელებთან ბრძოლაში და ბევრჯერ გაუმარჯვია კიდეც. მისი სახელობის მუხა - „თევდორეს მუხა“ ალაზნის ველზე, ტრიალ ადგილას იდგა და პაპანაქება სიცხეში შვების მომგვრელ ჩრდილში შეიფარებდა ხოლმე ქანცგაწყვეტილ გამრჯე გლეხებსაც და ფრინველებსაც. ბევრჯერ ნამეხარი ბერმუხა მეც მინახავს, მაგრამ ახლა აღარ ყოფილა, მეხს საბოლოოდ გაუნადგურებია, სხვათა შორის დიდ ივანე ჯავახიშვილს აქვს გამოკვლევა, რომელშიც ადასტურებს, რომ იოსებ სტალინის წინაპრები ჯულაშ-

ვილები კი არა ჯუგაშვილები ყოფილან და ამ სოფლიდან წასულან ქართლში, კერძოდ გორში. ეს ისე, ჩემი სოფლის ისტორიისთვის ვთქვი.

რაკი ისტორიას შევხე, იმასაც ვიტყვი, რომ ამ სოფლის ბოლოს, ალაზნის ველზე „სააქლემოს“ გზაც გადიოდა. თურმე წინათ ამ საქარავნო გზით დიდვაჭრები საქონელს ეზიდებოდნენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან და აქ ბინავდებოდნენ ხოლმე. ესეც ასე გახმაურებული „აბრეშუმის გზა“.

ჰოდა, აი ამ სოფელში ცხოვრობდა ისააკ ზედელაშვილი, იმ დროისთვის განათლებული კაცი – მწერალი, რომელიც, მამაჩემი კვეხნით რომ იტყოდა ხოლმე, ბატის ფრთით ინახავდაო ათ შვილს – ექვს ვაჟსა და ოთხ ქალიშვილს. პაპაჩემი ზურაბი პირველი შვილი – პირმშო იყო. კარგად მახსოვს პაპაც და მისი და – ძმებიც თუმცა ორი ქალიშვილი ჩემს პატარაობაშივე გარდაიცვალნენ, ძმები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ჯუგაანში, მერე კი ზოგიერთი წნორში და თბილისში დასახლდა, ყველაზე ხანდაზმული პაპიდა ანა გარდაიცვალა თბილისში, სადაც ძველ რიყეში იყო გათხოვილი საკმაოდ მდიდარ ვასილ ძიძაძეზე.

პაპაჩემი თავის ძმებში გამოირჩეოდა—მაღალი, ძალიან წარმოსადეგი კაცი იყო. რაღაც სახელოსნო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული ბელექანში, პროფესიით ღურგალი

იყო, მისი გამოსარატებული ფილთაქვა მე მაქვს თბილისში და ყოველთვის პაპას მაგონებს. ძალიან ლამაზი ორსაწოლიანი მოჩუქურთმებული ტახტი კი ჩემ ბიძაშვილს ახლაც უდგას თავის ჯუჯაანის სახლში.

პაპაჩემი ადრე დაუქორწინებიათ – 15 თუ 16 წლისა. მისი ცოლი 13 წლისა ყოფილა, ტიბანელი ძალიან შეძლებული გლეხის სოსანა ათანელიშვილის ქალი ელენე. როგორც მამიდაჩემი დედის ნაამბობს გაიხსენებდა ხოლმე, ხანდახან ელენე თავის თითქმის თანატოლი ძულების თამაშში ჩაერეოდა, მაგრამ დედამთილი – ჩემი დიდი ბებია კატია, თურმე ალერსით მოჰკიდებდა ხელს, გამოიყვანდა და ეტყოდა – შვილო შენ გათხოვილი ქალი ხარ, ეგ არ შეგშენისო. აცრემლებული ბებიჩემიც შინ შეჰყვებოდა დედამთილს.

გავიდა ხანი და დაიბადნენ ჯერ მამაჩემი ნიკოლოზი – კოლა, როგორც მას ყველა ეძახდა, და მამიდაჩემი ეკატერინე – კატო. პაპა მამაჩემზე 17 წლით იყო უფროსი, ძმებივით იყვნენ და როგორც ხდება, მამა-შვილის ოდინდელი მეტოქეობა მათ შორისაც იყო, რა თქმა უნდა, როცა მამაჩემი დავაუკაცდა, საქმეში ჩადგა და საკმაო ქონება შეიძინა.

მამაჩემი 1885 წელს იყო დაბადებული, შემდეგ ცხრაასიან წლებში ხომ მოგეხსენებათ, როგორი რევოლუციური ქარიშხლები დატრიალდა, ომებიც დაიწყო და ჩვენებიც ამ ორომტრიალის მონაწილენი გახდნენ, როგორც მამაჩემისაგან გამოგონია ფედ-

ერალისტები ყოფილან. და აი პაპაჩემი, მისი ქვისლი მღვდელი ილია შანშიაშვილი (სანდრო შანშიაშვილის მამა), დავით ქადაგიძე – ისიც პაპაჩემის ქვისლი, თურმე ისე კამათობდნენ, რომ ლამის ჩხუბამდე მიდიოდნენ.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხოს დავით ქადაგიძეს, იგი თუმი იყო. უნიჭიერესი კაცი ყოფილა, ციურისში ჰქონდა დამთავრებული უნივერსიტეტი გამოჩენილ ქართველ ქიმიკოსთან ვასილ პეტრიაშვილთან ერთად. და აი ამ უგანათლებულესმა კაცმა სოსანა ათანელიშვილის ქალიშვილი ნატო შეირთო და როგორც მაშინდელმა ყველა თუშმა მეცხვარეობა ამჯობინა. თურმე ცხვარში – ბინაში ჭრაქის შუქზე კითხულობდა გერმანულ წიგნებს, ის წიგნები მეც მინახავს ტიბაანში. კამათი და შეხლა-შემოხლა უმთავრესად სოსანა პაპას სახლში იმართებოდა. გაბრაზებული სოსანა თურმე ეხვეწებოდა: „კარგი, დადექით, ხალხნო, მოდით იპურმარილეთ, რა გაჩხუბებთ, ქვეყანას თქვენ ხომ ვერ გაასწორებთ“, და თვითონ წამოიწყებდა სადღეგრძელოს.

გამოხდა ხანი და პაპაჩემი დაქვრივდა. ღმერთმა აცხონოს და ბებია ელენე გარდაიცვალა. ჩვენ-შვილიშვილები მას ვერ მოვესწარით, მაგრამ ბებია-პაპას გადიდებული სურათი ძალიან დიდხანს ეკიდა მამაჩემს დიდ ოთანში თვალსაჩინო ადგილას. პაპაჩემი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო და ამიტომ ცოლის მოყვანა გადაწყვიტა. შვილებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ანდა თუნდაც წინააღმდეგ-

ნი ყოფილიყვნენ, დააშლევინებდნენ თუ რა?! ვილაცას გლდანელი ქალი უქია, უთქვამს ქვრივია-შვილიანიო და გაურიგებით კიდევ. და აი აქ მოხდა კურიოზი, რაც მამაჩემის მუდმივი ხუმრობის საგანი იყო, პაპისათვის კი მწარე მოგონება. ის გლდანელი ქალი ოლა კოტორაშვილი გამოდგა მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა ქვრივი. როცა ჯვარი იქვე დაუწერიათ პაპაჩემს ფაეტონით ცოლი და პატარა გერი ვასიკო წამოუყვანია, გზაში კიდევ ორი მოზრდილი ქალ-ვაჟი ნინო და კოლია-კოლა ტირილითა და ყვირილით ეტლს გამოსდევნიან „დედი, ნუ დაგვტოვებ, ნუ მიდინარო!“ რაღა უნდა ექნა გაწბილებულ, მოტყუებულ პაპაჩემს, ამდგარა და ისინიც წამოუყვანია ჯუგაანში და გაუზრდია. ნინო და ვასიკო სოფელში დარჩენილან. ნინო ბოღბისხევში იყო გათხოვილი, ვასიკო ჯუგაანში დაქორწინებულა, კარგი ოჯახი შეუქმნია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულა. კოლა კი თბილისში სწავლობდა, მერე ავჭალაში დასახლდა, აგრონომი გამოვიდა და იქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო.

ჩვენი ბებია ოლა შესანიშნავი ადამიანი იყო. სანამ საკმაოდ არ წამოვიზარდეთ, არც კი ვიცოდით, რომ თურმე ჩვენი ბებიანაცვალი ყოფილა. პაპაჩემს კიდევ ერთი ვაჟი ხვთისავარი – ხვთისო გაუჩინა, რომელიც მამაჩემს ისე უყვარდა, რომ თბილისში შვილივით ზრდიდა. ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრებინა, შემდეგ სიღნაღში გაანაწილეს და ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. მერე ისიც

დაქორწინდა, ორი შვილი შეეძინათ. მას და მის მეუღლეს ელიკოს – უშესანიშნავეს ქალს, ექთანს – განთქმულ ბებიაქალს, მაგრამ სამწუხაროდ 1942 წელს ფრონტზე წაიყვანეს და იქ ქერჩთან მეორე მსოფლიო ომში ქართველთა მასობრივი ჟლეტის ალაგთან – ჩემი უფროსი ძმა ზურაბივით დაიღუპა.

ზემოთ ვწერდი, რომ მამა-შვილი მეტოქეები იყვნენ – მეთქი. სმამიც მეტოქეობდნენ და ნადირობაშიც. ორივე კარგი მონადირე იყო, მაგრამ თურმე მამაჩემი მაინც სჯობდა. როგორც კი ნადირი ან ფრინველი შემოაკლდებოდათ სანადიროდ მიდიოდნენ. მე თქვენ გეტყვით და შორს უწევდათ წასვლა, სოფლის ბოლოს ჯაგებში მაშინ მრავლად ბინადრობდნენ კურდღლები და ფრინველიც. ოღონდ მამა-შვილს პირობა ჰქონდათ დათქმული – თუ პაპა მოკლავდა, მამაჩემს უნდა ჩამოეკიდა ნანადირევი, თუ მამაჩემი – პირიქით. და როგორც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, პაპა მოდიოდა გაცილებით ხშირად ხუთი-ექვსი კურდღლითა და ფრინველით აკიდებული, მამაჩემი კი ღიღინ-ღიღინით მიჰყვებოდა უკან და შემხვედრებს ღიმილით თვალს უკრავდა. მერე სუფრაზე პაპა შარს მოსდებდა შვილს, წაეჩხუბებოდა, მაგრამ მამაჩემი სიცილით წამოხტებოდა და თავის ტოლებს მიაშურებდა.

პაპაჩემი თავის ცოლს ოლასაც მიაყოლებდა ოლა, შე წყეულო (ეს იყო მისი აკვიატებული სალანძღავი სიტყვა) – შე – წერა – კითხვის უცო-

დინარო, კოლას როგორ ემხრობოდიო, არადა მართლა არ იცოდა წერა – კითხვა, მაგრამ ფულის, საათის, ტრამვაის ნომრის ცნობა შესანიშნავად იცოდა და თანაც მაგნიური მეზღაპრე, მოლაპარაკე, კარგი „კულინარი“ იშვიათი იყო. მაგრამ პაპას მისი ქართული არ მოსწონდა და თვალსაჩინოების გაკვეთილებს უტარებდა. აბა, ენა როგორ მოგიბრუნდება და იტყვი, ქართლელებმა სწორი მეტყველება არ იციანო, მაგრამ ზოგიერთ რამეს, ჩემი აზრით, ამხინჯებენ. მაგალითად, ერთხელ თურმე ბებიას უთქვამს: „ზურაბ მოდი კარზე ვისადილოთო“. პაპა დათანხმებულა და სანამ ბებია სადილს გამოიტანდა, კარი ჩამოუხსნია და სკამებზე დაუდგია. ქალი გაოცებულა, ეს რა გიქნიაო. ქალო, შენ არ მითხარი კარზე ვისადილოთო? მაშ რა უნდა მეთქვაო, რა და მოდი გარეთ, დერეფანში ვისადილოთო. და კიდევ: ბებიას უთხოვია, ბარემ გარეთ ხარ და ერთი ბროწეული მომიგლიჯეო. პაპასაც ბარისათვის ხელი დაუვლია და ბროწეულის მოთხრა დაუწყია. შეცბუნებულ ოლას გაუჩერებია და უკითხავს, რა უნდა მეთქვაო. რა და ერთი ბროწეული მომიწყვიტეო. ასე გადააჩვია მბალის, ალუმბალის, ანთობს და სხვა უხერხულ გამოთქმებს.

იმ ჯოჯოხეთური მეორე მსოფლიო ომის დროს ყველას უჭირდა, აბა ჩვენ რა გამონაკლისები ვიქნებოდით, კურორტის ხსენებაც კი არ იყო. ამიტომ არდადეგებს – ზამთრის, გაზაფხულისა და ზაფხულისაც, პირადად მე სოფელში ვატარებდი ხოლმე. ჩემი

უფროსი და ახერხებდა თბილისში დარჩენას. მე, კი მაშინვე ჯუგაანში მიკრავდნენ ხოლმე თავს. კარგად მახსოვს პაპა და მე როგორ მივდიოდით ხოლმე ვენახში, რომელიც ალაზნის არხის გვერდით ქუმბათში ჰქონდა. გზაში ყველა შემხვედრს „გამარჯობას“ ეუბნებოდა, ანდა თუ გადავდებულ პურის ნაჭერს დაინახავდა, აიღებდა შეუბერავდა, მტვერს გააყრევინებდა და თვალსაჩინო ადგილას დადებდა. ახლაც კარგად მახსოვს ჩემ შეკითხვაზე როგორ მიპასუხა: შვილო სალამი ღვთისაა, ყველას უნდა მიესალმო, პური კი ჩვენი არსობისააო, უნდა გაუფრთხილდე მუდამო. იქნებ ვინმე გაჭირვებულმა გაიაროს და აიღებსო. ძალიან მორწმუნე იყო პაპა ზურაბი – ყოველ მარხვას ხომ ინახავდა, ოთხშაბათსა და პარასკევს ხორცს არასოდეს არ შეჭამდა და ყოველ ღამე ლოცულობდა. მახსოვს ერთი მეტად ლამაზად მოჭიქული მოზრდილი ჯამი ჰქონდა და ასეთ დღეებში ბოლილიწოს – წითელ ღვინოში შოთის პურს ჩაიმტვრევდა და როგორ ჭამდა ხოლმე. მეც რამდენჯერმე გამასინჯა, მაგრამ არ მომეწონა.

– ვენახში რომ ჩავდიოდით, რომელი ხილის დროც იქნებოდა, პატარა კედროს ვავსებდით, სახელურში ჯოხს გაუყრდით და ისე მოგვქონდა. მაშინ უკვე საკმაოდ დაბერებული იყო პაპა.

იმ არდადეგებზეც ჯუგაანში ვიყავი, როცა პაპაჩემს უკვე 94 წლისას სკლეროზი დამართნია. მაშინ არც კი მესმოდა რას ნიშნავდა „სკლეროზი“. მაგრამ ლაპარაკიდან მივხვდი, რომ თურმე სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი. იმ ხა-

ნად პაპიდა ანაც იქ იყო. ჩვენ ყველანი მეორე სართულის აივანზე ვიწვექით.

პაპა დაბლა ოთახში მარტო იწვა. ბებიაჩემს კი ტახტი კარების წინ ჰქონდა დადგმული, რომ გაეგო თუ გაპარვას მოინდომებდა. ალბათ გარიჟრაჟი იქნებოდა, რომ ბებიაჩემის ყვირილი მოგვესმა – ზურაბ, დადექ, სად გარბინარო. მაგრამ ის ფეხშიშველა (რომელსაც ბავშობაშიც კი ფეხშიშველი არ უვლია), საცვლების ამარა ისეთი ყოფით გარბოდა, რომ იმას ვინ დაეწეოდა. ყველანი წამოვხტით, მაგრამ ძაღლების გააგებული ყეფა გვესმოდა. მაშინ ჩვენს არემარეზე მოხუცებულებისა და ბავშვების გარდა მოზრდილი მამაკაცი არა ყოფილა.

უკვე კარგა გათენებული იყო, რომ ჯუგაანის ბოლოდან საცვალდაფლეთილი და დასისხლიანებული პაპა ვილაც ნაცნობმა ამოიყვანა. საწყალს ნაიარევი ფეხები დაბანა ბებია, საცვლები გამოუცვალა და ლოგინში ჩააწვინა. ატირებულმა პაპიდა ანამ უთხრა: ზურაბ! შენ სასიცოცხლო აღარა ხარო! საწყალი პაპა თურმე გონებაზე ყოფილა და უპასუხა – მართალი ხარ, ამ ქვეყნისა აღარა ვარო. და ამის შემდეგ ჭამა აიკრძალა, წყალსაც აღარა სვამდა, ისე ძალით უსველებდნენ ხოლმე

პირს და ორმოციოდე დღეში გარდაიცვალა.

მამაჩემმა თავისავე ეზოში გაათხრევინა საფლავი და დიდი პატივით დაასაფლავა.

ამის შემდეგ ოლა ბებია კარგა ხანს იცოცხლა. ერთხელაც თავის ვაჟთან კოლასთან – ავჭალაში მოისურვა წასვლა. ჩავიდა კიდეც, ძალიან კმაყოფილი ყოფილა, რომ მისი ვაჟი ასე დაწინაურებული იყო, კარგი სახლკარი ჰქონდა. რამდენიმე დღე ასეთ პატივში ცხოვრობდა, მაგრამ გარეთ გამოსულა ეზოში და უეცრად გარდაცვლილა – ინსულტი დამართნია საწყალს, დიდი ბჭობის შემდეგ გადაწყდა თავისავე დაბადების ადგილას დაესაფლავებინათ. მამაჩემი მერე იტყოდა ხოლმე – ნახეთ ოლამ თავის პირველ ქმარს მაინც არ უღალატაო.

მეც, ჩემმა დამაც მის ღვიძლ შვილიშვილებზე ნაკლებად როდი განვიცადეთ ბებიას სიკვდილი.

ასე დამთავრდა იმ ჩემთვის ძვირფასი ადამიანების ხანგრძლივი ცხოვრების რაღაც ეპიზოდები, რომლებიც მეხსიერებას შემორჩა და რატომღაც მომინდა ქალაქზე გადამეტანა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველანი.

ნოდარ ზედელაშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ფარმაცევტი და მთარგმნელი

ცნობილ ქართველ მედიკოსს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ჩვენი სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორს ელდარ როინიშვილს მეორე სულიერი მოწოდებაც აქვს: პოეზიასა და თარგმნას ემსახურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მან შებედა და ქართულიდან რუსულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა ყველა მთარგმნელისათვის საჯილდო ქვად ქცეული ისეთი ურთულესი ნაწარმოებები როგორცაა „ლურჯა ცხენები“ და „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. ძირითადად ფარმაცეის ფაკულტეტის საქმიანობისადმი მიძღვნილი ჟურნალის ახალ ნომერში გთავაზობთ ნიჭიერი მთარგმნელის ელდარ როინიშვილის მიერ რუსულად ამეტყველებულ აღნიშნულ ლექსებს, რაც უდავოდ გამოიწვევს დიდ დაინტერესებას.

,

,

,

,

.

,

,

,

,

,

,

,

.

,

,

,

,

.

,

,

,

,

.

,

,

,

,

.

,

,
,
,

.

,

,
,
,
,
,

.

,
,

,

,

.

,
,

,

,
,

,

,

.

,

,

,

,

,

.

-
,

,

.

,

,

,

,

,

.

.
2010 .

ბამონენილი ბელორუსი პოეტი

ვიტალი კოროტკევიჩი ბელორუსის გამოჩენილი პოეტი. თავის ნაწარმოებებში ის გატაცებით უძღვროდა მშობელ მხარეს, ქვეყნის წარსულსა და აწმყოს, ნათლად გამოხატავდა ბელორუსის მშრომელი ხალხის მისწრაფებასა და სულისკვეთებას. ვ.კოროტკევიჩი 1930 წელს დაიბადა. სტუდენტობის წლებში უკვე ლექსებს აქვეყნებდა. იყო ძალიან პოპულარული შემოქმედი. განსაკუთრებული აღიარება მოუტანა პოეტს ჭეშმარიტად პატრიოტულმა ლექსმა – „ბელორუსიას ცხოვრებსო ღმერთი“. სახელმძღვანელო პოეტი შემოქმედებით ძალების გაფურჩქენისა და აღმავლობის ასაკში გარდაიცვალა 1984 წელს, 54 წლისა. მისი შემოქმედება დღესაც დიდი წარმატებით სარგებლობს.

სარედაქციო კოლეგია.

X X X

ვიყავი, ვარ და მუდამ ვიქნები,
ეს იმიტომ, რომ, ვით დაწყველილი
ყოველთვის ვცხოვრობ უსაზღვრო დღეღვით,
ვიცი ჯვარცმული დარჩა ფიქრებით –
ბელზე
მილიარდობით ადამიანთა,
რასაც მგონია ვერ ვანდობ ვერვის.

მე ყველასათვის ჯვარცმული ვრჩები
იმათთვის, ვინაც კვალს ავლებს მძიმეს,
ვინც ცხელ ლითონის ღუმელთან შრომობს,
ვინც ერკინება ცას და ზღვას ნებით,
ვინც ცოცხლების და მკვდრებისთვის ომობს.

ჯვარცმული ვრჩები მე ყველას გამო,
ვინც სისხლით წერით ებრძვის მონობას,
ვინც სამშობლოსთვის,
თანაც ყველა ხალხისთვის ლამობს
ღმერთსაც წაართვას წინამძღოლობა.

ვინც იწვის ცეცხლში წუთისოფელის
და ვინც ქვეყანას კრახისგან იხსნის,
ვინაც უშიშრად ცას მზერას მოფენს,
ტყიდან, წყებიდან ბარიკადების,
დასასჯელ კუნძუზე დასალვრელ სისხლით.

სიკვდილს თვალებში უყურებს ვინაც
გულკეთილ ღიმილს იმშვენებს მშვიდი,
შორს დარჩენილი მიიწევს წინაც,
საერთო ნათელ ტაძრისკენ მიდის.

როცა ამაყად ზენიტში მყოფი,
დაცული,
ცისკენ მიემართება,
წაიღეთ ჯვარცმულ სისხლიდან წვეთი
ჩემი გულიდან,
უკანასკნელი,
აღარ მჭირდება, აღარ მხმარდება.

* * *

ახლა დიდებულ სახლს გვპირდებიან
ჩვენ კი აქ უნდა ვიცხოვროთ,
მორჩა...
ვხედავ ბორცვებად მიწას ქვებიანს
და წინაპარი წასული მოჩანს.
მათ გვიანდერძეს მახვილიც, ცელიც,
სიტყვაც გადმოგვცეს, ახლა მუნჯების,
აქედან არსად არ ვართ წამსვლელი,
მარტო დავტოვოთ სიკვდილთან ყველა,
რასაც ჯერ კიდევ ჩვენ ვეურჩებით.

* * *

ო, სიყვარულო ჩემო მძაფრო, ბელორუსია!
ნისლიან ღამით ტბების თავზე მიფრინავს გელი
მიფრინავს ბნელში ის მარტოსული,
თანაც ფრთებით ჭრის ტბის სარკის ხელებს.

თვით ზეცისაც კი ფრთებით ჭრას ბედავს.

* * *

ცისფრად მკრთალი ცა, შეწითლება ჩუმი ტოტების,
ოხრავს ნიავი, ხმელ ფოთოლთა ცვენა ხურდება,
მზე ფოთლებგადრცვნილ ვერხვებს
ყვითელ სხივებსაც მოღებს.
როცა წივწივას ჩუმ სტვენაზე გამოცურდება.

ძლივს ირწევიან ცაში არყის ხეთა ტოტები,
მომკილ ყანაში სიჩუმეს სდევს ბული კალოთა,
ნელა ჭრიალებს საზიდარი შუშის ოდენი,
ჭახჭახი გააქვს კაჭკაჭს ისე, თითქოს გალობდა.

თანაც საზიდარს დასაზვერად მიჰყვება ფრენით,
იმ მხარეს ეძებს,
სადაც ცხელ - ცხელ ბლინებს აცხობენ,
სადაც სითბოში კალოს სახლის ბოხჩაა ძველი,
გაზაფხულამდე სადაც უკვე აღარ მადღრობენ.

* * *

„ბელორუსიას ცხოვრობსო ღმერთი“,
აცხადებს ჩემი უბრალო ხალხი,
კვერს უკრავს ცვარი სიმართლეს ფერხითთ
და ვარსკვლავების ფერხული არ გვხრის.
მიზანსწრაფული ტაღლების ჯახი
სიმართლეს ამას დაადასტურებს,
და წინასწარი ანდერძის სახით
ოქროს ფოლადსაც ენით გვასტუმრებს.
და თან სამყარო ჩემი ფიქრების
კვლავ ადასტურებს ამის სიმართლეს,
კვლავ საკუთარი ბედით იქნება,
მუხების სევდაც იქეთ მიმართეს.
და სიხარულით თავის კოცონთა
კუპალას მიწაც ჩვენი ფარია,
წილად კი სხვისი ჭერი მომწონდა
ვიცი, ასეთნი არსად არიან.
ვერსად ვერ ჰპოვებ
ისეთ ძმაკაცებს,
და ვერც ბელორუს ლამაზ ქალწულებს,
გულს და კარს ღიას ვერვინ გაგაცლის,
შენს ქვეყანაში გულიც ჩაწურე.
მხოლოდ შენია სახლიც, ტაძარიც,
ორი ათასზე მეტი მდინარეც,
თერთმეტიათას ტბისკენ დამარი
თავი ფხიზელი, არა მძინარე.
ჩვენ გვაქვს გვინდება რისი დაღვევაც,
ანდა დასაღვრელს ვტოვებთ სარჩოდან,
დამცხრალ ვნებათა მოდის გავლენაც,
თუ გვინდა, შევძლებთ მტრების დახრჩობას.
ეს ხსოვნა ცოცხლობს არა ტაძრებში,
ცოცხალ მოძმეებს გონში უსვიათ,
არა უბრალოდ მაღალ აზრებში,
„ღმერთი ცხოვრობსო ბელორუსიას“!
და გვსურს იცხოვროს,
თუნდაც იგი თუ

გვიგზავნი დასჯას, გვიგზავნი რისხვას,
რას ვიზამთ, ღმერთიც თვისად მიგვითვლის,
ჩვენანია,
ვერ გუობს ის სხვას.
ყველაზე მაღალ ხეთა კენწეროს
ციდან ბრიალა ელდაც ეცემა,
დაგვალულ ხეებს თითქოს ვერ წვდება,
ხეც ელვის რისხვას არ მიეცემა.
ამას ბუღბუღთა გალობაც ერთვის,
მშობლიურ ცვრიან მოლზე დადისო,
„ბელორუსიას ცხოვრობსო ღმერთი“,
დაე, იცხოვროს სამარადისოდ.

თარგმნა ნუგზარ წერეთელმა

პოეტის სიბავრობა

მაშინ ქუხილი ქალაქს მოედო,
გაწყდა სიცოცხლე ისედაც მოკლე,
თავი მოიკლა ტყვეით პოეტმა
ან უფრო ზუსტად პოეტი მოკლეს.
კლავენ პოეტებს ტყვეით და ენით,
რა ხდება ჯერაც ასახსნელია,
და ვიმეორებ ბოლშოვან წყენით,
რომ უსახელო კლავს სახელიანს.



უსამშობლობა

გვინათა მზემ და მთვარემო,
გზა კი ვერ ვპოვეთ მთავარი,
დამძიმდა ჩვენი გარემო,
ვით შავი მიწით სამარე.
გაეფუჭდით, დავისაქსენით,
ჭკუას ვერ ვსწავლობთ ობლობით,
ყველას აქვს თავის სათქმელი,
ოღონდაც უსამშობლობით.

მთავარი

უფერულდება დღეების წყება,
დაფლეთილია მისამართები,
ფიქრობ, განიცდი და გული გწყდება
უსასრულობას როცა ბარდები.
დაწყებულია დარდი ღამეზე,
სადღაც მარადი ყინვის რულია,
თუ გული გწყდება ქვეყნად რამეზე,
მთავარი მაინც სიყვარულია.

306 იცის

მეც მაწევს შენი სამარის ლოდი,
 ჟამთა სვლისაგან შავი და მძიმე,
 უიმედობის სასტიკი კოდი
 არწევს ცრემლების დაწვევით მძივებს.
 ამაოების შემხუთავ ფიქრებს
 შავი ფერები მოუჩანთ მხოლოდ,
 ვინ იცის იქნებ,
 ვინ იცის იქნებ
 ჩამომდგარია ცხოვრების ბოლო.



მხატვარი გ. ქუთათელაძე

კახეთის გზაზე

აღარც კი ვიცი საით მივდივარ,
 გურჯაანს, თელავს, ყვარელს თუ სიღნაღს,
 გზაზე წიფლების მწვანე ბინდია,
 მზე იმალება ღრუბლების მიღმა
 აქ ყველგან ჩემი მამული არი,
 ულამაზესი, შეუდარები,
 ველებს სურნელით ედება ქარი
 და გახსნილია ყველგან კარები.

უღელტეხილი

უღელტეხილი შემხვდა გოდერძის
 ყოველი მხრიდან გადასახედით,
 ღრუბლებს მიდენის ქარი მოთეთრო,
 სიმაღლისაგან უფრო თავხედი.
 ხელაწვდილივით დგანან ფიჭვები,
 უნდათ უქარო ადგილს ჰპოვებდნენ,
 მამულის განცდავ, აქ რომ მიჩნდები,
 ნეტავ არასდროს აღარ მტოვებდე.

სათქმელად

მიშვებულა სიტყვის სადავე
და მარწევს, როგორც
ქარი ალვის ხეს,
ეს სილიადე და სისადავე
ხელიდან როგორ უნდა გამისხლტეს.
გული მწვერვალთა მზერით დათვრება,
ზეცა ღიმივით ელავს ბაგეზე,
ისევ საშრომად,
ისევ სათქმელად
ჩემი მამულის ბედი მაქეზებს.



უკვდავების ბინადარი

წავიდა ღიღზე ღიღი პოეტი,
წავიდა ღიღზე ღიღი მწერალი,
გაუსაძლისი საღამოებით
ისევ მაწამებს ბედი ვერანი.
სიმწრისგან ვიგრძნობ,
როგორც მაშინდელს,
გადასახლებულ ფიქრებს შვებაში,
და მაინც სხვებზე მეტად მამშვიდებს
კაცი მცხოვრები უკვდავებაში.

მუხრანის ველზე

მუხრანის ველზე ვიარე,
აღარ შემყრია ყივჩაღი,
წარსული გახსნის იარებს,
ქალსაც ვეძებ და მივძახი.
მთვარე ჰორიზონტს ნალევნით
ვარსკვლავთა ჭაღით ჩაღდება,
არ ჩანს ქალი თუ ქალღმერთი,
ისე ვინ გაყივჩაღდება.

თბილისის ქუჩებში

ტკიველებამდე ნაცნობს და ძვირფასს
დავყვები ჩემი თბილისის ქუჩებს,
ძველი კედლების დულაბს და კირქვას
მოსაფერებელ სახელებს ვურჩევ.
ასე მრავალ წელს მატარა ნეტავ,
იწვეს ზეცასთან მთაწმინდის ხედი
და დამყვებოდეს ჩურჩულად ხეთა
განუჭვრეტელი მომავლის ბედი.



რაც გინდოდა

ცოტა დრო კი გაიწელა,
სიტყვა გადგას ენაზე,
რაც გინდოდა დაიწერა, -
ლექსი კარგი ყველაზე.
თუ არ გყოფნის, არ იდარდო,
დრო ბევრს კიდევ მოიტანს
ათასობით ღამიდან და
დილა – საღამოიდან.

ნოემბრის დღე

აღარ გიზიდავს სითბო ლექსების,
ცხოვრება ქრება სიგრძე-სიმოკლით,
გული ჩვეული დარდით გვესება,
ქარი როს ყვითელ ფოთლებს მიმოყრის..
მთებს ეხურება ჯანღის სარქველი,
ზეცაში ისევ მენი გრიალებს,
თუ არ გსურს გახდე ხარის სარქენი
დადექ და წითელს ნუ უფრიალებ.

ასპინძისთაჲს

ასპინძის ქელთან უხვევდა მტკვარი,
 გორების ფერხით ყვაოდა ჭალა,
 მთიდან სრიალით მოჭრილი ქარი
 აფრიალებდა ქარვისფერ ჩალას.
 სულ ახლოს იყო ვარძია დიდი,
 ზღაპრად ქცეული თმოგვი და წუნდა,
 ვრცელი მიდამო,
 ჩვილივით მშვიდი,
 საუკუნეთა სიმძიმით ღუმდა.



ხერთვისი

სიახლის ძეხვის მარადი ნდომით
 გადავადექით როდესაც ბექობს,
 ჩანდა ხერთვისი – ბებური ლომი
 და ფეხქვეშ მთელი მიდამო ეგო.
 ვხედავდით ღრუბლებს –
 შეჯგუფულ კრავებს,
 კედლებს დიდება ეწერათ სისხლით,
 კოშკები გავდნენ ღონიერ მკლავებს
 ზეალმართულებს მტრისადმი რისხვით.

ძეხვის სიხარული

ქარი თოკივით უბანს მოება,
 შენც მიეჯაჭვე დაშლილ მაგიდას,
 სიტყვის ძალა და უბრალოება
 ციებასავით ისევ აგიტანს.
 რამდენი წელი გრძელდება ძეხვა,
 ვით სიხარული მრავალჯერ პოვნის,
 მთებმა გაბედეს გრიგალთან შებმა
 და დაახვავეს მიწაზე თოვლი.

სამოცდათხუთმეტის ბურამი

ისევ ვიხსენებ ნათქვამს და უთქმელს,
თან უსაშველოდ მიჭირს,
შენ უკვე გასცდი სამოცდათხუთმეტს
ოცდაექვსი წლის ბიჭი.
ას წელზე მეტი უნდა გეგორგა
დაუღლეღს ძებნა-ცდაში,
ახლა კი მხრებით მიგაქვს ეპოქა,
როგორც ზურგჩანთა მთაში.



უფსკრულთან

მიდის და მიდის ჟამი ბოლოსკენ,
აღსასრულისკენ, გაქრობისაკენ,
წლებმაც იმედი მიროზგ-მოროზგეს
ბნელში ნათელი ველარ ისარკეს.
იმედს ბუნდოვანს გიჩენს სახელი,
დაძენდილია ფიქრის აფრები,
აჰა, უფსკრული და შენ გახევდი,
რა ახლოს არის გადასაფრენი.

ღამაზი დილა

მტრედისფერება მკრთალი სინათლე
ჩვილის საყვარელ ტაატით მოდის,
რაზან ღამაზი დილა ვინატრე
კიდევ აფეთქდა ატმისხის ტოტი.
დილა გაზაფხულს გამოყოფილი
დროზე შემოდის, როგორც ენება,
ოქროს ფრინველი ზეცით მოფრინავს
ჩაწყვდიაღებულ ქვეყნის მშვენებად.

ჰევიში

გავცქერი რძისფერ რიონის ჭალებს,
სულგანაბულებს მდინარის შიშით,
ლოდინისაგან გადაღლილ თვალებს
აეფარება ზღაპრული ჭყვიში.
ქარი მიფერთხავს მყვირალა ძეწნებს,
მერე ჭადრებში დაიწყებს შიშინს,
გსურს მიუწვდომელ სიმაღლეს შეწვდე
დიდი პოეტის პატარა ჭყვიშით.



ბაქრა და მორჩა

ქრება და ქრება, რაც იყო კარგი,
გაქრა და მორჩა რაც იყო ძველი,
ძველი ჰგონიათ ზედმეტი ბარგი,
სიახლეებსაც არავინ ელის.
მშვიდი შრომისთვის ვიღას სცალია,
ჯერ კიდევ ბევრი ისმის ბრალდება
და ხელავ ზოგი კაციც ქალია,
ან უფრო ზუსტად კაციც ქალდება.

სიმაღლიდან

რამსიმაღლეზე ვარ ამოსული,
მწვერვალებს ვითვლი სამოცდათხუთმეტს,
ზოგი ყინულით არის მოსილი,
ზოგი იმშვენებს კლდეთა ჩაფხუტებს.
ჰორიზონტიდან დავცქერ მწვერვალებს,
უკვე ძნელია დაბლა დაშვება,
დარდი წყალივით კლდის ქვეშ შევმაღე,
რაც ნაფოტივით მათამაშებდა.

ტელეფონის ნომერი

გამირბის ხელი ტელეფონისკენ,
ვერ დავივიწყე შენი ნომერი,
მშვენივრად მახსოვს ბევრი რომ ვრისკე,
და არასოდეს მითქვამს რომელი.
შენ ერთადერთი იყავი მაშინაც,
წინ ამდაგვარი აღარ მომელის,
ამაოების სუსხი მაშინებს,
თუ დამავიწყდა შენი ნომერი.



დილიდან ღამემდე

ისე საოცრად ბრჭყვიალებს მოლი,
თითქოს დაფშენილი ბრილიანტია,
ციდან ოქროსფრად დახრილი ზოლი
ნაწვიმარ მოლზე ცეცხლად ანთია.
იმედი უფრო მეტია დილით,
მერე და მერე მზესავით ქრება
ღამე კი მთვარის კაშკაშა დილით
ხსნის შემოჯარულ გორების კრებას.

როგორ იძნება

როცა ქვეყანა ქვეყანას არ გაეს,
როცა მრავლდება ირგვლივ ბეჩავი,
როგორ იქნება ცხოვრობდე კარგად
და ძველებურად გერქვას მგლეჯავი.
როგორც ცხელისა და ყინვის პოლუსებს
ისე უყურებს მდიდარს ღარიბი,
არ შეიძლება მხეცს და მონისებრს
ჟამი ასხამდეს ერთი ყალიბით.

სხვადასხვაობა

სხვა და სხვა არი ზღუდე და თარგი,
 სხვა და სხვა არი შობა და ჯვარცმა,
 მწერალი იყო ნამდვილად კარგი,
 ოღონდ არაფრით ვარგოდა კაცად.
 თავისი წილი ყველას აქვს ბარგი,
 ზოგი სუსტია, ზოგს ერჩის ძალა,
 პოეტი იყო ნამდვილად კარგი,
 მაგრამ არაფრით ვარგოდა ქალად.



წლები

რამდენს დაეძებ, რამდენს განიცდი,
 გულზე ჟანგივით დარდი გეკვრება,
 დრო კი მიფრინავს, დრო კი არ იცდის,
 წლებს ნახირივით მიერეკება.
 წლებიც თითებზე ჩამოსათვლელი
 ისე ქრებიან, თითქოს ქაფია,
 სადღაც კი ქვა დევს გამოსათლელი,
 ვით დასაწერი ეპიტაფია.

დანაწილება

ქვეყანა ამას აღარ ელოდა
 შემდგომ წაგლეჯა-მინაწევრების,
 ინაწილებენ საქართველოს და
 თან სავარძლებსაც ინაწილებენ.
 რომ კიდევ უფრო თბილად მოეწყონ,
 გინდა ქებით და გინდა გინებით,
 საქართველოს კი ლაქად მოეცხო,
 წყება შავ-შავი ბალდახინების.

თოვლი

თოვს, არემარე თოვლმა დაფარა,
 მთები გამოჩნდნენ ახლოს მდგარები,
 მომხიბლა მთებზე თოვლის ფაფარმა,
 საკმევლის კვამლად ქრიან ქარები.
 ქარი შხუილით ტყეებს მიარღვევს
 სტეპებით მოქრის ქარი აშარი,
 და რომ ვერავინ მისწვდეს სიმაღლეს
 მთებმა დაუშვეს ნისლის ჯავშანი.



უვიზო ვასვლა

არავითარი არ მინდა ვიზა
 სიახლის ძეხვის ცხრა მთათა მიღმა,
 დრო თუ მექნება - იგივეს ვიზამ,
 წავალ დავხედავ თელავს და სიღნაღს.
 ისევ შევიგრძნობ ალაზნის ველებს,
 კახური ღვინოც დარეკავს ზმაში,
 და არც ვიდარდებ თუ გინდა მერე
 ჩიტივით ჩუმაღ გავფრინდე ცაში.

ფიჭვის ტყეში

მარტო მივდივარ ფიჭვების ტყეში,
 ცვივა გირჩები – ფიჭვის ნაყოფი,
 ო, როგორ მინდა ამნაირ დღეში
 თუ სამოთხეში ღმერთმა მამყოფოს.
 ხეებში ჩნდება ზეცის ნაჭერი,
 დგას საკმევლის თბილი სურნელი,
 ჩემო მამულო, ისე დამჭერი,
 რომ სიყვარულით ვერ ვიკურნები.

კრიტიკა

ისევ ვკითხულობ ღამით გაზეთებს,
კრიტიკა უნდა უამრავ ნაკლებს,
მაგრამ ამგვარს და მაგრამ ასეთებს
კედელზე კაცის ქალღაღად გამკვრელს,
არ შევხვედრივარ, რას ველი ანკი,
ვიღაც სისხლისაც ეცდება დაღვრას,
ამ დროს კი გვერდით გრუხუნებს ტანკი
და ლულით ჩვენსკენ აწვება საზღვარს.



მათხოვარი

მოხუცი იჯდა გაწვდილი ხელით,
ცხოვრებისაგან ქცეული საწყლად,
და საღამოსკენ ცა უკვე ბნელი
მოულოდნელი სიავით გაწყრა.
იჯდა მოხუცი, ქუჩაში წვიმდა,
სველ თვალებს ძლივსლა ახამხამებდა,
შენ კი გინდოდა და კვლავაც გინდა
ყველასთან მისვლა დასახმარებლად.

თუშეთი

უცხო ქვეყნები არც მენატრება
ისე მიზიდავს ჩემი თუშეთი,
მთები გაშლილან მწვანე აფრებად,
დაწყებულა ხინკლის ფურშეთი.
აქ სილამაზის ძალა ბატონობს,
მისით ყელამდე ხარ ავსებული,
და მკერდით იცავს ამ ჩემ სატომოს
ომალოს ციხე დახავსებული.

მშვიდობით

რომ არ გემუხთლა
 მეც მოვიდოდი
 და ბოლო გზაზე გაგაცილებდი,
 მაინც მშვიდობით,
 მაინც მშვიდობით,
 უკვე დამთავრდა წყენა მცირედი.
 შენ ახლა შორს ხარ, ან იქნებ მაღლა,
 ვით ტაძრის წვერზე მდგარი ქვითხურო,
 მე კი როდესაც მეწვევა დალლა
 ვიღებ და ისევ ლექსებს ვკითხულობ.



წარმოდგენები

შენს ლამაზ სახეს როდესაც ვხედავ
 თითქოს ცოცხლდება წარსული შორი,
 და მახსენდება შრიალში ხეთა
 განმარტობას ეძებდა ორი.
 ღრუბელს ედება ღრუბლის ფენები,
 თითქოს ისინიც იწყებენ შეყვას,
 ო, ღმერთო ჩემო, წარმოდგენებით
 ურთულესია ცხოვრობდე ქვეყნად.

ის აღარ არი

ის აღარ არი, ის აღარ ხატავს,
 ცივად მაუწყებს სიმუხთლე ყოფის,
 და ეს ხმა ისეთ ტკივილებს მმატებს
 თითქოს ვიღაცამ მესროლა თოფი.
 ის აღარ არი, ლამაზი, სათნო,
 ვერდახატულის ისმის დაღადი,
 გულს კი მარადი სინათლით ათბობს
 დაობლებული ყველა ნახატი.

მამული

დარდიც ჩამოდის ციდან თოვლივით
და ეფარება უბანს ზეწრებად,
მამული ჩვენგან ვეღარ მოვლილი
თითქოს ხელიდან ჩუმად გვეცლება.
ვინ ეუფლება დავითის მიწას,
და შეურაცხყოფს თამარის ტაძრებს,
მწვერვალი თოვლის ნაწნავებს იწნავს
გრიგალისაგან აწეწილს ადრე.



ღარღი

საიდან მოდის ამდენი ღარღი,
საიდან მოდის ამდენი სევდა,
წვიმს თუ ქარია,
ცხელა თუ ბარდნის,
ცხოვრება მაინც გიმზადებს ელდას.
სულ მოლოდინი, ფიქრი და შფოთი,
არეულობა ნისკარტით გწეწავს,
წევს მომავალი ბალღივით თოთო,
და ყინვა თოშავს ჩატეხილ ლერწამს.

ჯვარი

ფანჯრიდან უწყვეტ იმედად მოჩანს
ტაძრის ნათება, გუმბათი, ჯვარი,
გზების წამებით გამოვლა მორჩა,
თუმც გახსნილია სიბნელის კარი.
იმედის დარად კიაფობს ჯვარი,
როგორც სიზმარში ჩვენება დედის,
და ვით წყვდიადში ციმციმი კვარის
გაუგებარი გამოკრთის ბედი.

მუსიკის ჰანგები

როიანს ისე უკრავდა ქალი,
თითქოს ცვიოდა იების ბლუჯა,
და სურნელება უხილავ ძალით
ეფინებოდა სევდიან ქუჩას.
გზა თითქოს გავდა დამეწყვირთ ალმართს,
წამოგებულ დროების ანკესს,
და გინაროდა, რომ ვილაც ახმარს
ჟამს უთავბოლოს - მუსიკის ჰანგებს.



სამყარო

მე ვფიქრობ შენზე
და გული მწყდება,
სინანულს მოსდევს სიცივე ყინვის,
თითქოს ხიზნებად დაგვტოვეს წლებმა,
ალარც სურვილი იგრძნობა-ვინ-ვის.
გამოსავალი არ მოჩანს არსად,
წარეცხილია ცხოვრება წლებით,
გადაქცეულა სამყარო ფარსად
კითხვის ნიშნებად დასმული ჯვრებით.

ქმნა სიახლის

ზოგჯერ გჯერა და ზოგჯერ არ გჯერა
როგორ გაფრინდა ცხოვრება გრძელი,
და როგორც გუშინ, ახლაც, ამჯერად,
ჯერ განუჭვრეტელ სიახლეს ელი.
დღეცა და ღამეც ცხენივით მიქრის,
ქროლვა დღითიდღე უფრო სწრაფია
და ეძებ წლებით აწეწილ ფიქრებს
ვით დაუწერელ ეპიტაფიას.

არღანეპება

ამხელა გზები ქარაფებით, ციცაბოებით,
როგორ გალიე,
არასოდეს რომ არ დაეცი,
ახლა ოცნება შორს დარჩენილ დღეებს მოება,
თითქოსდა კაცი მიუყვება ყანას გალეწილს.
ქარის სიმძლავრით მოგეძალა რასაც ავლენდი,
უმოქმედობით ფიჭვნარების ტევრი ჩახუთეს,
ჯერ უფსკრულამდე მინდორია გადასავლელი,
და შენც მიდიხარ,
არ დანებდი სამოცდათხუთმეტს.



ქარიანი ღამე

ქარი ტყეებზე კვლავ გადარბის რტოთა ლივლივით,
და მთვარის ზოლი სივრცეს ადევს ყვითელ შუბივით,
უკან არ გინდა რომ გაბრუნდე, ვეღარც წინ ივლი,
ჯერ შემართულიც თითქოს უკვე ხდები გულგრილი.
ჩუმი ტკივილი ფოცხვერავით დადის მიწაზე,
ქარი არ ჩადგა, ანდა ღამე უფრო ამძაფრებს,
ყვითელი სივრცე ნაფოტივით თან გაგიტაცებს
და ქარი ტყეში კვლავ დახლართავს მთვარის ამ ძაფებს.

ვინ დაიბრუნებს

ოქროს ფასად რომ ეძლეოდათ ადრე გირაოდ –
რისი უღვაში, მით უმეტეს უღვაშის ღერი,
ახლა ცდილობენ გადაგთელონ, აგაყირაონ,
სხვათა მიბამვით გარდაქმნილა ერი და ბერი.
იხსენებ ძველ დროს სავსეს ნაღდი პატიოსნებით,
რაც გაგიგიათ, წაგიკითხავთ ან იქნებ ნახეთ,
აწი ცხოვრება კიდევ როდის გასხივოსნდება,
ვინ დაიბრუნებს პატიოსნის გარდამქრალ სახელს.

სითბო თბილისის

ყვითლად მბჟუტავი მრუდე მთვარისგან
ფერფლი აცვივით მაღალ ქედებს ფერით ირისის,
ბევრი სიახლე დროებისა ირგვლივ არის და
ოღონდაც უკვე არ იგრძნობა სითბო თბილისის.
გაფორიაქებს განწირული სულისკვეთება,
უკვე წასულის, გარდამქრალის, გარდავლილისა,
ბევრი გაკეთდა, გაკეთდება, ანდა კეთდება,
თუმცა უკვალოდ გამქრალია სითბო თბილისის.



ჩაპეტილი

ვით ლოკოკინა იკეტება რუხ ნიჟარაში,
თითქოს იმგვარად შენც კედლებში გამოიკეტე,
ოღონდ ზოგივით არ გქონია სული მშიშარის,
მთლიანად ვერ თმობ ტკივილების გამო სიკეთეს.
ბინაში შენსავე ქვეყანაზე დარდმა ჩაგკეტა,
მისთვის, შენთვისაც სასიკეთო არსად არა ჩანს,
დღითიდღე უფრო გეუფლება სასოწარკვეთა,
ვედარ ივარგებ დაქცეული ქვეყნის დარაჯად.

ბოგლაობის დღესასწაული



სოფელ პატარძელში, დიდი ქართველი პოეტის, პროზაიკოსის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი გაიმართა. ზეიმი 16 მაისს შედგა. გიორგობის დღეების აღნიშვნის დროს ეს იყო წლების წინ ბევრჯერ ფართო მასშტაბით ჩატარებული გოგლაობის აღდგენის კეთილშობილური ცდა. გარკვევით ითქვა: ათი წელი გავიდა რაც გოგლაობის ბრწყინვალე დღესასწაული აღარ ჩატარებულა, ამიტომაც დიდი შემოქმედისადმი მიძღვნილი ზეიმის აღდგენის დასაწყისი თუ მცდელობა, რაც მოხდა პოეტის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობის (დირექტორი დარეჯან ლეონიძე), საგარეჯოს რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტის (უფროსი ბესიკ ღვინაშვილი), პატარძელის საჯარო სკოლის (დირექტორი ომარ მიჩელაშვილი) და პატარძელის მოსახლეობის მიერ.

გოგლაობის საკმაოდ მრავალრიცხოვან მონაწილეებს ბუმბერაზი შემოქმედის სახლ-მუზეუმი და ეზო-გარემო მოვლილ-მოწესრიგებული დახვდათ, ყველაფერს აჩნდა მზრუნველი ხელის კვალი, რაც უდავოდ მისასალმებელია, ჰაერში ახლად გათიბული ბალახის, აყვავებული ხეებისა და ყვითლად აბინებული ყვავილების დამათრობელი სურნელი იდგა.

ზეიმში მონაწილეობდნენ საგარეჯოს რაიონის მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდები, აგრეთვე ცალკეული შემსრულებლები. ჩოხა-ახალუხსა თუ გრძელ საზეიმო კაბებში გამოწყობილ ახალგაზრდობას განუმეორებელი ემზი შეჰქონდათ დღესასწაულის მსვლელობაში. საგარეჯოს რაიონის სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები გიორგი ლეონიძის უბრწყინვალესი ნაწარმოების „ნატურის ხის“ მიხედვით შექმნილი საყოველთაოდ ცნობილი კინოფილმიდან, რამაც დამსწრე საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

უდიდესი მწერლის ნაკვალევზე შეკრებილ თანასოფლელებს მიესალმნენ მუზეუმის დირექტორი, პატარძელის და საგარეჯოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარე-რექტორმა, პოეტმა და პროზაიკოსმა პროფესორმა ნუგზარ



წერეთელმა, რადიოტელეჟურნალისტიკის კათედრის დამაარსებელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გიორგი ლეონიძის ძმიშვილმა პროფესორმა ნიკო ლეონიძემ, საგარეჯოელმა პოეტმა მწერალთა კავშირის წევრმა ზაქარია ზუკაკიშვილმა, გიორგი ლეონიძის შვილიშვილმა გიორგი გვინჩიძემ, ვისი მცდელობითაც გამოიცა შესანიშნავი წიგნი: „გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე – 100-100 ლექსი გვერდიგვერდ“. ეს საუცხოო წიგნი მით უფრო კარგი საჩუქარი იყო ყველასათვის, რომ ამ ორი ბუმბერაზი პოეტის მხრებზე დაყრდნობილი მთელი მეოცე საუკუნის ახლებური და ძალზე მრავალფეროვანი პოეზია.

გიორგი ლეონიძის გულშიჩამწვდომი ლექსები შესანიშნავად წაიკითხეს პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. ეს სკოლა წლების მანძილზე გიორგი ლეონიძის სახელობისა იყო, რაც ვილაცის მითითებით შეიცვალა. მსგავს დიქტატსა და არასწორი გადაწყვეტილებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუკი არის ილიას უნივერსიტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაი-

სის უნივერსიტეტი, გიორგი ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლაც უნდა იყოს მის მშობლიურ სოფელში.

გიორგი ლეონიძის განახლებული სახლ-ბუმბერაზი ყვავილებით შეამკო ილიას უნივერსიტეტის ინგლისური ენის უფროსმა პედაგოგმა ქალბატონმა აზა ანთელავამ.

ქვეყნის მასმედიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზეიმზე ტელეარხები და კორესპონდენტებიც სათანადოდ იყვნენ წარმოდგენილები, აქ იყო პირველი არხი, „რუსთავი-2“, „იმედი“, რაც ბუმბერაზი შემოქმედისადმი მათ პატივისცემაზე მეტყველებს.

საკმაოდ ბევრი საყვედური ითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მწერლები ნაკლებად ჩანდნენ უდიდესი ქართული პოეტის გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, რომელიც დღეს თუ პატარძეულის მასშტაბით ჩატარდა, ხვალ სრულიად საქართველოს და მსოფლიოს ზეიმი იქნება. „რა შეგვიძლია გავაკეთოთ, - თქვა ქალბატონმა დარეჯან ლეონიძემ, - 18 მწერალს დაუურეკეთ და მხოლოდ ნუგზარ წერეთელი ჩამოვიდა, ამიერიდან უფრო მეტს შევეცდებით“.

რთული დღეები იდგა საქართველოში, ხალხი სხვა საქმეებით იყო დაკავებული, ბევრი პოეტი ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა პატარძეულში. როცა დიდი გიორგი ლეონიძე წავიდა ამ ქვეყნიდან 66 წლისა იყო, მისი დღევანდელი ახალგაზრდა კოლეგები კი 80-ს უახლოვდებიან, თუმცა მიუხედავად ამისა, ბევრი მწერალი უნდა

ეცადოს ჩამოვიდეს პატარძელში, დიდი გოგლა ლეონიძის უსაყვარლეს სოფელში. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ნუგზარ წერეთელმა გაიხსენა დიდი წინამორბედის შესანიშნავი ლექსი „პატარძელი“ და ერთხელ კიდევ წაუკითხა შეკრებილ საზოგადოებას:

„პატარძელი . . . ჩემი სოფელი,
ბავშვობის კერა – პატარძელი,
ჩემი აკვანი წნორის ტოტისა
აქა ყოფილა გადარწეული.
აქ მზრდიდა ხალხი... აქ
მზრდიდა დედა
და ხალხის ფიქრი
ათასწლეული...
მასსოვს ეზოში დიდი ვაშლის ხე,
სიბერისაგან გადაქცეული...“

ზეიმზე დამსწრე საზოგადოებრიობამ ისიც შენიშნა და აღნიშნა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტის სახლ-მუზეუმი შედარებით მწირია და საინტერესო ექსპონატებით ღარიბი, ამიტომ, საქართველოს კულტურის სამინისტროს, საგარეჯოს კულტურის სამსახურისა და დიდი პოეტის ახლობლებს ძალისხმევა მოუწევთ, რომ გამოფენა გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ.

ქართველი ხალხისთვის რაც არის ილიას ყვარელი, აკაკის სხვიტორი, ვაჟას ჩარგალი, გალაკტიონის ჭყვიში, იგივეა გიორგი ლეონიძის პოეტური პატარძელი, ამდენად დიდი პოეტის სახლ-მუზეუმიც და მისი უკვდავი ხსოვნისადმი მიძღვნილი ზეიმიც ძალიან მაღალ დონეზე უნდა ტარდებოდეს. ასე იყო და მუდმივად ასე უნდა იყოს. დარწმუნებულები ვართ სახელგანთქმული საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ რაიონში ცნობილი ადამიანების მიუხედავად, დიდი გიორგი ლეონიძის ტოლი და სწორი ჯერ არ დაბადებულა, ის არა მარტო საგარეჯოს, არამედ მთელი საქართველოს ეროვნული სიამაყეა, XX საუკუნის ამ ჭეშმარიტ მშვენიერებას ყველასგან მხოლოდ პატივისცემა და თაყვანი ეკუთვნის.

ჩვენი პატარა საჟურნალო წერილი შეიძლება დავამთავროთ ერთი მშვენიერი ლექსით, რომელიც ათეულობით წლების წინათ პოეტმა სულ სხვას მიუძღვნა, დღეს კი შესანიშნავად მიესადაგება თვით გიორგი ლეონიძეს, მსოფლიო დონის პოეტსა და პროზაიკოსს:

„დღეს შენ მიარღვევ, შენს მერანს
ვერავენ შეეჭიდება,
მსოფლიოს გულო მფეთქავო,
ქართული ლექსის დიდება!“

ნოდარ ცხვირავაშვილი
ჟურნალ „სიტყვის“
სპეცკორესპონდენტი